# ლელო

№042 (12 112) | 21 თებერვალი ოთხშაბათი 2007 | გამოდის 1934 წლიდან | ფასი 50 თეთრი




## დაიწყო? ლვინიანიძე შოტლანდიაში არ იქნება

ოპერაცია და ექსპერიმენტი პაუზა 3

## ჯერ თავად გაარკვიე, რა გინდა და მერე მოდიო...

დემეტრაძე სასამართლოში 5



## ტატიშვილი და ხორხელინას ბარიერი

კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში WTA ტურის შეჯიბრი "კოპა კოლსანიტასი" (175 ათასი დოლარი) პირველივე წრეში დასრულდა, საკვალიფიკაციო ტურნირიდან ძირითადში მოხვედრილი ანა ტატიშვილისთვის (293). სამი მატჩის მოგების შემდეგ 17 წლის ქართველმა ძირითად ბადეში გააღწია, სადაც არგენტინელი ხორხელინა კრავერო შეხვდა. 25 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს 144-ე ჩოგანია, ის ანაზე ბევრად გამოცდილია, თუმცა მოგების შანსი ტატიშვილს მაინც ჰქონდა - ხორხელინა ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველად თამაშობდა. მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა, პირველ სეტში არგენტინელმა 7:5 იმარჯვა, მეორეში ანამ აჯობა მეტოქეს - 6:4. სამწუხაროდ, გადამწყვეტი პარტიისთვის ქართველს ძალები აღარ შერჩა - 5:7, 6:4, 2:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. პირველი მატჩები

# სიცოცხლის შანსი

## კალაძე და მილანი: ახლოს მეოთხედფინალთან






ტექნიკური შედეგები 15

ჩემპიონთა ლიგა გუშინ პირველი მერვედფინალური მატჩებით განახლდა. ქართველი გულშემატკივრის ყურადღება, ცხადია, "სელტიკ პარკისკენ" იყო მიპყრობილი, სადაც "მილანი" შოტლანდიურ გრანდს სტუმრობდა. კარლო ანჩელოტიმ საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე სასტარტოში გაამწესა. კალაძეს ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და გასაკვირი არაა, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, თუმცა მწვრთნელისგან ნდობა მაინც აქვს. კახა ვენეგოორ ოფ ჰესელინკს დასდევდა. ეს ახოვანი კაცი "მეორე სართულზე" მეტად სახიფათოა. კალაძეს მიუტევებელი შეცდომები არ დაუშვია, თუმცა ერთ-ორ ეპიზოდში აშკარად მოდუნდა და ეტყობა, ანჩელოტიმაც ამიტომ შეცვალა...

რაც შეეხება თამაშს, განსაკუთრებით მეორე ნახევარში "მილანი" მოწინააღმდეგეზე უკეთესი იყო და მოგებაც შეეძლო, მაგრამ არ გამოვიდა. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა კლასი შედეგში ვერ ისახება - 0:0. მილანური პაექრობის წინ ფავორიტად "როსონერი" რჩება, თუმცა "სელტიკი" სტუმრად უფრო სახიფათო შეიძლება იყოს...

დღის მატჩი მადრიდში გაიმართა. რომ არა ცნობილი მიზეზები, "რეალი"-"ბაიერნის" ჯახს გაცილებით მეტი ეფექტი ექნებოდა. დღესდღეობით კი ორივე გუნდი სერიოზულ კრიზისშია და "ბერნაბეუს" მატჩმა მათი ყველა მინუსი თვალნათლივ დაგვანახა. ხუთიდან ოთხი გოლი (რაულის დუბლი) პირველ ტაიმში გავიდა. მასპინძლებმა სამივე ბურთი მიუნხენელ მცველთა უხეში შეცდომების ხარჯზე შეყარეს, პლუს ამას, გუნდს ვერც ოლივერ კანმა უშველა. ერთი სიტყვით, პირველი ტაიმი ულაპარაკოდ "რეალისა" იყო...

მეორე ნახევარში ფაბიო კაპელომ ნაცად ხერხს მიმართა და ორბურთიანი ჰანდიკაპის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი. მატჩის ამ ნაწილში "რეალს" მეტოქის კართან, ფაქტობრივად, არაფერი შეუქმნია. "ბაიერნმა" კი ოპონენტის სიფრთხილით ისარგებლა და საგრძნობლად გააქტიურდა. დაუფასდა კიდეც: თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, მადრიდელ მცველთა მიერ უხეიროდ მოგერიებული ბურთი ვან ბომელს მიუგორდა და 17-18 მეტრიდან დარტყმული კასილიასისგან მარჯვენა კუთხეში გაეხვია - 3:2, რაც ოტმარ ჰიტცფელდისა და მისი შეგირდებისთვის სიცოცხლის შანსია. კაპელოს მომავალი კი ამ გამარჯვების მიუხედავადაც ბუნდოვანია. გუშინ საღამოს, იტალიური წყაროები კვლავაც დარწმუნებით წერდნენ, რომ ფაბიო მადრიდიდან ნამდვილად მიდის და რომ ივნისიდან მისი ახალი სამსახური "ინტერში" იქნება. ვნახოთ...

"არსენალმა" ეინდჰოვენში კი წააგო, მაგრამ მერვედფინალის იმედი არ გადაუწურავს. მთელი შეხვედრის განმავლობაში ლონდონელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა უფრო რონალდ კუმანის კონტრშეტევითმა ტაქტიკამ გაამართლა. მატჩის ერთადერთი გოლი მენდესმა შორეული დარტყმით გაიტანა...

"მანჩესტერმა" ლილში გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გასვლა საგრძნობლად გაიადვილა. ერთადერთი გოლი რაიან გიგზის აქტივში ჩაიწერა. უელსელმა მეტოქეს "ცოცხალი კედლის" აღმართვა არ აცალა და მოჭრილი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. ფრანგებმა კი "იშიშვლეს ხმალი" და არბიტრს (სასტვენი არ ჰქონდა მიცემული) მიუვარდნენ, მაგრამ არაფერი. საპასუხო მატჩები ორ კვირაში გაიმართება.

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის დინამო. ამერთან მატჩის შემდეგ

# სჯერათ და უკვირთ

## უჰრინი, ზელიჩი, კრშკო და სპასოევიჩი ამერთან მატჩზე



ნედ ზელიჩი (მარცხნივ) და მილოშ კრშკო ამერთან მატჩისას

ნუგზარ სუარიძის ფოტო



დუშან უჰრინი

თბილისის „დინამომ" ზამთრის პაუზისას იმდენი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა, მისგან სეზონის მეორე ნახევარში ყველა წარმატებულ ასპარეზობას ელის. ვნახოთ, რა და როგორ იქნება "დინამოს" თავს, დასაწყისი კი არცთუ სახარბიელო იყო. "ამერთან" თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში მარცხის მიუხედავად, "დინამო" ნახევარფინალში გასვლის არც თუ მცირე შანსს ინარჩუნებს. იმ მატჩზე საუბრები დღესაც გრძელდება. კლუბის მმართველი დირექტორის, ბუბა ტყავაძისა და გუნდის კაპიტან დავით დიღმელაშვილის ნააზრევი უკვე გაგაცანით. დღეს შეიტყობთ, თუ რას ფიქრობენ განვლილ მატჩზე გუნდის მწვრთნელი დუშან უჰრინი და ახალწვეულები ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო და ილია სპასოევიჩი.

### დუშან უჰრინი: სადავო მხოლოდ ისაა, რამდენი პენალტი გვეკუთვნოდა

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მისულს, უპირველესად, გუნდის მთავარი მწვრთნელის ნახვა მსურდა. თუმცა, **დუშან უჰრინი** უკვე წასასვლელად ემზადებოდა, თუმცა კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** თხოვნით, მცირე ხნით საუბარს დაგვთანხმდა.

**- როგორ იხსენებთ "ამერთან" მატჩს?**

- ზამთრის პაუზის შემდეგ, "ამერთან" მატჩი პირველი იყო. სასტარტო თამაშის ყველა გუნდისთვის რთულია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამოსარჩევია ისიც, რომ ახალწვეულებს მივეცით თამაშის საშუალება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, საწყის წუთებში სათანადოდ ვერ ვითამაშეთ. ტაიმის ბოლოს ჯერ თამაშის გათანაბრება, მერე კი უპირატესობის მოპოვება შევძელით. მეორე ტაიმმა მთლიანად ჩვენი კარნახით ჩაიარა და დიდ უპირატესობასაც ვფლობდით. მაგრამ დასანანია გოლი რომ ვერ გავიტანეთ. შემიძლია გითხრათ, რომ თამაშის ხარისხით, ჩემი ფეხბურთელების მონდომებითა და, კარგი გაგებით, აგრესიულობით, კმაყოფილი ვარ, შედეგით კი რასაკვირველია – არა.

**- "დინამომ" დაუნიშნავი პენალტების გამო მსაჯობაზე მატჩის შემდეგვე გამოთქვა პრეტენზია. არბიტრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- მართალი გითხრათ, მსაჯების ქმედებაზე კომენტარის გაკეთება არ მიყვარს და არც მჩვევია. თუმცა თუკი ვინმეს რამე აქვს სადავო, მხოლოდ იმაზე შეგვიძლია ვიკამათოთ, თუ რამდენი პენალტი არ დანიშნა არბიტრმა ჩვენს სასარგებლოდ - ერთი, ორი თუ სამი?

**- ნახევარფინალში გასვლის შანსზე რას იტყოდით?**

- საპასუხო შეხვედრაში მასპინძლები ვართ. ვფიქრობ, შანსები თანაბარია.

### მილოშ კრკშო: თამაში უკეთაც შემიძლია

- სამწუხაროდ პირველ ტაიმში ისე არ წაგვივიდა თამაში, როგორც შეგვიძლია. ეს განსაკუთრებით საწყის 30 წუთზე შეიძლება ითქვას. პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთსა და, საერთოდ, მეორე ტაიმში არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, რომელიც სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ. აქვე "ამერის" მეკარესაც არ მინდა გარჯა დავუკარგო, ჩინებულად ითამაშა. მაგრამ არბიტრს, სამიდან ორი თუ არა, ერთი პენალტი მაინც დაენიშნა, მეტოქეს მაშინ მეკარეც ველარ უშველიდა.

**- თვლით, რომ პენალტებს იმსახურებდით?**

- ორჯერ ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვიდო მსაჯმა. ბუნებრივია შეუცდომელი არავინაა, მათ შორის არბიტრიც. მინდა, დავიჯერო, რომ საქართველოს ჩემპიონატში მსგავსი რამ მხოლოდ შეცდომების გამო ხდება.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყოდით?**

- მართალი გითხრათ, ჩემი შესაძლებლობები სათანადოდ ვერ გამოვავლინე. უფრო უკეთაც შემიძლია თამაში... კიდევ ერთზე მწყდება გული - "ამერის" მიერ გატანილი მეორე გოლისას თავით უნდა მეთამაშა და ვითარება განმემუხტა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე.

**- წაგება რა თქმა უნდა ცუდია და ზოგჯერ ფეხბურთელთა ფსიქოლოგიაზეც აისახება ხოლმე. ამ მხრივ რა მდგომარეობაა "დინამოში?**

- მივხვდი რასაც გულისხმობთ. თუმცა ეს წარუმატებლობა უკვე დავივიწყეთ. ამ მხრივ მწვრთნელებმაც დიდი სამუშაო გაწიეს და ჩემპიონატის მეორე წრის სასტარტო მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით. წინ 13 ტურია, ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ წარმატებით ვიასპარეზოთ და ოქროს მედლები მოვიპოვოთ. ამასთან, თასის საპასუხო მატჩში "ამერს" არა მარტო თამაშით, შედეგითაც უნდა ვაჯობოთ და ნახევარფინალში გავიდეთ.

### ნედ ზელიჩი: ნახევარფინალში გავალთ

*მრავლისმნახველი ნედ ზელიჩი, რომლის კარიერაში "დინამომდე" ათიოდე კლუბი მაინცაა, გაკვირვებულია კვირის მატჩით. თუმცა, ამავე დროს, მტკიცედ სჯერა, რომ ნახევარფინალში სწორედ მისი გუნდი გავა. ზელიჩი კრშკოსა და აკა ტონიასთან ერთად, ბინის ასარჩევად მიიჩქაროდა, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე მაინც გვიპასუხა.*

**- "დინამოში" თქვენი ოფიციალური დებიუტი უკვე შედგა. "ამერთან" მატჩზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ის, რომ მატჩის შედეგი ალოგიკურია. ჩვენ მეტოქე დავჯაბნეთ, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში. წაგებას კი არა, მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო თამაშის გადარჩენაც კი ვერ შევძელით.

**- მიზეზებში რას გულისხმობთ?**

- უპირველეს ყოვლისა, იმ საგოლე მომენტებს, რომლის გამოყენებაც ვერ შევძელით. ამასთან არბიტრის მიერ დაუნიშნავ პენალტებს. დიღმელაშვილის ეპიზოდზე რომ არაფერი ვთქვათ, იაშვილი ნამდვილად საჯარიმოში წააქციეს. იმ ადგილიდან 40 მეტრის მოშორებით ვიყავი, მაგრამ მეც კი დავინახე რომ პენალტი იყო. შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის მსაჯებიც, მაგრამ მაინც მიკვირს მთავარმა მსაჯმა როგორ ვერ დაინახა?

თუმცა ახლა რაც არ უნდა ვისაუბროთ, წარსულს ველარ შევცვლით. ახლა მთავარია საპასუხო მატჩისთვის მოვემზადოთ, მოვიგოთ და ეს ბარიერი გადავლახოთ.

**- ნახევარფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდით?**

- წაგების მიუხედავად, ვფიქრობ, შანსები თანაბარია. სათასო დაპირისპირება ორი რაუნდისგან შედგება. პირველში ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ მეორეში მასპინძლები ვართ. მართალი გითხრათ, მტკიცედ მჯერა, რომ ნახევარფინალში ჩვენ გავალთ.

### ილია სპასოევიჩი: დებიუტს გოლი ამშვენებს

*19 წლის ჩერნოგორიელ ფორვარდ ილია სპასოევიჩს "დინამოში" ოფიციალური დებიუტი ჯერ არ ჰქონია, მაგრამ "ამერთან" მატჩსა და მომავალზე საკუთარი აზრი გააჩნია.*

- მეტოქე აშკარად დავჯაბნეთ და "დინამო" მოგებასაც იმსახურებდა. როგორც გავიგე "ამერი" თასის მფლობელია, კარგი გუნდია, მაგრამ, იმ მატჩში აშკარად დავჯაბნეთ. ძალიან გამიკვირდა, რომ მთავარმა მსაჯმა ასპროცენტიანი პენალტები არ მოგვცა.

**- მსაჯები ყველგან ცოდავენ. დავიჯერო, მსგავსი სერბეთში არ გინახავთ?**

- მსაჯებიც ცდებიან, მაგრამ სერბეთში და საერთოდ ყველგან ასეთი რამ ყოველდღიურად მცირდება. მჯერა, საქართველოშიც ასე იქნება.

**- "ამერთან" მატჩში სათადარიგოთა შორის იყავით. შეცვლაზე რომ შესულიყავით თამაშის გამწვავებას შეძლებდით?**

- იმდენად ვიყავი შემართული, რომ მჯერა, თამაშს გავამწვავებდი.

**- თქვენს დებიუტს როდისთვის უნდა ველოდოთ?**

- ალბათ, მეორე წრის პირველ ტურში, სტუმრად "ბორჯომთან" მომიწევს თამაში. ბედნიერი ვიქნები თუკი შევძლებ და დებიუტს, კარგი თამაშის გარდა, გოლითაც დავამშვენებ.

**დავით ცაბაძე**

## მელქაძე შახტიორშია

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ **ლევან მელქაძემ** თავის ახალ ნავსაყუდელს მიაგნო. როგორც გუშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, თბილისის "დინამოს" ყოფილმა ფორვარდმა ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ყარაღანდის "შახტიორთან". კლუბის ხელმძღვანელობას ქართველი თავდამსხმელი თავიდანვე მოეწონა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მელქაძემ "ალანიასთან" მატჩში გოლიც გაიტანა და საგოლე გადაცემაც გააკეთა. "შახტიორის" პრეზიდენტს **გრიგოლ ლორიას** ქართველის სამი წლით დატოვება სურდა, მაგრამ მელქაძე არ დათანხმდა. ის მომავალში უკეთეს გუნდში გადასვლას ვარაუდობს და არ სურს ამაში რაიმემ შეუშალოს ხელი.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან მელქაძე

## გელაშვილი დაბრუნდა

ხარკოვის "მეტალისტში" გასინჯვაზე მყოფი **ნიკოლოზ გელაშვილი** თბილისში დაბრუნდა. *"გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო და ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა. სე.ზონის ბოლომდე "ვიტ ჯორჯიაში" ვითამაშებ, მერე კი ისევ ხარკოვს მივაშურებ. აი მაშინ კი, მჯერა, რომ დავრჩები იქ სათამაშოდ"*, - განაცხადა გელაშვილმა.

**დავით დიღნელაშვილისა** და **გიორგი ფეიქრიშვილის** თბილისის "დინამოში" გადასვლის შემდეგ, ნიკოლოზ გელაშვილის წასვლა "ვიტ ჯორჯიას" დიდ ზიანს მოუტანდა. ჩემპიონობისა და სულ მცირე უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი გუნდისთვის ერთბაშად სამი წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვა, შესაძლოა ამოცანის შეუსრულებლობის წინაპირობა გამხდარიყო. მართალია ვეტერინარები არც ახლა არიან დალხენილნი, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის გუნდში ყოფნით, მიზნის მიღწევა შედარებით იოლია.

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკა გელაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# ოპერაცია და ექვსკვირიანი პაუზა

## მათე შოტლანდიაში არ იქნება

"დუისბურგთან" მატჩმა **მათე ლვინიანიძესთვის** და საქართველოს ნაკრებისთვის სამწუხარო შედეგები მოიტანა. დაშავებული ლვინიანიძის მდგომარეობა თავდაპირველად საგანგაშოდ არ მიიჩნეოდა, მაგრამ გუშინ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დასანანია, მაგრამ ფაქტია, მათე ლვინიანიძე ოპერაციას ვერ გადაურჩა.

*"მიუნხენ 1860-ის" მცველი მათე ლვინიანიძე "დუისბურგთან" მატჩში დაშავდა. მიუნხენელთა კლუბის ექიმ ვილი ვიდენმაიერის მტკიცებით, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა მცველს მარცხენა მუხლზე გარე მყესი აქვს გაწყვეტილი. მას ოპერაციას ოთხშაბათს, 21 თებერვალს გაუკეთებენ. ქირურგიული ჩარევის შემდეგ ლვინიანიძეს 6 კვირით მოუწევს დასვენება"*, - ეს ცნობა გაავრცელეს გუშინ გერმანულმა წყაროებმა.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად გერმანიაში მყოფ ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** დავუკავშირდით.

*"სამწუხაროდ ეს რეალობაა. მათეს დღეს ტელეფონით ვესაუბრე. ლვინიანიძეს ხვალ კლუბის ექიმი ერიხ რემბეკი გაუკეთებს ოპერაციას. ის ცნობილი სპეციალისტია. გვჯერა, ოპერაცია კარგად ჩაივლის და მათეც მალე მომჯობინდება. ოპერაციის შემდეგ, მას ალბათ თვენახევრით მოუწევს დასვენება. შესაბამისად, მათე შოტლანდიასთან და ფარერებთან, 24 და 28 მარტის მატჩებში ეროვნულ ნაკრებს დააკლდება"*, - გვითხრა თამაზ ბოკერიამ.

**დავით ცაბაძე**



მათე ლვინიანიძე

ქალთა ფეხბურთი. 19-წლამდელთა ნაკრები

# შვედეთი, უნგრეთი და ყაზახეთი

შვეიცარიაში, ნიონში, უეფას შტაბბინაში 19-წლამდელ ქალთა ნაკრებებს შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. ამ პროცედურის შედეგად, მონაწილე 44 ნაკრები 11 ჯგუფში გადანაწილდა. საქართველო მე-3 ჯგუფშია შვედეთთან, უნგრეთთან და ყაზახეთთან ერთად. პირველი შესარჩევი რაუნდი წლეულს შემოდგომაზე 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე გაიმართება.

I ჯგუფი: **პორტუგალია,** ისლანდია, საბერძნეთი, რუმინეთი.

II ჯგუფი: **პოლონეთი,** ავსტრია, თურქეთი, ბულგარეთი.

III ჯგუფი: **შვედეთი,** უნგრეთი, საქართველო, ყაზახეთი.

IV ჯგუფი: **რუსეთი,** იტალია, ისრაელი, ჩრდ. ირლანდია.

V ჯგუფი: სერბეთი, ფინეთი, **ბელარუსი,** ესტონეთი.

VI ჯგუფი: დანია, ბელგია, **ბოსნია,** ლატვია.

VII ჯგუფი: უკრაინა, შოტლანდია, **აზერბაიჯანი,** სომხეთი.

VIII ჯგუფი: შვეიცარია, ირლანდია, **სლოვაკეთი,** ხორვატია.

IX ჯგუფი: უელსი, გერმანია, **მაკედონია,** ჩეხეთი.

X ჯგუფი: პოლანდია, ნორვეგია, **სლოვენია,** მოლდოვა.

XI ჯგუფი: ესპანეთი, ინგლისი, **ლიტვა,** ფარერები.

**** შენიშვნა – მუქი შრიფტით ჯგუფის მასპინძელია მითითებული.***

რაც შეეხება გათამაშების ფორმატს, საკვალიფიკაციო ეტაპიდან მომდევნო რაუნდში ჯგუფის პირველ და მეორეადგილოსნები ავტომატურად გავლენ. ამ 22 გუნდს 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება. 24 გუნდი, მეორე რაუნდში 7 ჯგუფში გადანაწილდება, საიდანაც ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსნები გავლენ. 7 მონაწილეს მერვედფინალური ეტაპის მასპინძელი საფრანგეთი დაემატება.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა შარშან პირველად იასპარეზა ამ გათამაშებაში. თუმცა ამჯერად ორ საუკეთესო მესამეადგილოსანსაც აქვს მეორე რაუნდში გასვლის შანსი, რაც, იმედია, ჩვენი გოგონებისთვის დამატებითი სტიმული იქნება.

**დავით ცაბაძე**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტსა და პროფესიული ლიგის პრეზიდენტს დიმიტრი რამიშვილს.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები ქალიშვილის, სალომეს დაბადებას ულოცავენ ლევან კობიაშვილსა და მის მეუღლე თამუნა წულეისკირს.**



შოთა არველაძე

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# საქართველოს ძლიერი ჩემპიონატი რომ ჰქონდეს, არსად წავიდოდი

**შოთა არველაძე ამ ბოლო დროს პრესის განსაკუთრებული ინტერესის ქვეშაა მოქცეული. ვეტერანი ქართველი ფორვარდის წარმატებულმა ასპარეზობამ ამჯერად რუსული "სპორტის" ყურადღება მიიქცია და მას საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- როგორ ფიქრობთ, კარგია, რუსეთის ნაკრები ჰოლანდიელ სპეციალისტს რომ ჩააბარეს?**

– მწვრთნელს კვალიფიკაციის მიხედვით ირჩევენ და არა ეროვნული ნიშნით. გუს ჰიდინკი უმაღლესი რანგის სპეციალისტია, სადაც უმუშავია, თითქმის ყველგან შესანიშნავი შედეგები უჩვენებია.

**- თქვენი აზრით, რუსეთის ეროვნულ გუნდს როგორი პერსპექტივა აქვს?**

- რუსები ფეხბურთს ყოველთვის კარგად თამაშობდნენ. ასე რომ, ჰიდინკს მოთამაშეთა საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს. რუსეთში საკმაოდ დიდი საფეხბურთო პოტენციალია და რაც მთავარია, პროგრესიც შეინიშნება.

**– პოსტსაბჭოეთის ქვეყნების ფეხბურთელები დასავლეთ ევროპაში ძნელად აღწევენ წარმატებებს. თქვენ ერთ-ერთი გამონაკლისი ხართ. მაინც რა აკლიათ პოსტსაბჭოელებს იმისთვის, რომ კარგი უცხოური კარიერა გაიკეთონ?**

– მგონი, რუს მოთამაშეებს მაინცდამაინც ალარ სურთ დასავლეთ ევროპაში წასვლა. კაცმა რომ თქვას, მართლებიც არიან – რატომ უნდა წავიდნენ სხვაგან, როცა თავადაც ძლიერი ლიგა აქვთ, ევროტურნირებზეც წარმატებით თამაშობენ და მათ ქვეყანაში ჩამოდიან მაღალი დონის ბრაზილიელები და არგენტინელები. ნეტა, ჩემს ქვეყანას ჰქონოდა ასეთი ჩემპიონატი და მეც არსად წავიდოდი.

**– რუსეთიდან არასდროს მიგიღიათ მიწვევა?**

– კი, ერთხელ გერმან ტკაჩენკო მიწვევდა "კრილიაში", მაგრამ შემდეგ ალარ შემხმიანებია.

**– ევროპაში თავს, ალბათ, კომფორტულად გრძნობთ.**

– რა თქმა უნდა. უკვე რამდენი წელია, რაც საქართველო დავტოვე და სხვაგვარად ვერც იქნება. სხვათა შორის, სულაც არ იყო იოლი, საკუთარი შესაძლებლობები ისეთი მწვრთნელებისთვის დამემტკიცებინა, როგორებიც მორტენ ოლსენი, ლუის ვან გაალი და დიკ ადვოკაატი არიან.

**– ალბათ, იცით, რომ ადვოკაატი დღესდღეობით, სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" წვრთნის. როგორ ფიქრობთ, რუსეთში მისი მოღვაწეობა წარმატებული იქნება?**

– მგონი, "ზენიტს" თავისი ხელი უკვე დაატყო. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში კიდევ უფრო ძლიერ გუნდს დააყენებს.

**– მისი დამახასიათებელი თვისება რა არის?**

– ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ერთს იმას გეტყვით, რომ ადვოკაატს სამი ფორვარდით თამაში უყვარს და ამ ტაქტიკას არასდროს ცვლის.

**– მას მკაცრი მწვრთნელის რეპუტაცია აქვს.**

– რა გითხრათ, პროფესიონალი ფეხბურთელი მწვრთნელის მითითების გარეშეც უნდა მიხვდეს, როგორ მოიქცეს.

**– ამას წინათ, ზენიტელებმა, ვლადისლავ რადიმოვმა და ფერნანდო რიქსენმა იჩხუბეს. რიქსენის მხარდამხარ "რეინჯერსში" თამაშობდით. როგორი ტიპია?**

– ნორმალური პიროვნებაა. ჩემი დიდი მეგობარი არ ყოფილა, მაგრამ მასთან ცუდი ურთიერთობაც არ მქონია. ჩხუბიც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, ეს არაა დიდი უბედურება.

**– მიმდინარე სეზონით კმაყოფილი ხართ?**

– რა თქმა უნდა, "ალკმაარისა" და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ხომ არაერთი გოლი გავიტანე.

**– თურქეთის წინააღმდეგ რატომ არ ითამაშეთ?**

– ნაკრების ამხანაგურ მატჩებში თამაშისგან თავს ვიკავებ, ოფიციალურებში კი ბოლომდე დავიხარჯები. თურქეთის დამარცხება, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა.

**– თქვენ მიერ როტერდამის "სპარტის" კარში გატანილი გოლი შეიძლება, სეზონში საუკეთესოდ აღიარონ.**

- ურიგო გოლი მართლაც არ ყოფილა. თუ საუკეთესოდ დაასახელებენ, ძალიან მესიამოვნება.

**– საქართველოში ხშირად ჩადიხართ?**

– მხოლოდ სანაკრებო თამაშებზე, წელიწადში სამ-ოთხჯერ.

**– რუსეთ-საქართველოს გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე რას იტყოდით?**

– რა უნდა ვთქვა, საქმეში ისევ ეს პოლიტიკა ჩაერია, თორემ ხალხს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვს. საქართველო პატარაა, ურთიერთობის დარეგულირების უფრო მეტი ბერკეტი რუსეთს გააჩნია. ბევრი რუსი მეგობარი მყავს, მე და ანდრეი კანჩელსკისი "რეინჯერსში" თამაშის პერიოდში სულ ერთად ვიყავით. საბედნიეროდ, პრობლემები საფეხბურთო ამბებზე არ ასახულა, რუსეთში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაზიდვა ხაზიდან გაუქმლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დაგვიკავშირდით, შეუერთდით, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# თურქაიმ ხელები აწია!



ზურაბ ხიზანიშვილი

**ინგლისელთა შორის, საქართველოს ნაკრებისა და "ბლექბერნის" მცველ ზურა ხიზანიშვილს, უეფას თასზე "ბლექბერნი" "ლევერკუზენის" გასვლით მატჩში არ უთამაშია. ინგლისის ასოციაციის თასსა და პრემიერლიგის მორიგ ტურში კი მოედანზე ისევ გამოჩნდა.**

**ფეხბურთელი ბოლო ტურებში რატომღაც ძირითადში ხშირად ვერ ხვდებოდა. და როდესაც გუშინ შევეხმიანეთ ზურას, პირველად სწორედ უთამაშებლობის მიზეზზე დავეკითხეთ.**

- სამწუხაროდ, საზარდული მაწუხებდა და გერმანიაში ამიტომ ვერ ვითამაშე. თურქეთთანაც ამიტომ გახდა საეჭვო ჩემი თამაში. ზაფხულში, მოსამზადებელ ეტაპზე ამტკივდა და შემდეგ სულ თავს მახსენებს. ეს ცოტა უცნაური ტრავმაა. შეიძლება, ტკივილი უცებ გამიქრეს. შესაძლოა, ოპერაცია დამჭირდეს. თუმცა ამ დროს იოლი ოპერაცია კეთდება. მესამე ვარიანტი გამაყუჩებლით თამაშია, მაგრამ წამალზე ცუდი რეაქცია მაქვს და ვერიდები.

**- ანუ ფრანგმა სამბამ შემადგენლობიდან ამოაგდოო, არასწორი ვერსიაა?**

- მე ასე საეჭვოდ "ბლექბერნში" საქმე არ მაქვს. ლუკასი "ვესტ ჰემში" რომ წავიდა, რამდენჯერმე მარჯვენა მცველად მათამაშა მწვრთნელმა, რადგან სხვებისგან განსხვავებით, მარტო ცენტრში თამაში არ შემიძლია. სამბა კი ჩემს ამოსაგდებად არ შეუძენიათ. უბრალოდ, მეტი კვალიფიციური მოთამაშე დაგვჭირდა. გერმანიაში თამაშამდე მწვრთნელი მელაპარაკა და თავად ვთხოვე, შემადგენლობაში არ დავეყენებინე. ასოციაციის თასზე "არსენალთან" შეხვედრაშიც საჭვო იყო ჩემი თამაში.

**- საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ ძლიერ მეტოქეებთან მოიგო - ურუგვაისა და თურქეთთან. ასეთი მოგება ცალკეულ მოთამაშეებზეც კარგად მოქმედებს და მთლიანად გუნდზეც. მოკლედ, შოტლანდიასთან მატჩამდე იმედმა გაიღვიძა. შენი აზრით, საფუძვლიანია ეს იმედი?**

- ურუგვაისთან მე არ მითამაშია, მაგრამ ვნახე და ჩვენებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით დაცვაში გამართული ფეხბურთი აჩვენეს. ეს საბოლოოდ ანგარიშზეც აისახა.

თურქეთან ხასიათიც გვქონდა, სწორადაც ვითამაშეთ და რაც მთავარია, ხალხმა გაიხარა. აქ სხვა დაწოლა იყო მაყურებლისგან. თურქებმა მეზობლურ დერბად მონათლეს და თამაშის მნიშვნელობაც აქედან ჩანდა. უამრავი მაყურებელი რომ მოვიდა, ჩვენზე ძალიან კარგად იმოქმედა. თამაშიც საჩვენოდ წარიმართა და პირველი ტაიმი 0:0 რომ დამთავრდა, სხვა სტიმული გაგვიჩნდა. მაშინ ვირწმუნეთ ჩვენი ძალების.

საერთოდ, ყველას, ჩვენი ოჯახის წევრი იქნება, ნათესავი თუ ძმაკაცი, ერთი კითხვა უჩნდება. კალაძე "მილანში", კობიაშვილი "შალკეში", არველაძე "ალკმაარში" ლიდერები არიან. არიან სხვა ძლიერი მოთამაშეებიც, რომლებიც კლუბში ძალიან კარგად თამაშობენ და ნაკრებში, ერთად რა გემართებათო... ან ლომაიას და აშვეთიას ამბავი აილეთ, წავიდნენ გერმანიაში და უცებ ხალხს თავი მოაწონეს. გამოდის, თამაში მართლა შეგვიძლია.

მე მიჭირს პასუხის გაცემა, რა გვემართება პრინციპულ თამაშებში. რა არის ეს? პასუხისმგებლობის ნაკლებობა? არა მგონია, ყველას გვინდა შოტლანდიაში მოვიგოთ და თბილისის აეროპორტში 10 ათასი გახარებული ადამიანი დაგვხვდეს.

ალბათ, სათამაშო დისციპლინაში მოვიკოჭლებთ. ეს კი ნაკლები მობილიზების ბრალია. ზუსტად მიჭირს თქმა. ყველაფერს ვერ ახსნი. არადა, თამაში ნაღდად შეგვიძლია და ამაში კიდევ ერთხელ თურქებთან დავრწმუნდი.

**- ანუ გინდა თქვა, რომ შოტლანდიასთან მოვიგებთ, მობილიზებულები თუ ვიქნებით?**

- ასე გადაჭრით რომ ვთქვა, მოვიგებთ-მეთქი, გაუმართლებელი იქნება. თუმცა შედეგი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ჩვენს მობილიზებასთან. ამაში ეჭვიც არ მეპარება.

ხომ ნახეთ, რა ნიჭიერი ბიჭები გამოჩნდნენ? ელიავამ პირველად ითამაშა თბილისში და თურქები არა მარტო გააჩერა, მათსავე მოედანზე "პადსებიას" უკეთებდა. სირაძეს ბურთი არ დაუკარგავს და ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა. მე ორივე ძალიან მომეწონა. მთავარია, ჩვენს თამაშს მივაგენით და შოტლანდიაშიც ასეთი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ.

**- შენმა თანაგუნდელმა თურქმა თუგაიმ სანაკრებო კარიერა თბილისში დაასრულა. თამაშზე ინგლისშიც ისაუბრებდით...**

- სტამბულიდან ინგლისამდე ერთად ვიფრინეთ და რაზე ვილაპარაკებდით? კაცი 36 წლისაა, ოთხი წელი ნაკრებში არ უთამაშია და გაცილებას უწყობდნენ. ბუნებრივია, მოგება სურდა. კი, მსაჯის ერთი-ორი ჩასტვენა არ მოიწონა, მაგრამ მასზე მეტად, ახალგაზრდა თანაგუნდელებზე იყო გამწარებული, უფრო მეტს ლაპარაკობენ, სარგებლობა კი ნაკლები მოაქვთო. თავად აღიარა, რომ მსაჯმა ალთინტოპი და თექე დაინდო და წითელი არ უჩვენა. გოგუა ძალიან მოეწონა, რა პასი მისცა, გოლიც ალალად გაგვიტანეთო. საერთოდ, ჩვენი ნაკრები ძალიან მოეწონა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# დინამომ ალადაშვილი დაიტოვა

კიევის "დინამომ" ისრაელში მესამე შეკრება დაასრულა. გუნდის ხელმძღვანელობამ ამჯერად უჩვეულოდ ბევრი მოთამაშე წაიყვანა გასასინჯად. უინტერესო არ უნდა იყოს, თუ რას ფიქრობს კიევის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **ანატოლი დემიანენკო** საქართველოს ნაკრების წევრის, **კახა ალადაშვილის** დარჩენის პერსპექტივაზე:

*"ძირითად გუნდში კვლავ წავიყვანეთ ალადაშვილი და მას თავის გამოჩენის შანსი მივეცით. რა შემიძლია მასზე გითხრათ? ჯერჯერობით იგი გუნდში დარჩება. მის მიმართ განსაკუთრებული პრეტენზია არც გამაჩნია. ალადაშვილი დასკვნით შეკრებაზეც გამოგვყვება და ვნახავთ, თავს როგორ გამოიჩენს".*

კახას მიმართ ინტერესი ისრაელის ლიდერმა კლუბებმაც გამოხატეს, თუმცა დროებით ეს საუბრები შეჩერებულია. კახას თავდაპირველად კიევის "არსენალში" წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი და მხოლოდ "დინამოს" ხელმძღვანელთა მოთხოვნით გაემგზავრა უკრაინულ შეკრებაზე. როგორც ჩანს, არც არაფერი აქვს სანანებელი.

კახას გუშინ დავუკავშირდით და არაერთი სიახლე გვითხრა:

- ხვალ კიევის "დინამო" ესპანეთში ბოლო შეკრებას იწყებს და მეც გუნდს მივყვები.

**- რჩები თუ არა კიევის "დინამოში"? ეს დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.**

- დიახ, ვრჩები და ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია.

**- დემიანენკო ამბობს, რომ ალადაშვილის საკითხი ესპანეთის შეკრების შემდეგ უნდა გაირკვესო.**

- არა, საკითხი თავად გადაწყვიტა და მითხრა კიდეც. საერთოდ, "დინამოს" ხელმძღვანელებმა ამ საკითხზე დაილაპარაკეს და მეც მათ პასუხს ველოდი. ძალიან მიხარია, რომ ასე მოხდა. კიევის "დინამოს" ძირითად შემდგენლობაში მოხვედრის შანსი მიჩნდება.

**- თუ არ ვცდებით, მარჯვენა მცველის პოზიციაზე შენი კონკურენტი რუსი ეშჩენკოა.**

- ის უკვე ჩემი კონკურენტი არაა.

**- რატომ დაიმტვრა?**

- არა, შეკრების შემდეგ ეშჩენკო ისევ დუბლებში დააბრუნეს. ჩემსა და მას შორის აკეთებდნენ არჩევანს და მითხრეს, შენ გტოვებთო.

**- ანუ ძირითადისკენ გზა გაგეხსნა.**

- ეს უკვე მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული. კიევის "დინამოში" დიდი კონკურენციაა და ადგილის მოსაპოვებლად ყოველთვის ბრძოლაა საჭირო.

**- გამოდის, "დნეპრში" არენდა წაგადგა.**

- ვერ ვიტყვი, რომ იქ ყოველთვის ვთამაშობდი. თუმცა უკრაინულ ფეხბურთს ნაღდად შევეჩვიე.

**მერაბ მამულაშვილი**

# მწვრთნელს უნდა, პრეზიდენტს არა

რას გაიგებ, რა ხდება ზაპოროჟიეს "მეტალურგში". რამდენიმე დღის წინათ იწერებოდა, რომ მწვრთნელს მოეწონა კლუბში გასინჯვაზე მყოფი **გიორგი ციმაკურიძე** და მისი დარჩენაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. დღეს კი ირკვევა, რომ ქართველმა ფეხბურთელმა "მეტალურგი" დატოვა.

გუშინ უკრაინელებმა გაავრცელეს "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის, **სერგეი იაშჩენკოს** ნათქვამი, სადაც ის უკმაყოფილებას გამოთქვამს კლუბის ხელმძღვანელთა მიერ წარმოებულ სატრანსფერო პოლიტიკის გამო და ფიქრობს ასეთ ვითარებაში ღირს თუ არა საერთოდ მწვრთნელად დარჩენა. იაშჩენკოს უკმაყოფილება პრეზიდენტის მიერ ციმაკურიძის და **გოლოპეროვის** შეძენაზე უარის თქმამ გამოიწვია. მე მინდოდა მათი დატოვება, პრეზიდენტმა კი უარი მითხრაო.

თავად პრეზიდენტმა **ანდრეი კურგანსკიმ** კი იაშჩენკოს ნათქვამი მეტად მშვიდად აღიქვა და აღნიშნა, რომ მწვრთნელი უბრალოდ ზედმეტად ემოციურია და მის ნათქვამს რეალურ ვითარებასთან საერთო არაფერი აქვს.

*"საიდან მოიტანეთ, რომ ციმაკურიძის ყიდვას ვაპირებდით? ამის თაობაზე მწვრთნელს ჩემთან სიტყვაც კი არ დაუძრავს. ის ჩამოვიდა გასინჯვაზე, როგორც სხვა არაერთი, მაგრამ უკანვე წავიდა. რაც შეეხება გოლოპეროვს, საკუთარი თვალით მინდოდა დავრწმუნებულიყავი მის სიძლიერეში და მესამე შეკრებაზე წასვლა ვთხოვე, მან კი ეს რატომღაც არ ისურვა. განა მე ვარ დამნაშავე ამაში? ის, რომ ჩვენ ისინი არ ვიყიდეთ, სულაც არ ნიშნავს, რომ "მეტალურგი" არ გაძლიერდება. მოკლე ხანში ჩვენს კლუბში გამოჩნდებიან მაღალი კლასის ახალი ფეხბურთელები"*, - აღნიშნა უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბარში კურგანსკიმ.

ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ გიორგი ციმაკურიძის ზაპოროჟიეს "მეტალურგში" გადასვლა გამოირიცხა. "სტალში" დაბრუნდება თუ სხვა კლუბს მოძებნის ქართველი ფეხბურთელი, ახლო მომავალში გაირკვევა.

ლეგიონერები

# ვენტსპილსი გიგაურს ითხოვს და იმედაშვილს იმატებს

ლატვიის ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" კიევის "დინამოდან" **დავით იმედაშვილი** ინათხოვრა. დათო უკრაინული გრანდის ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა და განათხოვრება მოითხოვა. საქართველოს ნაკრების კანდიდატს სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენა არ სურდა და რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა.

როგორც შევიტყვეთ, მას ორი ვარიანტი შესთავაზეს, ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში ან ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" განათხოვრება. ქართველმა ბალტიისპირეთში თამაში ამჯობინა.

დათო უკვე ანთალიაშია და "ვენტსპილსთან" ერთად ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, 22 წლის მცველი ლატვიის ჩემპიონს ნახევარი წლით დაეხმარება.

"ვენტსპილსში" ისინჯებოდა თბილისის "დინამოს" მცველი **დავით გიგაური**, რომელიც დღეს თბილისში ჩამოფრინდება. როგორც შევიტყვეთ, მან გუნდის მთავარ მწვრთნელ **რომან გრიგორჩუკს** თავი მოაწონა და მას კონტრაქტიც შესთავაზეს. თუმცა მანამდე 20 წლის მცველმა თბილისის "დინამოს" საბოლოო პირობები უნდა შეიტყოს. ლატვიელებს სურთ, იცოდნენ, საქართველოს 11-გზის ჩემპიონი საკომპენსაციოდ რა თანხას ითხოვს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით გიგაური

## სამკაციანი დაცვის ბურჯი

როგორც ჩანს, გამოჯანმრთელების შემდეგ, **მალხაზ ასათიანის** პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზრდება. საქმე ისაა, რომ მოსკოვის "ლოკომოტივის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ანატოლი ბიშოვეცი** ახალ სეზონში სამკაციანი დაცვით თამაშს აპირებს. ოღონდ, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ქართველი უნივერსალი მოედანს დაუბრუნდება.

*"მალხაზის დაბრუნებამდე ამას ვერ გავრისკავთ და ორი ცენტრალური მცველით ვითამაშებთ, ხოლო როცა იგი გამოჯანმრთელდება, დარწმუნებული ვარ, სამმცველიან განლაგებაში თავისუფლად შეძლებს ცენტრის გამაგრებას"*, - ამბობს ბიშოვეცი.

## გიგიაძე წარმატებით დაბრუნდა

რამდენიმეკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანს **ვასილ გიგიაძე** დაუბრუნდა. ქართველმა ფორვარდმა რუმინული "სპორტულის" წინააღმდეგ საკონტროლო შეხვედრაში ითამაშა. მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. მართალია, გიგიაძეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ უკრაინული პრესის ინფორმაციით, "კრივბასის" შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ვასომ რუმინელებთან შეცვლაზე ითამაშა, თუმცა, სავარაუდოდ, მომდევნო შეხვედრებში იგი უკვე ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდება. უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეს გიგიაძე სრულ მზადყოფნაში შეხვდება. შეგახსენებთ, იგი პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიერი ანრი და გიორგი დემეტრაძე

ახალი ბოსმანი

# სასამართლო დაიწყო

## აბა, ერთი მაგის კონტრაქტი გვანახეთ...

საუკეთესო დაცვა თავდასხმაა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამაც "დემეტრაძის საქმეში" ქართველი ფეხბურთელის კლუბთან პროფესიული კონტრაქტის ორიგინალის სასამართლოში წარდგენა მოითხოვა. ამ საქმეში შესაძლოა ყველაფერი სუფთად არ იყოს გაკეთებულიო, თავისი მოთხოვნის მიზეზი ახსნა ფედერაციამ. უკრაინული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ არც ეს იკმარა და თავად "მეტალურგის" დოკუმენტაციის შემოწმებაც გადაწყვიტა.

სასამართლო სხდომა, რომელმაც **დემეტრაძის** სარჩელი უნდა განიხილოს, გუშინ გაიმართა კიევის პეჩორის რაიონულ სასამართლოში. სხდომას მოსარჩელის გარდა – მის ინტერესს ადვოკატი იცავდა - ყველა დაესწრო, რამაც ბუნებრივია მეორე მხარის უკმაყოფილება გამოიწვია და სხდომის შემდეგ არასასიამოვნო კომენტარის გაკეთების საშუალება მისცა. *"საინტერესოა რატომ არ დაესწრო დემეტრაძე სხდომას. პრინციპში ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მიხვდა, რომ ჩაიჭრებოდა"*, - განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა.

დემეტრაძის არყოფნით უკმაყოფილება გამოთქვა მოსამართლემაც, რომლის თქმითაც, ქართველი ფეხბურთელის მოთხოვნები გაურკვეველია და არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული. თავად ფეხბურთელმა პირველ სხდომაზე დასწრება სავალდებულოდ არ მიიჩნია. მისი ადვოკატის თქმით, საქმის განხილვის ამ ეტაპზე დემეტრაძის გამოჩენა სასამართლოში საჭირო არაა. *"მას თავისი საქმე აქვს, კლუბთან ერთად ემზადება. როცა კი ამის საჭიროება შეიქმნება, ის აუცილებლად გამოცხადდება სხდომაზე. მას დასამალი არაფერი სჭირს"*, - აღნიშნა ადვიკატმა.

პირველ სხდომაზე მხარეებმა მოსამართლეს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები გადასცეს. ფედერაციის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები "მეტალურგმა" მეორე სხდომაზე უნდა წარმოადგინოს, რომელიც 2 მარტისთვისაა დანიშნული.

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
| --- | --- | --- | --- |
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე-ბათუმი) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ორი შეკრება ანთალიაში |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონლაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, ნუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) | ბორჯომი |
| მერანი | — | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე | საჩხერე, თბილისი |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კველიშვილი, სოსელია, ნუწუნავა (ლოკომოტივი), კველიშვილი (მერანი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი | თელავი |

# თბილისიდან ეინდჰოვენამდე

ლონდონის "არსენალი" და დონეცკის "მეტალურგი" ეინდჰოვენში ერთ სასტუმროში ცხოვრობენ. ინგლისელებს გუშინ ჩემპიონთა ლიგის მატჩი უნდა გაემართათ, უკრაინელები კი შეკრებაზე არიან. ჰოდა, სწორედ ამ სასტუმროს ჰოლში განვითარდა ჩვენთვის საინტერესო მოვლენები. სასტუმროში შესული **ტიერი ანრი გიორგი დემეტრაძეს** წააწყდა და... *"ფეხბურთელებმა უცებ იცნეს ერთმანეთი. საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებები ხომ ცოტა ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. დიდხანს საუბრობდნენ და ხუმრობდნენ"*, - იუწყება "მეტალურგის" პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**

გამოკითხვა

# მხოლოდ კალაძე

უცხოურ მედიაში ხშირად იმართება სხვადასხვა სახის გამოკითხვები. ამ რამდენიმე დღის წინ, უკრაინელებმა პოსტსაბჭოთა სივრცის სიმბოლური ნაკრების შედგენის მიზნით მოაწყეს გამოკითხვა. ის უკვე დასრულდა და საბოლოო შედეგებსაც გაცნობებთ. თითოეულ პოზიციაზე 6-6 ფეხბურთელია დასახელებული. ამ ექვსეულებში არაერთი ქართველია დასახელებული, მაგრამ გამარჯვებულ 11-ეულში მხოლოდ ერთი ქართველი, ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძეა**. საერთოდ კი ამ ჩამონათვალში კალაძის გარდა კიდევ 6 ქართველი ფეხბურთელია, ხუთ პოზიციაზე.

მეკარეები: 1. იგორ აკინფეევი (ცსკა, რუსეთი) – 51.2%; 2. ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო, უკრაინა) – 37.2%; 3. ბოგდან შუსტი (შახტიორი, უკრაინა) – 9.9%; 4. დმიტრი ბოროდინი (ტორპედო, რუსეთი) – 0.7%; 5. ალექსანდრ კოლინკო (რუბინი, ლატვია) – 0.6%; 6. იური ჟევნოვი (მოსკვა, ბელარუსი) – 0.5%.

მარჯვენა მცველები: 1. ვასილი ბერეზუცკი (ცსკა, რუსეთი) - 38.5%; 2. ვლადიმირ ეზერსკი (დნეპრი, უკრაინა) – 34.4%; 3. ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი, რუსეთი) – 18.1%; 4. სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, ბელარუსი) – 4.3%; 5. მარიუს სტანკევიჩუსი (ბრეშა, ლიტვა) – 3.8%; 6. სერგეი ომელიანჩუკი (ლოკომოტივი, ბელარუსი) – 0.9%.

ცენტრალური (მარჯვენა) მცველები: 1. ანდრეი რუსოლი (დნეპრი, უკრაინა) – 58.2%; 2. სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა, რუსეთი) – 25.9%; 3. სერგეი ფიოდოროვი (დინამო, უკრაინა) – 11.7%; 4. ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, საქართველო) – 3.6%; 5. იგორ სტეპანოვსი იურმალა, ლატვია) – 0.4%; 6. მარიუს ჟალიუკასი (ჰართსი, ლიტვა) – 0.2%.

შუა (მარცხენა) მცველები: 1.დმიტრი ჩიგრინსკი (შახტიორი, უკრაინა) – 65.0%; 2. მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი) - 17.1%; 3. დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი) – 10.7%; 4. დენის კოლოდინი (დინამო, რუსეთი) – 5.7%; 5. სერგეი სტანიუკი (ლუჩ-ენერგია, ბელარუსი) – 1.2%; 6. ანდრიუს სკერლა (ტომი, ლიტვა) - 1.0%.

მარცხენა მცველები: 1. კახა კალაძე (მილანი) – 67.4%; 2. ანდრეი ნესმაჩნი (დინამო, უკრაინა) – 14.2%; 3. ანდრეი ბერეზუცკი (ცსკა, რუსეთი) – 10.6%; 4. რომან შიშკინი (სპარტაკი, რუსეთი) – 6.7%; 5. დავით კვირკველია (მეტალურგი.ზ. უკრაინა) – 0.8%; 6. კარენ დოხოიანი (კრილია, სომხეთი) – 0.3%.

საყრდენი ნახევარმცველები: 1. ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტიორი, უკრაინა) – 70.8%; 2. ანდრეი გუსინი (კრილია, უკრაინა) – 11.1%; 3. ევგენი ალდონინი (ცსკა, რუსეთი) – 8.3%; 4.ოლეგ შელიაევი (დნეპრი, უკრაინა) – 5.4%; 5. ალექსეი სმერტინი (ფულემი, რუსეთი) – 4.0%; 6. რადუ რებეჟა (სატურნი, მოლდოვა) – 0.4%.

მარჯვენა ნახევარმცველები:1. ოლეგ გუსევი (დინამო, უკრაინა) – 54.7%; 2. ვლადიმირ ბისტროვი (სპარტაკი, რუსეთი) – 22.2%; 3. სერგეი რებროვი (დინამო, უკრაინა) – 21.5%; 4. ტიმოფეი კალაჩევი (როსტოვი, ბელარუსი) – 0.7%; 5. საილიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, ლიტვა) – 0.5%; 6. ალბერტ სარქისიანი (ამქარი, სომხეთი) – 0.4%.

მარცხენა ნახევარმცველები: 1.მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, უკრაინა) – 39.3%; 2. იური ჟირკოვი (ცსკა, რუსეთი) – 30.5%; 3. ლევან კობიაშვილი (შალკე) – 15.4%; 4. დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი, რუსეთი) – 9.0%; 5. ანდრეი კარიაკა (ბენფიკა, რუსეთი) – 4.9%; 6. ედგარას ჩესნაუსკასი (სატურნი, ლიტვა) – 1.0%.

შემტევი ნახევარმცველები: 1. ალექსანდრ გლები (არსენალი.ლონ. ბელარუსი) – 67.9%; 2. სერგეი ნაზარენკო (დნეპრი, უკრაინა) – 12.2%; 3. ეგორ ტიტოვი (სპარტაკი, რუსეთი) – 10.1%; 4. ალექსანდრ რიკუნი (დნეპრი, უკრაინა) – 5.2%; 5. დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი, რუსეთი) – 3.9%; 6. დავით მუჯირი (კრილია) – 0.7%.

პირველი ფორვარდები: 1. ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, უკრაინა) – 86.7%; 2. ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია, რუსეთი) – 4.9%; 3. მაქსიმ შაცკიხი (დინამო, უზბეკეთი) – 2.5%; 4. პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი, რუსეთი) – 2.5%; 5. შოთა არველაძე (ალკმაარი) – 2.0%; 6. სერგეი კორნილენკო (დნეპრი, უკრაინა) – 1.3%.

მეორე ფორვარდები: 1. ანდრეი ვორონინი (ბაიერი, უკრაინა) – 47.5%; 2. ანდრეი არშავინი (ზენიტი, რუსეთი) – 38.2%; 3. არტემ მილევსკი (დინამო, უკრაინა) – 10.2%; 4. ივან საენკო (ნიურნბერგი, რუსეთი) – 2.1%; 5. მარი!ს ვერპაკოვსკისი (ხეტაფე, ლატვია) – 1.6%; 6. ანდრეს ოპერი (როდა, ესტონეთი) – 0.3% .

მწვრთნელები: 1. ოლეგ ბლოხინი (უკრაინის ეროვნული ნაკრები) – 74.6%; 2. ვალერი გაზაევი (ცსკა, რუსეთი) – 14.2%; 3. ოლეგ რომანცევი – 2.8% 4. ვიაჩესლავ გროზნი – 2.8%; 5. გაჯი გაჯიევი – 1.8%; 6. ანატოლი ბიშოვეცი (ლოკომოტივი.მ.) – 1.4%; 7. ალექსეი მიხაილიჩენკო (უკრაინის 21-წლამდელთა ნაკრები) – 0.9%; 8. ალექსანდრ სტარკოვსი – 0.7%; 9. ედუარდ მალოფეევი – 0.6%; 10. ვალდას ივანაუსკასი (ჰართსი) – 0.3%.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი და სამწვრთნელო საკითხი

# კაპელოს ბოლო მატჩი?

## ■ მიატოვიჩი: ვენდობით, მაგრამ გამორიცხული არაფერია...
## ■ კალდერონი: ერთ ცენტსაც ვერ მიიღებ...

**ფაბიო კაპელოს მადრიდული მომავალი, "ბაიერნთან" გუშინდელი მატჩის მიუხედავად, ბოლომდე გაურკვეველია. ორშაბათის მოვლენებზე გუშინდელ ნომერში ვწერდით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ სახელოვან მწვრთნელს პოსტის დატოვება შესთავაზა. ეს იმთავითვე საეჭვო იყო, რადგან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის წინა დღეს, როცა ბარიკადების მეორე მხარეს ესოდენ პრინციპული მეტოქეა, ჭკუადმყოფელი პრეზიდენტი მწვრთნელს არ მოხსნიდა. "რეალის" პრესსამსახურმა დაადასტურა კიდეც, კაპელოს გადაყენებაზე გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და მეტი არაფერიო. თუმცა არის მეორე მხარეც: თავად დონ ფაბიომ ხომ არ მოითხოვა გადადგომა? მაგრამ ესეც დაუჯერებელია, რადგან ელემენტარულ ლოგიკაში ვერ ჯდება. თუ წასვლა უნდოდა, კაპელოს ეს შაბათს, "ბეტისთან" მატჩის (0:0 მადრიდში) შემდეგ უნდა განეცხადებინა და არა "ბაიერნთან" თამაშის წინ, ლამის მოთელვის დროს...**

მაგრამ დასტურდება ინფორმაცია, რომ ორშაბათს **ფაბიო კაპელოს** შეხვედრა ჰქონდა პრეზიდენტ **რამონ კალდერონთან** და სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩთან**. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი "ელ მირადორთან" გუშინდელ ინტერვიუში არც უარყოფს ამას: *"დიახ, ჩვენ გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, მუშა შეხვედრა იყო. მნიშვნელოვანი თამაშების წინ ყოველთვის ვხვდებით ერთმანეთს, ან ტელეფონით ვსაუბრობთ. მაგალითად, გუშინ სერხიო რამოსზე გვქონდა მსჯელობა. ვბჭობდით იმაზე, თუ რატომ მოუკლო ამ ფეხბურთელმა... ანუ, იმის თქმა მსურს, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება. ვაღიარებთ, მდგომარეობა არც ისე მარტივია, მაგრამ ამ სიტუაციიდან კაპელოსთან ერთად უნდა გამოვიდეთ. ჩვენ მას ვენდობით. დიახ, ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ესეც ხომ ბუნებრივია? წარმოუდგენელია, ყველაფერზე ერთი აზრი გვქონდეს...*

*...ახალი ციკლი? ის უკვე დაიწყო. შემადგენლობა ნელ-ნელა შეიცვლება. ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელი წავა. კაპელოს სრული კარტ-ბლანში აქვს. ის უშუალოდ მონაწილეობს სასელექციო პროცესებში. ვინც იცნობს "რეალის" დღევანდელ ხელმძღვანელობასა და მის პოლიტიკას, უთუოდ დამეთანხმება, რომ პრიორიტეტს ყოველთვის მწვრთნელის აზრს ვანიჭებდით და ასე იქნება მომავალშიც. და არც ფაბიოა ის კაცი, ვინმეს მის საქმეში ჩარევის უფლება მისცეს. ვიმეორებ, ჩვენი ურყევი სურვილია, კაპელო მადრიდში კონტრაქტის ბოლომდე დარჩეს და შეასრულოს ის მისია, რისთვისაც მოვიდა. მან ტიტულები უნდა მოიგოს. ერთი სიტყვით, ის ისევ "რეალის" მწვრთნელია და შაბათსაც თავის სკამზე იჯდება... თუმცა ფეხბურთში არაფერია გამორიცხული. საბოლოო ჯამში, ყველაფერს მაინც შედეგები განსაზღვრავს. ჩვენ, ყველა - პრეზიდენტიც, დირექტორატიც, მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც, სწორედ რომ შედეგის ტყვეები ვართ".*

აჰა! აი, თურმე რაშია საქმე. სჯობდა, მიატოვიჩს ბოლო ფრაზიდან დაეწყო - არაფერია გამორიცხული, მთავარი შედეგიაო. ანუ შედეგი, რომელიც, დღესდღეობით, არავის აკმაყოფილებს. "ბეტისთან" შაბათის მატჩის შემდეგ, უკვე მერამდენედ, "სანტიაგო ბერნაბეუმ" იტალიელ სპეციალისტს ობსტრუქცია მოუწყო. კალდერონმა და მიატოვიჩმა მშვენივრად უწყიან, რომ თუ რაღაც არ იღონეს, ქომაგთა მზარდი უკმაყოფილება ერთ მშვენიერ დღეს თავად შემოუტრიალდებათ. აკი გაჩნდა კიდეც "ბერნაბეუზე" ტრანსპარანტი: *"კალდერონ, გადადექი"*! წესით, "რეალის" უფროსობა სერიოზულად უნდა იყოს შეფუცხუნებული...

### ბოლო მატჩი?

გუშინდელმა ესპანურ-იტალიურმა პრესამ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვერსია შემოგვთავაზა. მაგალითად, "მარკა" წერს, რომ "ბაიერნთან" მატჩში კაპელო "რეალს" ბოლოჯერ უხელმძღვანელებს, განურჩევლად შედეგისა: *"კაპელო დამთავრებულია"*! - ვკითხულობთ გაზეთში. ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით, პოპულარული გამოცემა იმასაც ამტკიცებს, რომ თავად მწვრთნელმა, მუქარის ტონით, კონტრაქტის გაწყვეტა მოითხოვა, რაზეც კალდერონმა მიანიშნა - ამ შემთხვევაში კომპენსაციად ერთ ცენტსაც ვერ მიიღებო. ფინანსურად, კაპელოს გადაყენება "რეალს" ნამდვილად არ აწყობს. წარმოიდგინეთ, იტალიელს კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული. სეზონურად მან 5.2 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. "რეალის" მხრიდან ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, კაპელოს სრული იურიდიული უფლება აქვს, კომპენსაციის სახით 13 მილიონი დოლარი მოითხოვოს. ცხადია, კალდერონი ამაზე ვერ წავა. ამას გარდა, "მარკა" იმასაც გვამცნობს, თითქოს კლუბმა მწვრთნელს გადადგომის განცხადების დაწერა და კომპენსაციაზე მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.

კაპელოს უკანასკნელ შანსზე წერს პრო-"რეალისტურად" განწყობილი "ასიც": *"ან სიცოცხლისკენ დაბრუნება, ან საბოლოო ჯოჯოხეთი"*. საყურადღებოა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელსაც ამავე გამოცემაში ვაწყდებით - თურმე, კაპელოს წარუდგინეს იმ 11 ფეხბურთელის ჩამონათვალი, ვინც "ბაიერნთან" მატჩის სასტარტოში უნდა მოხვდეს. შემადგენლობა შემტევი უნდა იყოს: წინ **ვან ნისტელროი** და **რაული**, ოდნავ უკან მოიერიშე ნახევარმცველები - **გუტი** და **რეიესი**, ხოლო საყრდენებად **ბექჰემი** და ახალგაზრდა **გახო**...

### მემკვიდრის საკითხი

ცხადია, უკვე გაცხარებული მსჯელობა მიდის იმაზეც, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს კაპელო "რეალის" ცხელ და დაწყევლილ სკამზე. გუშინ, "ასმა" სახელდახელო გამოკითხვაც მოაწყო. მასში 98 301 გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. ალმოჩნდა, რომ 43 პროცენტი მხარს უჭერს **ბერნდ შუსტერის** კანდიდატურას, 26 პროცენტი **ვისენტე დელ ბოსკეს** დაბრუნებას ემხრობა, 18 პროცენტს მიაჩნია, რომ იდეალური ვარიანტი **ჟოზე მოურინიო** იქნებოდა, თავად კაპელომ მხოლოდ 8 პროცენტი მოაგროვა და ამაზე ნაკლები, 5 პროცენტი მიიღო "რეალის" ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელმა **ხუან კარლოს მანდიამ**, რომელსაც საფეხბურთო სამყარო **მიჩელის** (გეხსომებათ, "რეალის" ყოფილი ფორვარდი) სახელით იცნობს.

შუსტერი ამჟამად "ხეტაფეს" წვრთნის. თავის დროზე, მას "რეალშიც" უთამაშია, "ბარსელონაშიც" და "ატლეტიკოშიც" (ყველა მტრული ბანაკი მოიარა). თუმცა აქ მთავარი ეს არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ შუსტერი კაპელოს გუშინდელი ვიზავის, **ოტმარ ჰიტცფელდის** ყველაზე სავარაუდო შემცვლელადაც სახელდება. როგორც იცით, "ბაიერნში" მისვლა მას პირადად **ფრანც ბეკენბაუერმა** შესთავაზა. ასე რომ, კაპელოს წასვლის შემთხვევაში, "ცისფერთვალება ანგელოზი" სერიოზული თავსატეხის წინაშე დადგება.

რაც შეეხება დელ ბოსკეს, მის დაბრუნებას "რეალის" ფანების ერთი ნაწილი კარგა ხანია ითხოვს. მათ მიაჩნიათ, რომ დელბოსკესეული ფეხბურთი ზედმიწევნით ესადაგება სამეფო კლუბის ძველთაძველ ფილოსოფიას. ესეც არ იყოს, ბოლო ათწლეულში მადრიდულ გრანდს ყველაზე მეტი ტიტული სწორედ "ლიპიანმა ულვაშამ" მოაგებინა.

მოურინიოს ვარიანტი უფრო საეჭვოა. თუმცა ჟოზესა და "ჩელსის" უფროსობას შორის გამწვავებული ურთიერთობა გაყრის პროცესზე მიგვანიშნებს. მაგრამ რეალურია კი მოურინიოს "რეალში" მისვლა? ფაქტია, "ბლანკოსის" ყბადაღებული ფილოსოფია არანაირად არ ჯდება მოურინიოს ტაქტიკურ-მათემატიკურ ჩარჩოებში.

მიჩელის დანიშვნა რადიო "კადენა კოპემ" გუშინვე იწინასწარმეტყველა და თან პირდაპირ "ბაიერნთან" მატჩისთვის. ერთი სიტყვით, საინტერესო ამბებია მოსალოდნელი და ისლა დაგვრჩენია, ჩვენც მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას...



კალდერონი, მიატოვიჩი და კაპელო



ანტონიო კასანო

რეალი

# კასანო ბრუნდება

## ოქტომბრის შემდეგ, იტალიელი მადრიდელთა მაისურას პირველად მოირგებს

**ანტონიო კასანო** "რეალის" ძირითად გუნდში ბრუნდება. ორშაბათის პრესკონფერენციაზე **ფაბიო კაპელომ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ ბოლო დროს ფეხბურთელმა საგრძნობლად მოუმატა, ზედმეტი კილოგრამებიც დაიკლო და საქმესაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება. კასანო კაპელოს გასული წლის ოქტომბერში დაუპირისპირდა. ფეხბურთელმა მწვრთნელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც სოლიდური ფინანსური ჯარიმა გამოუწერეს და სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს. დეკემბრის მიწურულს ანტონიომ პირველ გუნდთან ერთად განაახლა ვარჯიში, მაგრამ "რეალის" შემადგენლობაში აღარ უთამაშია. იტალიელმა თავდამსხმელმა "რეალის" 23 კალენდარული მატჩიდან მხოლოდ 4-ში ითამაშა. არადა, ის კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახლავთ. მწვრთნელსა და ფეხბურთელს "რომაში" ყოფნის დროსაც ხშირი კონფლიქტები ჰქონდათ. იტალიელი მიმომხილველები თვლიდნენ, რომ კაპელო ყველა მწვრთნელზე უკეთ ახერხებდა მოუთვინიერებელი კასანოს დამორჩილებას.



დავიდ ტრეზეგე

ლივერპული

# ბენიტესი ტრეზეგეს ადასტურებს

## ბელამი განტევების ვაცად გამოიყვანესო

"ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** აღიარა, რომ ახალ თავდამსხმელს იტალიურ ბაზარზე ეძებს. სპეკულაციების თანახმად, ესპანელ მწვრთნელს **დავიდ ტრეზეგე** სურს. ტრეზეგეთი ბენიტესის დაინტერესება ცნობილი ამბავია. სენიორ რაფას იტალიაში მოღვაწე სხვა ფორვარდებიც არ დარჩენია უყურადღებოდ. აი, რა განაცხადა მან "კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში: *"იტალიაში არაერთ ფეხბურთელს ვაკვირდებით - ტრეზეგესაც და სხვებსაც. ჩემი აზრით, არანაკლებ საინტერესო თავდამსხმელები არიან იაკუინტა (უდინეზე), ამაური (პალერმო) და ბოჟინოვი (იუვენტუსი). რამდენიმე იტალიურ კლუბს კი პიტერ კრაუჩის შეძენა სურს."* ერთ-ერთი, ვისაც მერსისაიდელთა თავკაცი გულისხმობს, "იუვენტუსია". იანვრის ტრანსფერებისას ტურინელებმა აყლაყუდა ფორვარდის ამბები წვრილად გამოიკითხეს, მაგრამ მათი დაინტერესება ამაზე შორს არ წასულა. ბენიტესს თანამედროვე ვარსკვლავებზეც დაეკითხნენ: *"დღეს ფენომენები რონალდინიო, კაკა, ტოტი და ვიეირა არიან. ლეო მესი ძალიან მალე მიაღწევს მათ დონეს. კრისტიანო რონალდო თანამედროვეობის საუკეთესო მარჯვენა გარემარბად მიმაჩნია. იტალიაში პირველი კატეგორიის ვარსკვლავები იქნებოდნენ სტივ ჯერარდი და ჯონ ტერი."*

"ლივერპულის" ამბებს ბოლო დღეების ყველაზე ხმაურიანი სკანდალით გავაგრძელებთ. საქმე ისევ პორტუგალიურ ინციდენტს ეხება. ინგლისურმა ტაბლოიდებმა ხელი **კრეიგ ბელამისკენ** გაიშვირეს. ბენიტესმა კი მის გარდა, კიდევ თოთხმეტი ფეხბურთელის დასჯა გადაწყვიტა. ბელამი და **იერჟი დუდეკი**, რომელიც უგონოდ გამოთვრა და საბოლოოდ პოლიციის მარწუხებში ამოჰყო თავი, ორ-ორი კვირის ხელფასებს ვერ მიიღებენ. დანარჩენები კი სასტუმროში დათქმულ დროს არ გამოცხადდნენ და სხვადასხვა დოზით აგებენ პასუხს. "ლივერპულის" ბოსმა დამნაშავეთა ვინაობის გამხელისაგან თავი შეიკავა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ თუ ფეხბურთელებს ფანების თვალში რეაბილიტირება სურთ, "ბარსელონასთან" საუკეთესო თამაში უნდა ჩაატარონ.

გუშინდელმა "ლივერპულ ექომ" მიწასთან გაასწორა "ნიუს ოფ ზე უორლდი" იმ სტატიისათვის, რომლის შემოკლებული ვარიანტი ჩვენს გაზეთშიც შემოგთავაზეთ. "ნიუს ოფ ზე უორლდი" წერდა, რომ ბელამიმ **იონ არნე რიისეს** გოლფის ჯოხი უთავაზა და მძიმედ დააშავა. სინამდვილეში ნორვეგიელს ტრავმა არ მიუღია და არც რომელიმე ვარჯიში გაუცდენია. "ლივერპულ ექოს" აზრით, უელსელი განტევების ვაცად გამოიყვანეს.

ამასობაში, ბელამის მთხოვნელები გამოუჩნდნენ. ინფორმაცია, რომ თავდამსხმელს შეიძლება კარისკენ მიუთითონ, უყურადღებოდ არ დარჩენილა. კრეიგის შეძენა "ასტონ ვილამ" და "ბლექბერნმა" მოისურვეს. ბირმინგემელებმა 8 მილიონი გირვანქა გაამზადეს. თავის დროზე, "ვილის" ბოსმა **მარტინ ონილმა** ბელამი "სელტიკში" ექვსთვიანი იჯარით წაიყვანა. ამ ხნის განმავლობაში თავდამსხმელმა 15 თამაშში 9 გოლი შეაგდო. რაც შეეხება "ბლექბერნს", ის ბელამის ყოფილი კლუბია. კრეიგმა ვარდები გასულ ზაფხულს, "ლივერპულთან" კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი. ტრანსფერები

# კამორანეზი: უარი იუვეს

## დეშამმა ემერსონი უარყო და ძმები მილიტოები მოისურვა

„იუვენტუსმა“ **მაურო კამორანეზის** კონტრაქტის 2010 წლამდე გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო. იტალო-არგენტინელს მიმდინარე ხელშეკრულება 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. კამორანეზის აგენტი გუშინ სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოსა** და სატრანსფერო კონსულტანტ **რობერტო ბეტეგას** შეხვდა, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა. მთავარი მიზეზი, როგორც პრესა იუწყება, ისაა, რომ ნახევარმცველს ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა. 30 წლის მსოფლიო ჩემპიონს არასდროს დაუმალავს, რომ სერია B-ში დარჩენით უკმაყოფილო იყო. ზაფხულში კლუბს მან გაშვება მოსთხოვა, მას შემდეგ, რაც „ვალენსიისა“ და „ლიონის“ წინადადებები მიიღო. გასულ თვეებში გაჩნდა ცნობები, რომ კამორანეზი, „იუვეს“ სხვა ლიდერების მსგავსად, დარჩენის სანაცვლოდ ხელმძღვანელობისგან გუნდის გაძლიერების გარანტიებს ითხოვდა. მისი აგენტი **სერჯო ფორტუნატო** ასეთ განცხადებას აკეთებს: *„ჩვენ ველით, რომ „იუვენტუსი“ ყველაფერში გაგვარკვევს და კლუბის სამომავლო გეგმებს გაგვაცნობს. ასეა თუ ისე, ვიცი, რომ მალე ფრანგული და ესპანური კლუბები დამიკავშირდებიან...“*. იტალიური პრესის მიხედვით, „ლიონსა“ და „ვალენსიას“ კამორანეზის მიმართ ინტერესი ჯერაც არ განელებიათ.

**დიდიე დეშამმა ემერსონის** "იუვენტუსში" დაბრუნებას გამორიცხავს. ბრაზილიელი ნახევარმცველი "რეალს" ვერ მოერგო და იტალიაში დაბრუნება გადაწყვიტა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ბებერ ქალბატონს" მასთან კონტრაქტის გაფორმება სურდა, მაგრამ დეშამის განცხადებამ ვითარებას უმალ მოჰფინა ნათელი: *"იუვეს" ათლეტური აღნაგობის ცენტრალური ნახევარმცველი სჭირდება. ემერსონი? მას წლები ემატება და "რეალშიც" რეგულარულად არ თამაშობს. "იუვე" უნდა გარდაიქმნას, მაგრამ არა იმ ფეხბურთელების ხარჯზე, რომლებიც ოდესღაც მის ღირსებას იცავდნენ."*

ემერსონის რა გითხრათ, მაგრამ "ქალბატონს" არგენტინელი ძმების, **დიეგო** და **გაბრიელ მილიტოებს** ხელში ჩაგდება სურს. ისინი "სარაგოსაში" თამაშობენ. დიეგოს თავის დროზე ჯენოელთა მაისურაც სცმია. მილიტოებმა ესპანეთში საუცხოო კარიერა გაიკეთეს და ახლა უფრო ძლიერ კლუბში გადასვლა უნდათ.



მაურო კამორანეზი

"იუვეს" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ქალბატონმა" "ფიორენტინის" კაპიტან **დარიო დაინელისაც** დაადგა თვალი. დაინელის ფლორენციული კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. მას გაუმჯობესებული პირობები შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელმა თანამშრომლობის გაგრძელებისაგან თავი შეიკავა.

ბაიერნი

# ლუსიო: იყიდეთ ჟუნინიო

## ბრაზილიელის ბრაზილიური რეკომენდაცია

"ბაიერნი" ზაფხულში უმაღლესი კლასის ნახევარმცველის შეძენას რომ გეგმავს, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია და "ლელოს" მკითხველი ინფორმირებულია იმის თაობაზეც, რომ მიუნხენური კლუბის ბოსებს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისთვის, უფრო კონკრეტულად კი ახალი ტოპ-ფეხბურთელისთვის დაახლოებით 30 მილიონი ევრო აქვთ გამზადებული. იყო საუბრები **არიენ რობენსა** და **ფრანკ რიბერიზე**, ასევე არგენტინელ **ხუან რომან რიკელმეზეც**, მაგრამ ამ ეტაპზე სამივე ტრანსფერი თითქმის გამორიცხულია. სამაგიეროდ, რეკორდმაისტერის მცველ **ლუსიოს** ერთი მეტად საინტერესო იდეა აქვს.

"კიკერის" კორესპონდენტის კითხვაზე, სჭირდება თუ არა "ბაიერნს" ახალი ტოპ-ვარსკვლავი, ბრაზილიელმა ასეთი პასუხი გასცა: *"რა თქმა უნდა, ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა - დახარჯავენ თუ არა დიდ თანხას ახალ ფეხბურთელში, ამას ხელმძღვანელები თვითონ გადაწყვეტენ, მაგრამ თუ ჩემი მოსაზრება გაინტერესებთ, ან თუკი ბოსები ჩემს რჩევას გაითვალისწინებენ, მათ სიამოვნებით ვეტყვი შემდეგს: იყიდეთ ჟუნინიო პერნამბუკანო! ეს მართლაც გრანდიოზული ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, "ბაიერნსაც". ჟუნინიო "ლიონში" ყველა თამაშს უმაღლეს დონეზე ატარებს და არაერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავი ოსტატია. თანაც, დისციპლინირებული ფეხბურთელია და ამ მხრივ "ბაიერნის" ჩარჩოებშიც ძალიან კარგად ჯდება. პერნამბუკანო უდიდესი შესაძლებლობების ფეხბურთელია."*

32 წლის ჟუნინიოს ფასი, რომელიც ბრაზილიის ნაკრებში ჩატარებული 40 მატჩისა და 6 გატანილი გოლის შემდეგ "სელესაოდან" წავიდა, დაახლოებით 18 მილიონი ევროა. პერნამბუკანო "ლიონში" 2001 წლიდან თამაშობს, საფრანგეთის პირველობაზე 148 შეხვედრაში 51 გოლი აქვს გატანილი, აქედან უმეტესობა სტანდარტული მდგომარეობებით - ის ხომ საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატია.

თუკი ბავარიული კლუბის ბოსები ლუსიოს დაუჯერებენ, ფაქტია, ჟუნინიოს ხელში ჩაგდება გაუჭირდებათ, რადგან გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჟუნინიომ "ლიონთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. მის ხელშეკრულებას ვადა 2008 წლის ზაფხულში ეწურებოდა, ახლა კი, ბრაზილიელი ფრანგულ გრანდს 2009 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის.



ჟუნინიო

ვარსკვლავი

# ლუკა ტონი: ჯერ ფიორენტინა

## ფორვარდი იუვენტუსთან კონტაქტს უარყოფს და ხელშეკრულების გაგრძელებას ითხოვს...

ბოლო დროს გავრცელებულ ცნობებს, რომ „იუვენტუსი“ **ლუკა ტონის** შეძენაზე მუშაობს, „ფიორენტინის“ მეგოლე გუშინ პირადად გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ფლორენციაში დარჩენის სურვილი აქვს. იტალიური პრესა წერდა, რომ „იუვენტუსი“ ძალიანაა მოწადინებული ფორვარდის გადაბირებით და, რომ ტონისთან და მის აგენტთან წინასწარი მოლაპარაკებებიც კი ჰქონდა გამართული. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა ეს ხმები გუშინ კატეგორიულად უარყო. *„თუ დელა ვალეების ოჯახი „ფიორენტინასთან“ კონტრაქტის გაგრძელებას მთხოვს, მე დაუყოვნებლივ მოვაწერ ხელს* – თქვა შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა – *კლუბის მეპატრონეებთან მე საუცხოო ურთიერთობა მაქვს, თუ მათ ჩემს მომავალზე დალაპარკების სურვილი გაუჩნდებათ, დარწმუნებული ვარ, რომ საერთო ენას უცბად გამოვნახავთ. ამისთვის საკმარისი იქნება, რომ ერთხელ შევხდეთ და გავისაუბრაოთ. თუ დელა ვალეებს ჩემი იმედი კვლავაც ექნებათ, მაშინ პრიორიტეტს მათ მივანიჭებ. რაც შეეხება ბოლო დღეებში ატეხილ მითქმა-მოთქმას, თითქოს „იუვენტუსში“ მივდიოდე, მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ამის თაობაზე საუბარი არავისთან მქონია“.*

„გაძეტა დელო სპორტის“ თანახმად, „ბებერი ქალბატონი“ მზად იყო, 50 მილიონი ევრო გამოეყო ზაფხულში ტონის ტრანსფერის დასაფინანსებლად. *„ამ ხმებმა მეც და სხვა ადამიანებიც ძალიან გაგვალიზიანა, იმიტომ, რომ სრული სიცრუე იყო. საერთო არ მაქვს სურვილი, რომ სატრანსფერო საკითხებზე ვილაპარაკო. ასეთ ხმებს ის ხალხი ავრცელებს, ვისაც უნდა, რომ ცუდი ადამიანის იმიჯი შემიქნას“* – დასძინა ტონიმ.

## დორტმუნდი: პიენაარი დაშავდა!

დორტმუნდის "ბორუსიის" ნახევარმცველმა **სტივენ პიენაარმა** მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" შეხვედრაში (1:0 BVB-ს სასარგებლოდ) ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. 24 წლის სამხრეთაფრიკელს კუნთი დაეჭიმა და როგორც ვესტფალიური გუნდის სამედიცინო შტაბი იტყობინება, პიენაარი **იურგენ რიობერის** სამწყსოს დაახლოებით ერთი თვე ველარ დაეხმარება. ამრიგად, "დორტმუნდს" მინიმუმ უახლოეს სამ ტურში პიენაარის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. მისი ალტერნატივები თურქი **ნური შაჰინი** და **ლარს რიკენი** არიან. პიენაარმა მიმდინარე სეზონში 18 თამაშში მიიღო მონაწილეობა, თუმცა საუცხოო შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის - არცერთი გოლი და მხოლოდ ერთი საგოლე პასი (საშუალო შეფასება 3.82).



მარიო გომესი

შტუტგარტი

# გომესი არ იყიდება!

## შვაბებმა იუვეს, არსენალს და ლივერპულს მუშტი მოუღერეს...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის უმთავრესი აღმოჩენა "შტუტგარტის" ახალგაზრდა თავდამსხმელი **მარიო გომესია**, რომელიც 22 ტურის შემდეგ 13 გოლით ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს. 21 წლის გომესი არა მარტო გოლებით, არამედ საგოლე გადაცემებითაც გამოირჩევა და ერთი სიტყვით, გერმანიის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. "სუპერმარიოს" ცოტა ხნის წინ გერმანიის ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი და ბუნდესგუნდის მაისურით ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში (შვეიცარიასთან) გოლი გაიტანა, რითაც თავი უფრო ფართო მასებს გააცნო.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი ნამდვილად არაა ის, რომ გომესით სხვადასხვა ევროპული გრანდები დაინტერესდნენ. ორშაბათის მიმოხილვაშიც გაცნობეთ, რომ ფრანკფურტის "აინტრახტისა" და "შტუტგარტის" შეხვედრას, რომელშიც მარიომ მორიგი (მე-13) გოლი გაიტანა და იმდენად კარგად ითამაშა, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან საუკეთესო შეფასება (1 ბალი) დაიმსახურა, ლონდონის "არსენალის", ტურინის "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" სკაუტები ესწრებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გომესი ზემო ხსენებული გრანდების თვალთახედვის არეშია და დიდი შანსია, რომ სულ მალე რომელიმე მათგანმა შვაბურ კლუბს გომესის შესახებ მოლაპარაკებების ნამოწყების წინადადებით მიმართოს.

მაგრამ "შტუტგარტის" გენერალურ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** მარიოს გასხვისებაზე ფიქრიც კი არ სურს. აი, რა უთხრა ჰელდტმა ბილდს: *"დიახ, ჩვენ ვიცით, რომ გომესით რამდენიმე გრანდი დაინტერესდა, რაც მოსალოდნელიც იყო. მარიო შესანიშნავ სეზონს ატარებს და გასაკვირი არაფერია იმაში, რომ მისი გადაბირება ბევრ გუნდს მოუნდეს. მაგრამ ჩვენ მის გაყიდვაზე არ ვფიქრობთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფულით მოგვხიბლავს, ძალიან ცდება. არ არსებობს თანხა, რომლის სანაცვლოდაც გომესს შეველევით. მარიო ჩვენი მომავალია და სულელები უნდა ვიყოთ, ახლა რომ გავყიდოთ. თუნდაც 25 ან 30 მილიონი ევრო შემოგვთავაზონ - გომესი არ იყიდება!"*

1.89 მეტრი სიმაღლის თავდამსხმელს შვაბურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. თანაც, ხელშეკრულება საკმაოდ მყარია - ფეხბურთელს მისი გაწყვეტის უფლება არა აქვს. ასე რომ, გომესის მსურველს მის სანაცვლოდ იმ თანხის გადახდა მოუწევს, რასაც "შტუტგარტის" ბოსები მოითხოვენ. *"ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და ჩვენთან საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მარიომ იცის, რა არის მისთვის უკეთესი და ისიც იცის, სად უფრო გაიზრდება და ჩამოყალიბდება,"* - აგრძელებს ჰელდტი.

*"ახლა მხოლოდ "შტუტგარტზე" ვარ კონცენტრირებული,"* - ამბობს ფეხბურთელი და იქვე დასძენს, - *"ის, რომ ასე კარგად ავთამაშდი და არნახულ პროგრესს განვიცდი, ჩვენი მწვრთნელის, არმინ ფეჰის დამსახურებაა. დიდი მადლობა მას იმისათვის, რომ ნდობა გამომიცხადა."* ჰო, ერთი წლის წინათ გომესს ფაქტობრივად არავინ იცნობდა. **ჯოვანი ტრაპატონის** დროს ის მხოლოდ შეცვლებზე თამაშობდა ხოლმე და თანაც ძალიან იშვიათად. ფეჰი კი ენდო და მარიომაც იმედები არ გაუცრუა. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში მან სასტარტო შემადგენლობიდან **იონ დალ ტომასონი** ამოაგდო. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ "შტუტგარტმა" ტომასონი "ვილიარეალში" გაუშვა.

ცხადია, წარმოშობით ესპანელი მარიო სამომავლოდ რომელიმე ევროპულ გრანდში თამაშზე ოცნებობს (ის "ბარსელონას" ფანია), მაგრამ როგორც ირკვევა, აჩქარებას არ აპირებს. საინტერესო ის გახლავთ, რომ სეზონის დაწყებამდე მარიოს ფასი სატრანსფერო ბაზარზე სულ რაღაც 1 მილიონი ევრო იყო. ახლა კი ის დაახლოებით 15 მილიონად ფასობს. მეტწილად მისი დამსახურებაა ის, რომ შვაბები გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნებობენ და კარგი შანსი აქვთ, გაისად ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზონ.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# მოურინიომ იცის, რას ელოდება

## ბარსელონელები სამუელ ეტოოს ძირითადში დაბრუნებას ელიან...

### ბარსელონა-ლივერპული

დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს, ალბათ, მაინც ეს შეხვედრა იწვევს. გარდა იმისა, რომ "კამპ ნოუზე" ერთმანეთს ევროპის ორი გრანდი ხვდება, ეს ჩემპიონთა ლიგის მოქმედი და ექსჩემპიონის ჯახიცაა - "ბარსელონა" შარშანდელი სეზონის გამარჯვებულია, "ლივერპულმა" კი ევროპის ელიტური საკლუბო ტურნირი 2004/05 წლების სეზონში მოიგო.

კატალონიურ გიგანტს ბოლო დროს საქმეები ისე კარგად ველარ მისდის, როგორც ამ გუნდის გულშემატკივრები ითხოვენ და ელიან. "ბარსას" თავკაც **ფრანკ რიიკაარდს** სულ უფრო და უფრო ხშირად აკრიტიკებენ და კარგად გეხსომებათ უკანასკნელი დაპირისპირება მასა და **სამუელ ეტო'ოს** შორის. ოფიციალური ვერსიით დაპირისპირება წარსულს ჩაბარდა და დღეს კატალონიელი ფანები კამერუნელი ფორვარდის ძირითად შემადგენლობაში გამოჩენას ელიან. "ლივერპული" ის გუნდია, რომელსაც ნებისმიერი უნდა უფრთხოდეს, თუმცა "ბარსას" ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა მატჩის წინ ჩამორიგებულ ინტერვიუებში განაცხადა, სიმართლე ვთქვათ, ძალიანაც გაგვიხარდა, მერვედფინალში "ლივერპულს" რომ გადავეყარეთო.

*"რომ გითხრათ, "ბარსას" ფეხბურთელებისგან ასეთ განცხადებებს არ ველოდი-მეთქი, მოგატყუებთ. ძალიანაც კარგი, რადგან ახლა ჩვენ შეგვიძლია კატალონიელებს ეს სიტყვები ვანანოთ. ამაზე უკეთესი მოტივატორი ჩემთვის არ არსებობს. რაკი თქვეს, რომ "ლივერპული" ის გუნდია, რომელთან შეხვედრაც მათ ყველაზე მეტად სურდათ, ეს საკმარისია იმისათვის, რომ ორივე შეხვედრაში 100 პროცენტით დავიხარჯო და კატალონიელებს დავუმტკიცო, რომ ძალიან ცდებიან. მათ ჰგონიათ, განმეორებითი მატჩის წინ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება და "ენფილდზე" გასამართ შეხვედრას აზრი დაეკარგება. თუ ეს მართლაც ასეა, ბარსელონელებს დიდი სიურპრიზი ელით,"* - აცხადებს მერსისაიდელთა კაპიტანი **სტივ ჯერარდი** "სანდი მიროისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა "ბარსელონაში" "ლივერპულს" ყველა აგდებით როდი უყურებს. მაგალითად, **ჩავი** ამბობს, რომ "ბარსამ" ინგლისურ გრანდთან ჭკვიანური ფეხბურთი უნდა ითამაშოს: *"სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს თუ ვითამაშებთ, ინგლისელებს აუცილებლად პრობლემები შეექმნებათ, ხოლო თუ ტემპს დავაგდებთ და ორთაბრძოლებში შევალთ, ამ მხრივ, შესაძლოა, გვაჯობონ, რადგან ისინი ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულები. გამარჯვება იმ გუნდს დარჩება, რომელიც მოედნის ცენტრში უპირატესობას მოიპოვებს. "ლივერპულს" ნახევარდაცვაში ჯერარდი და ჩაბი ალონსო ჰყავს. თუ ამ ორ მოთამაშეს გავაუვნებელვყოფთ, საქმე გაცილებით გაგვიიოლდება. დღევანდელი გადასახედიდან შანსებს 50/50-ზე ვაფასებ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ პირველი მატჩის შემდეგ შანსები ჩვენს სასარგებლოდ 80/20-ზე იქნება"*

ჩავის მოსაზრებას იზიარებს კატალონიელთა იტალიელი მცველი **ჯანლუკა ძამბროტაც**, რომელიც ამბობს, რომ "ბარსას" დღევანდელ შეხვედრაში 1:0-იც ეყოფა იმისათვის, რომ განმეორებითი მატჩის წინ მშვიდად იყოს. *"ვინც ფიქრობს, რომ "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი არ არის, ძალიან ცდება. მაგრამ ჩვენ ამ გუნდის შესახებ უკვე ყველაფერი ვიცით."* - ეს **რონალდინიოს** სიტყვებია. რიიკაარდი კი თავის შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს: *"ვალენსიასთან" წაგებას დადებითი მხარეც ჰქონდა. ჩემმა ფეხბურთელებმა ახლა უკვე იციან, რომ მოდუნება დამღუპველია. "ლივერპულთან" ერთი შეცდომის უფლებაც არ გვაქვს, რადგან ამ გუნდს ნებისმიერის დასჯა შეუძლია."* - ამბობს კატალონიელთა თავკაცი.

ზემოთ "ბარსელონაში" მომხდარი სკანდალი ვახსენეთ. სხვათა შორის, ამ მხრივ "ლივერპულსაც" ვერ აქვს საქმე კარგად. როგორც იცით, **კრეიგ ბელამიმ იორნ არნე რიისეს** გოლფის ჯოხი უთავაზა. ამ ამბავს ინგლისურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაგრამ ეტო'ოს შემთხვევისგან განსხვავებით, "ლივერპულში" ეს პრობლემა მოგვარებული ჯერ არ არის.

"ბარსელონას" ინგლისურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს. 22 საშინაო მატჩიდან კატალონიელებმა ინგლისელები 13-ჯერ დაამარცხეს, 8-ჯერ ფრე ითამაშეს და საკუთარ კედლებში ინგლისელებთან მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. ეს ერთადერთი საშინაო მარცხი "ბარსამ" 1975/76 წლების სეზონის უეფას თასის ნახევარფინალში, სწორედ რომ "ლივერპულთან" იწვნია. მაშინ განმეორებითი შეხვედრა 1:1 დასრულდა და მერსისაიდელები უეფას თასის ფინალში გავიდნენ, რომელიც მოიგეს კიდეც. საინტერესოა ის, რომ ფლეი-ოფში "ბარსელონას" გაგდება "ლივერპულს" კარგად აქვს დაცდილი - ეს გუნდები ერთმანეთს 2000/01 წლების სეზონის უეფას თასზეც გადაეყარნენ და მომდევნო ეტაპზე მაშინაც "ლივერპული" გავიდა (0:0 "კამპ ნოუზე", 1:0 "ენფილდზე") და საბოლოოდ ეს ტურნირი ისტორიაში მესამედ მოიგო.

"ბარსა" და "ლივერპული" ერთმანეთს უკანასკნელად 2001/02 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ. კატალონიურმა გრანდმა მაშინ ლივერპულში 3:1 იმარჯვა, "ნოუ კამპზე" გამართული მატჩი კი 0:0 დასრულდა და "ბარსამ" ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

"ლივერპულს" დღემდე ესპანეთში 10 თამაში აქვს ჩატარებული, აქედან 5 მოიგო, 3-ჯერ ფრე ითამაშა და მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ მერსისაიდელთა ამჟამინდელ მწვრთნელ **რაფა ბენიტესს**, რომელიც მანამდე "ვალენსიას" თავკაცობდა, ბარსელონაში არასდროს წაუგია - ორჯერ მოიგო (2002/03 წლების სეზონში 4:2, მომდევნო სეზონში 1:0) და ერთხელ ფრე ითამაშა (2001/02 წლებში 2:2). აქვე გეტყვით, რომ "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგაში საკუთარ მოედანზე 13 მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ედმილსონი, ვან ბრონკჰორსტი, მარკესი, ჩავი (ან ინიესტა), დეკუ, მესი, რონალდინიო, სავიოლა.

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, სისოკო, ჩაბი ალონსო, ჯერარდი, კუიტი, ლუის გარსია, ბელამი.

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი).

### პორტუ-ჩელსი

ამ შეხვედრის უმთავრესი ინტრიგა, რა თქმა უნდა, **ჟოზე მოურინიოა** - "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი, რომელმაც 2004 წელს "პორტუს", ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. მოკლედ, ჟოზე "დრაგაოზე" ბრუნდება, ოღონდ არა მოყვრის, არამედ მტრის როლში. იმაზე, რომ "პორტუს" ხელმძღვანელებმა მოურინიოს ლონდონში გადაბარგების შემდეგ მისი ღირსეული შემცვლელი ვერ იპოვნეს, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჟოზეს შემდეგ პორტუგალიურმა კლუბმა 4 მწვრთნელი გამოიცვალა (**ლუიჯი დელ ნერი, ვიქტორ ფერნანდესი, ჟოზე კოისეირუ, კო ადრიაანსე**) და ახლა მე-5 თავკაცი ჰყავს (**ჟესუალდო ფერეირა**).

"ჩელსის" პორტუგალიელი დამრიგებელი ყველაფრისთვის მზადაა და არ გაუკვირდება, "პორტუს" გულშემატკართა დიდმა ნაწილმა რომ უსტვინოს. მეტიც: *"პორტუში" მუშაობისას სუპერვარსკვლავი ვიყავი და ყველას ვუყვარდი, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა. "დრაგაოზე" ორი კატეგორიის ხალხი დამხვდება. ისინი, ვისაც კარგად ახსოვს, რაც გავაკეთე "პორტუსთვის", აპლოდისმენტებით შემხვდებიან და ტაშს დამიკრავენ. ხოლო ისინი, ვისაც ის წარმატება დაავიწყდა და ვერ ხვდება, რატომ მოინდომა პროფესიონალმა მწვრთნელმა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, დამისტვენენ და ალბათ შეურაცხყოფასაც მომაყენებენ. ყველაფრისთვის მზად ვარ!"* - განუცხადა მოურინიომ "სქაის".

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მოურინიო პორტუში "ჩელსის" თავკაცის რანგში ჩადის. შარშან ეს გუნდები ერთმანეთს ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარნენ და მაშინ ლონდონში "ჩელსიმ" გაიმარჯვა (3:1, გოლები: **სმერტინი, ტერი, დროგბა, ბენი მაკარტი**), "დრაგაოზე" კი "პორტუმ" რევანში აიღო და "არისტოკრატები" 2:1 დაამარცხა (გოლები: **დაფი, დიეგო**, ბენი მაკარტი). მოურინიოს პორტუში მაშინაც პრობლემები შეექმნა - გულშემატკივრებმა მთელი მატჩის განმავლობაში უსტვინეს და სხვადასხვა საგანიც დაუშინეს.

"ჩელსის" დღეს **ხალიდ ბულარუზი** არ ეყოლება. ჰოლანდიელმა მცველმა, რომელიც ექვსკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ "არისტოკრატებს" გასულ შაბათს, ასოციაციის თასის მატჩში ("ნორვიჩთან" 4:0) დაუბრუნდა, ისევ ტრავმა მიიღო. მოგეხსენებათ, ლაზარეთშია **ეშლი კოულიც**...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ჰელტონი, ბოსინგვა, პეპე, ფუსილე, პ. ასუნსაო, მეირელეში, ლუჩო გონსალესი, მორაეში, კვარეშმა, პოშტიგა, ლისანდრო ლოპესი.

**ჩელსი:** ჩეხი, პაულო ფერეირა, რ. კარვალიო, ტერი, ბრიჯი, მაკელელე, ესიენი, ლემპარდი, ბალაკი, შევჩენკო, დროგბა.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

### ინტერი-ვალენსია

იტალიის სტადიონებზე ბოლო დროს გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების გამო, დღეს „სან სიროზე" მხოლოდ იმ მაყურებლებს დაუშვებენ, ვისაც „ინტერის" სეზონური აბონემენტი აქვს. აბონემენტი, ცხადია, ჩემპიონატს ეხება, მაგრამ სწორედ ამ ხალხს მიეცემა ბილეთის შეძენის უფლება. „ნერაძურის" 35 ათასი აბონემენტის მფლობელი ჰყავს, ასე რომ, მაყურებლის რაოდენობა ამ რიცხვს არ გადააჭარბებს. ამიტომ „ნერაძურის" კოლუმბიელმა მცველმა **ივან კორდობამ** მათ ასე მიმართა: *„უკლებლივ ყველა აბონემენტის მფლობელი უნდა მოვიდეს, იმიტომ, რომ მათი მხარდაჭერა ჰაერივით გვჭირდება. თითოეულმა მათგანმა ორი კაცის მაგივრად უნდა უსტვინოს და იყვიროს. ასე, ერთ ხმაში უნდა გავავსოთ სტადიონი."*

„ინტერის" უპირველესი მიზანი გოლის არგაშვებაა. ცხადია, საკუთარ კედლებში მილანელები შეტევაზე აუცილებლად იზრუნებენ, მაგრამ დაცვას გაორმაგებული ყურადღება მართებს. ასეთია **რობერტო მანჩინის** განკარგულება. სტატისტიკის მიხედვით, „ნერაძურის" ჩემპიონატის საუკეთესო თავდასხმასთან ერთად, საუკეთესო დაცვაც ჰყავს – 17 გაშვებული გოლი 23 შეხვედრაში. „ინტერმა" ჩემპიონატში ზედიზედ მე-16 გამარჯვება მოიპოვა, მას შემდეგ, რაც შაბათს შინ „კალიარის" 1:0 მოუგო. კითხვაზე, ითამაშებს თუ არა „ვალენსია" სარდინიელების მსგავსად, მწვრთნელმა ასე უპასუხა: *„რა თქმა უნდა, დაცვაში კარგად ჩაიკეტებიან და თვალი სულ კონტრშეტევაზე ექნებათ. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვალენსია" ამ მომენტში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ორი ურთულესი შეხვედრა გველის, შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, რადგან ეს შეიძლება, ძალიან ძვირად დაგვიჯდეს".* „ვალენსია" რომ საშიშია, ეს კვირასაც დადასტურდა, როცა შინ ევროპის ჩემპიონ „ბარსელონას" 2:1 მოუგო და ახლა ლიდერისგან მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს. გასულ თვეებში **კიკე სანჩეს ფლორესის** გუნდს მცირე ჩავარდნა ჰქონდა და ამ გამარჯვებამ თითქოს სულზე მიუსწრო: „ინტერის" მსგავსად ახლა „ვალენსიაც" მშვენიერი განწყობით ხვდება ჩემპიონთალიგურ მერვედფინალს. დაშავებული **ბარახას** არყოფნაში, მწვრთნელმა მცველი **მარჩენა** საყრდენ ნახევარმცველად აქცია და ცენტრში **ალბელდას** შეუწყვილა. ეგ არის რომ, ბარახა თამაშის კონსტრუქტორიცაა, მარჩენა კი მხოლოდ ჩამშლელია. შეტევაში, ყინულმჭრელი **ვილიას** გვერდით გამოცდილი **მორიენტესია**, რომელსაც ბრწყინვალედ შეუძლია **ანგულოსა** და **სილვას** ფლანგური გარღვევების დაგვირგვინება. კვირას „ბარსელონის" მარცხი პირველ რიგში სწორედ იმან განაპირობა, რომ კატალონიელებმა ამ ორ გარემარბს ვერაფერი მოუხერხეს.

მანჩინიმ იცის, რომ ჩემპიონთა ლიგა სერია A არ არის და ამიტომაც იყო, რომ შაბათს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა: **მატერაცი, მაიკონი, მაქსველი, ძანეტი, ვიეირა** და **ადრიანო**. შესაბამისად, დღეს ყველა მათგანის ძირითადში გამოჩენა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ცვლილები მოხდა: რაკი „კალიარისთან" **ბურდისომ** გამარჯვების გოლი გაიტანა, მანჩინიმ ის შეიძლება, ისევ ძირითადში დააყენოს, ეს კი სავარუდოდ, მაქსველის ხარჯზე მოხდება. მეორე ცვლილება კი ისაა, რომ ვიეირას გუშინდელ ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა და გუნდს ველარ დაეხმარება. მის ადგილზე ალბათ, **დაკური** ითამაშებს.

2004 წელს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ინტერმა" „ვალენსიას" „მესტალიის" სტადიონზე 5:1 მოუგო. „ინტერის" მხარეს იყო ფორტუნა წინა ორ სეზონშიც, როცა მილანელებმა ვალენსიელები ჯერ უეფას თასის (2001/02), შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის (2002/03) ფლეი ოფებიდან გამოთიშეს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ბურდისო, ძანეტი, კამბიასო, დაკური, სტანკოვიჩი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, მარჩენა, ალბელდა, სილვა, ანგულო, ვილია, მორიენტესი.

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

### რომა-ლიონი

დღევანდელ მეტოქეებს ცხრა ფეხბურთელი ჰყავთ ისეთი, ვინც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ითამაშა ან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „ლიონს" ასეთი ექვსი ჰყავს: მეკარე **გრეგორი კუპე**, განაპირა მცველი **ერიკ აბიდალი**, გარემარბი **ფლორან მალუდა** და შემტევები, **სიდნეი გოვუ, ალუ დიარა** და **სილვენ ვილტორი**. მაგრამ ეს ორი უკანასკნელი ტრავმების გამო არ იქნება. რომაელები მათ სამ მსოფლიო ჩემპიონს, **დე როსის, პეროტასა** და **ტოტის** დაახვედრებენ. მოკლედ, „ოლიმპიკოზე" ბერლინური ფინალის პატარა რიმეიქი იქნება. რაკი ფინალი ვახსენეთ, უპრიანი იქნება, რომ მისი ტრიმუფატორის, **მარჩელო ლიპის** კომენტარიც შემოგთავაზოთ: *„ლიონი" დიდი გუნდია, მას ყველაფერი აქვს: სისწრაფე, ტექნიკა, ფიზიკური ძალა, მაგრამ სპალეტის გუნდს ისეთი კოზირები აქვს, რომლითაც ფრანგების გამოჭერა შეუძლია. მახსოვს, რომ კენჭისყრის დროს ყველას უნდოდა ულიეს გუნდისთვის თავის არიდება, მაგრამ თამაშის ხარისხით, „რომა" მას არაფრით ჩამოუვარდება. მუნდიალის ფინალი უკვე წარსულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ოლიმპიკოზე" დიდი ფეხბურთი იქნება. ამ მომენტისთვის შანსები 50 50-ზეა."*

„რომამ" ბოლო ტურში ემპოლიში 0:1 წააგო, „ინტერს" 14 ქულით ჩამორჩა და გაჩემპიონების შანსი პრაქტიკულად დაკარგა კიდეც. ასე რომ, რომაელების იმედები ახლა მთლიანად ევროპას უკავშირდება. ჩემპიონატში „ჯალოროსის" საკუთარ მოედანზე ზედიზედ შვიდი შეხვედრა აქვს მოგებული, ევროტურნირებზე კი შინ 8-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. თუმცა თავმოსაწონი „ლიონსაც" ბევრი აქვს: ფრანგებმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო 13 გასვლითი შეხვედრიდან 8-ჯერ მოიგეს. ჟერარ ულიეს გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში ჩავარდნა ჰქონდა, თუმცა ბოლო ორი შეხვედრა, „ლორიანთან" და „ლილთან", გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის" მწვრთნელობისას ულიემ „რომა" ორჯერ გამოთიშა ევროტურნირებს – ჯერ უეფას თასიდან, მერე კი ჩემპიონთა ლიგიდან.

„ლიონის" პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** პირდაპირ ამბობს: *„მერვედფინალური ეტაპის ვერგავლა დიდი სენსაცია იქნება, ჩვენი კლუბისთვის კი - ნამდვილი კატასტროფა. მძიმე კრიზისი დავძლიეთ. კლუბის შიგნით დიდი დაძაბულობა იყო, ის ყველას შეეხო – დირექტორებს, გუნდს, სამწვრთნელო შტაბს. ფრედმა ბაროშის მოსვლა ცუდად მიიღო."*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსე, კივუ, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, კრისი, სკუილაჩი, აბიდალი, ტულალანი, ტიაგო, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, ბაროში

**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)



ჟოზე მოურინიო

ინტერი vs ვალენსია. ინტერვიუ მასიმო მორატისთან

# ამ ინტერის გაძლიერებაზე ფიქრი სახიფათოა

## პრეზიდენტი მანჩინის კონტრაქტს ცრურწმენის გამო არ უგრძელებს

**„ინტერში" მისვლიდან 12 წლის თავზე მასიმო მორატიმ როგორც იქნა შექმნა ის გუნდი, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა. ამიტომ გასაკვირი არაა, თუკი ახლა ამბობს, ამ შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრი არათუ სისულელე, სახიფათოც კიაო. პრეზიდენტს უნდა, რომ ეს გუნდი, რომელმაც ოცნებასთან ასე ახლოს მიიყვანა, მომავალი სეზონისთვის უცვლელად შეინარჩუნოს. მართალია, კრისტიანო რონალდო ძალიან მოსწონს, მაგრამ „მანჩესტერთან" ჭიდილის პერსპექტივა ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევს. ამიტომ ამბობს, რომ მომავალი ზაფხულის ახალი შენაძენი ადრიანო იქნება, რადგან სექტემბრიდან ბრაზილიელის ახალ აფეთქებას ელოდება. ბოლო ტურის შემდეგ „ინტერი" იტალიაში კიდევ უფრო მიუწვდომელია, მაგრამ „ნერაძურისთვის" ჭეშმარიტების მომენტი ახლა დგება - დღეიდან რადგან „ვალენსიას" ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში მასპინძლობს. ევროპა გამოაჩენს მილანური გუნდის ნამდვილ ძალას. ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მანჩინის ახალი ამბიციები გაუჩინა, უნდა, რომ ერერას „დიდ ინტერს" მიბაძოს. მორატის სურვილიც ესაა, თუმცა რამდენად ოპტიმისტურად უყურებს თავისი გუნდის ევროპულ პერსპექტივებს, ამას ქვემოთ მოცემული ინტერვიუდან გავიგებთ.**

**- „რომას" უკვე 14 ქულით უსწრებთ. როგორი განწყობა გაქვთ?**

- სასიამოვნო, რა თქმა უნდა. წელს გუნდში აბსოლუტური ჰარმონიაა, ბიჭები ხასიათებით ერთმანეთს იდეალურად შეეწყვნენ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიზანი ყველასთვის თავიდანვე ცხადი გახდა; სეზონის წინ უკვე ყველას გაცნობიერებული ჰქონდა, რისთვის უნდა ებრძოლა. ამ ყველაფერთან ერთად, მანჩინიმ ბრწყინვალედ იმუშავა. თუ მწვრთნელს ეშლება, ამას დიდი პრობლემები მოსდევს, მაგრამ მან მართლაც საუცხოოდ იმუშავა. ერთი სიტყვით, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გაკეთებულია და, რომ ამ სკუდეტოს ხელიდან ველარავინ წაგვართმევს. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, დავიცადოთ. მეორე წრე სულ ახალი დაწყებულია.

**- დავიცადოთ კიდევ იმიტომ, რომ უკვე ევროტურნირების დროც მოახლოვდა. ჩემპიონთალიგური წარმატება კიდევ უფრო სასურველია, იმის გათვალისწინებით, რომ მანჩინის დიდი ერერას მიბაძვა აქვს გადაწყვეტილი. თქვენ რა განწყობით ხვდებით „ვალენსიასთან" დაპირისპირებას?**

- ერთი მხრივ, ამ ბიჭების დიდი იმედი მაქვს, მაგრამ მეორე მხრივ, ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ხანდახან ნახევარ ტაიმს ჩააგდებ და ეს შეიძლება, ძალიან ძვირად დაგიჯდეს. ცხადია, ყოველგვარი კომპლექსებისა და შიშების გარეშე ვითამაშებთ, თუმცაღა ისიც ვიცით, რომ ვისაც მეორე თამაში საკუთარ მოედანზე აქვს, საკმაო უპირატესობასაც ფლობს.

**- „ვილიარეალის სინდრომის" შიში ხომ არ გაქვთ?**

- არა, ამ ტიპის შიში ნამდვილად არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ვილიარეალის მწარე გამოცდილება წარსულს ჩაბარდა. მართალია, თუ გვაგონდება, უსიამოვნო გრძნობას ბადებს, მაგრამ აწმყოსთან მას არანაირი კავშირი აღარ აქვს. ცხადია, შეცდომის დაშვება ხელმეორედაც არის შესაძლებელი, მაგრამ ისიც მართლია, რომ საკუთარ შეცდომებზე სწავლა და სასარგებლო დასკვნების გაკეთება შეიძლება.

**- „ინტერის" მანქანა იდეალურად აწყობილი ჩანს: სათადარიგო ნაწილებითაც უნაკლოდ მუშაობს.**

- მართალია. ეს გუნდი უძლეველ არმადას ჰგავს. მაგრამ კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ, არ უნდა მოვდუნდეთ, არ უნდა გაგვინელდეს ახალ-ახალი წარმატებების მიღწევის სურვილი. სეზონი ისეთ ფაზაში შედის, როცა აქამდე გამოჩენილმა ძალისხმევამ უკვე ნაყოფი უნდა გამოიღოს.

**- „ინტერის" ფეხბურთელები მთელი სერიოზულობით ლაპარაკობენ ყველა შესაძლო ტიტულის მოგებაზე...**

- შესაბამისად, საჭიროა, რომ მაქსიმუმის მაქსიმუმი გაიღონ, ტიტულები კი იმისთვისაა, რომ მოიგო.

**- მართალია, საბოლოოდ ჯერ არ გაგიმარჯვიათ, მაგრამ პატარ-პატარა გამარჯვებებით უკვე ბევრი ბედნიერი წუთი გამოცადეთ, თქვენი დამსახურებები აშკარად გამოჩნდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო თქვენი მთავარი ღირსება?**

- მოთმინება, ალბათ.

**- და ინვესტიციები არა? მაგალითისთვის, იბრაჰიმოვიჩის შეძენა დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და საკმაოდ ძვირიც დაგიჯდათ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „ინტერს" მისი სახით დიდი ძალა შეემატა.**

- იბრაჰიმოვიჩი ჩემს გემოვნებაში იდეალურად ჯდება და ამიტომ ინსტინქტმა გადამაწყვეტინა მისი შეძენა. ვფიქრობ, რომ ჩვენთან გადმოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი ძლიერი თვისებები, ასე რომ, „ინტერმა" მისი შეძენით ათიანში გაარტყა. იბრა ძალიან სერიოზული ბიჭია, ნამდვილი პროფესიონალია.

**- ამ ორ წელიწადში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ტრანსფერიც იყო: ფიგუ, ვიეირა, კრესპო და ასევე მაიკონი, გროსო და მაქსველი. ყველა ეს ფეხბურთელი ძალიან ხელსაყრელი პირობებით დაიმატეთ... და ალბათ იმასაც შეამჩნევდით, რომ უზომოდ გაბერილი საკლუბო „შტატისთვის" აღარ გაკრიტიკებენ.**

- მადლობას გიხდით... პირველ რიგში ჩვენი სპორტული დირექტორის, მარკო ბრანკას მუშაობით ვარ გახარებული. დაჟინებით ითხოვდა რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას და თავისი ჯიუტი და უკომპრომისო ხასიათით მიზანს მიაღწია, დღეს კი ხედავს, რომ შრომა დაუფასდა. მარკოს მე იმედისმომცემ ახალგაზრდად ვთვლიდი, სინამდვილეში ძალიან ბეჯითი და შორსმჭვრეტელი დირექტორი აღმოჩნდა.

**- „ინტერში" კრისტიანო რონალდოს ჩამოყვანაზე არ ფიქრობთ?**

- ჰო, ეს მართლაც იშვიათი ფეხბურთელია. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ხელში ჩაგდება ურთულესი საქმეა. ამასთან, არა მგონია, რომ კრისტიანოს დამატება ჩვენთვის აუცილებლობას წარმოადგენდეს.

**- მაგრამ ფიგუს ხომ მიდის... თან, მანჩინიმ პირადად რომ გთხოვოთ...**

- ძალიან საინტერესოდ მეჩვენება ის, რომ მანჩინი ამის თაობაზე ფიქრობს... მაგრამ ვიმეორებ, რომ კრისტიანო რონალდო „მანჩესტერის" ფეხბურთელია...

**- მესი არ იყიდება, მაგრამ რონალდინიოსა და ეტოოს შორის, ერთ-ერთი წასვლის პირას ჩანს.**

- მოდით, „ბარსელონის" ფეხბურთელებს თავი დავანებოთ.

**- კიდევ უფრო ადვილად საყიდელია კასანო, რომელიც თქვენს მწვრთნელს დიდი ხანია მოსწონს.**

- ამის თაობაზე საუბარიც აღარ ყოფილა.

**- ბუფონი თუ შეიძლება, რომ თქვენს სამიზნეში მოხვდეს?**

- კატეგორიულად გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ 100 პროცენტით ვენდობით ჩვენს ორ მეკარეს. თუმცა ეს ზოგადი შეფასებაცაა, ყველა ვემხრობით იმ იდეას, რომ ეს შემადგენლობა უცვლელად შევინარჩუნოთ. სხვანაირად არც უნდა იყოს, როცა ხელმძღვანელობა თავისი ფეხბურთელებით ყოველმხრივ კმაყოფილია – იმითაც, რასაც მოედანზე აკეთებენ და იმითაც, რასაც ყოველდღიურ ურთიერთობაში ამჟღავნებენ. გაინტერესებთ, ვინ იქნება ჩვენი ყველაზე დიდი შენაძენი მოავალი სეზონისთვის? ადრიანო. რაკი საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლიდან გამანადგურებელი გახდება. მიმაჩნია, რომ ჩვენს შემთხვევაში, შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრი სისულელეა და გარკვეული გაგებით, სახიფათოც კია. იცით რატომ? იმიტომ, რომ შეიძლება, ვილაც დაიმატო და თვლიდე, რომ გაძლიერდი, სინამდვილეში კი, შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ამ ახალმა შენაძენმა უცბად ადგილი ვერ იპოვნოს და ფეხბურთელებთან და მწვრთნელთან პრობლემები წარმოშვას.

**- როგორ უნდა აღდგეს მანჩინისა და კომბის („ინტერის" ექიმი) შორის გაჩენილი ბზარი (ბოლოსწინა ტურში მწვრთნელი იბრაჰიმოვიჩის გამოყენებას აპირებდა, მაგრამ კომბიმ უფლება არ მისცა, რასაც პოლემიკა მოჰყვა)?**

- არა მგონია, საქმე ასე რთულად იყოს. გამოსავალი იოლად მოინახება. ექიმი ის ადამიანია, ვინც ზოგჯერ სიცოცხლეს თავიდან გჩუქნის... ვფიქრობ, რომ მანჩინი და კომბი სალად მოაზროვნე ადამიანები არიან, აუცილებლად გამონახავენ საერთო ენას და „ინტერის" ინტერესებისთვის თანამშრომლობას ძველებურად გააგრძელებენ.

**- მანჩინი რომ გაჯიუტდეს - ან მე, ან ისო?**

- არა, არა. ვერ წარმოვიდგენ, რომ მწვრთნელმა ასეთი პირობა დააყენოს. ვიმეორებ, საქმე გვაქვს ორ სალად მოაზროვნე ადამიანთან და ჩემთვის ძალიან უსიამოვნო და ამავდროულად რთული იქნება, რომელიმე მათგანის მხარეზე დადგომა. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე აქამდე არ მივა.

**- ამასობაში, მანჩინის ახალი კონტრაქტი ისევ ხელმოუწერელი რჩება...**

- ადრეც ვთქვი, რომ ამას ცრურწმენის გამო არ ვაკეთებთ. ხელმოწერა მაშინ მოხდება, როცა ჩავთვლით, რომ ამის დრო მოსულია.

**- მიზეზი მხოლოდ ცრურწმენაა?**

- ვფიქრობ, რომ მხოლოდ ესაა. ხომ იცით, საფეხბურთო სამყაროში ეს ფენომენი ძალიან გავრცელებულია.

**- საფეხბურთო სამყარო ხულიგნებისა და მოძალადეებისგან იცავს თავს. როგორ აფასებთ იმ ზომებს, რომლებიც სტადიონებზე ძალადობის აღმოსაფხვრელად ტარდება?**

- გარდაუვალი იყო ის მკაცრი ზომები, რომლებიც მთავრობამ „ცხელ გულზე" მიიღო. მაგრამ ახლა ნორმალურ რეჟიმს უნდა დავუბრუნდეთ, ანუ მაყურებელი სტადიონებზე უნდა დავაბრუნოთ. თუ ხალხთან კონტაქტი არ იქნა, ფეხბურთი აზრს კარგავს.

**გოგა ახალაძე**



მასიმო მორატი

## ინტერი

### მანჩინი: წლიურად 5.5 მილიონი?

### შეიძლება, რობერტო ბაჯო ნერაძურიში დირექტორად დაბრუნდეს

**რობერტო მანჩინი "ინტერში" დარჩენის სანაცვლოდ მეგაკონტრაქტს მოითხოვს. მწვრთნელს დღევანდელი ხელშეკრულება ივნისში ეწურება. მას "ჩელსიში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. პრეზიდენტ მასიმო მორატისთან შეხვედრა თებერვლის მიწურულს უნდა გაიმართოს. იტალიური სააგენტოების ცნობით, მანჩინი წლიური ანაზღაურების სახით 5.5 მილიონ გირვანქას მოითხოვს. ეს თანხა ჟოზე მოურინიოს ხელფასსაც კი აღემატება. მოგეხსენებათ, "ჩელსის" ბოსი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი საფეხბურთო სპეციალისტია.**

**მორატისთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ "ინტერის" ბოსმა იუბილარ რობერტო ბაჯოს მილანში დაბრუნება და მის ადმინისტრაციაში მუშაობა შესთავაზა. გასულ უქმეებზე რობის 40 წელი შეუსრულდა. სინიორ მასიმო ბაჯოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიადეს ფეხბურთელს უწოდებს და ამბობს, დღემდე ვერ მომინელებია, რომ მან "ინტერში" მხოლოდ ორი სეზონი გაატარაო: *"ის ყველა ტიფოზს სიამოვნებით ახსენდება. ვნახოთ, რობი, შეიძლება, დირექტორის რანგში დაგვიბრუნდეს."***

ინტერი vs ვალენსია. ინტერვიუ კიკე სანჩეს ფლორესთან

# ინტერს პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვეშინია

## ვალენსიის მწვრთნელს საიმედო დაცვის იმედი აქვს, ნერაძურის კი ფავორიტად არ თვლის



კიკე სანჩეს ფლორესი

**მეორე სეზონია, კიკე სანჩეს ფლორესი „ვალენსიას" უდგას სათავეში. 1984-დან 1995 წლამდე ამ გუნდის რიგებში თავადაც თამაშობდა. 42 წლის მადრიდელი მწვრთნელი ესპანეთში პერსპექტიულ სპეციალისტად ითვლება. „ინტერი"-„ვალენსიის" დაპირისპირებამდე ორი დღით ადრე იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" მას რამდენიმე კითხვა დაუსვა.**

**- „ინტერს" იტალიაში ვერ აჩერებენ, შაბათს ზედიზედ მე-16 შეხვედრა მოიგო. მილანური გუნდი თქვენში შიშს ხომ არ იწვევს?**

- შიშს არა, მაგრამ პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს. მილანელებისთვის ეს მართლაც საოცარი სეზონია, შემადგენლობაც ძალიან ძლიერი ჰყავთ და წინა წლებთან შედარებით, საკუთარი ძალების უფრო სჯერათ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ძლევა მათთვისაც ურთულესი ამოცანა იქნება.

**- ტრავმების სიმრავლის (12 ფეხბურთელია დაშავებული) მიუხედავად, „ვალენსიამ" მაინც შეძლო, რომ პრიმერა დივიზიონში მაღალ ადგილებზე დარჩენილიყო და ბრძოლა ჩემპიონთა ლიგაშიც გაეგრძელებინა. რა არის ამის საიდუმლო?**

- ყოველდღიური დაძაბული მუშაობა, კონცენტრაცია. შემსრულებლები ხშირად იცვლებოდნენ, მაგრამ გუნდს ამის გამო სახე და თამაშის ხელწერა არ დაუკარგავს. „ვალენსია" სოლიდური, მებრძოლი გუნდია. საშინაო შეხვედრებში ჩვენთვის გოლის გატანა ძალიან ძნელი საქმეა (ჩემპიონატის 11 შეხვედრაში 5 ბურთი გაუშვა).

**- სეზონი ახალწვეულებით, ხოაკინითა და მორიენტესით დაიწყეთ, მაგრამ ახლა ისინი უფრო იშვიათად თამაშობენ. რატომ?**

- მინდა, რომ „მორო" დოზირებულად ვათამაშო, რადგან თითქმის 31 წლისაა და გასულ სეზონში გადატანილი კუნთის ტრავმის შემდეგ, არ მინდა, რომ მარტში უკვე „გადამწვარი" იყოს. ხოაკინმა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, მაგრამ ახლა ანგულო მეტ გარანტიებს მაძლევს. მაგრამ ხოაკინსაც არაერთხელ მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

**- ვის მიიჩნევთ ფავორიტებად ჩემპიონთა ლიგაში?**

- მართალია, ჯგუფურ ეტაპზე მიღწეულს ახლა უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ აქამდე ნანახით თუ ვიმსჯელებთ, მომეწონა „ლიონი", „ჩელსი" და „ბარსელონა", რომელიც კვლავაც ჩემპიონად რჩება.

**- მართალია, რომ კარგი ურთიერთობა არ გაქვთ სპორტულ დირექტორ ამედეო კარბონისთან?**

- არა. შეიძლება, იყო რაღაც უთანხმოებები სატრანსფერო კამპანიასთან დაკავშირებით, რამდენიმე ტრანსფერზე ჩვენი აზრები იყოფოდა, მაგრამ ასეთია ჩვენი სამუშაო. არც მე და არც ამედეო არ ვაპირებთ ერთმანეთთან დაპირისპირებას, მით უმეტეს საჯაროდ.

**- ჩემპიონატში ლიდერთან 4 ქულას აგებთ. შეძლებს „ვალენსია" ორ ფრონტზე თანაბრად ბრძოლას?**

- დიახ. შეგვიძლია, რომ პრიმერა დივიზიონშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც ბოლომდე ვიბრძოლოთ. ბოლო წლებში ჩვენი მიზანი ასეთია: ესპანეთის საუკეთესო ოთხეულში ადგილის შენარჩუნება და რაც შეიძლება შორს წასვლა ჩემპიონთა ლიგაში. ამ მიზნის მიღწევა კლუბის ეკონომიკური და საფეხბურთო სტაბილურობისთვისაც არის აუცილებელი.

**გოგა ახალაძე**

ინტერვიუ მათიას ზამერთან

# გერმანიის ნაკრებს პიროვნებები სჭირდება

## გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა დირექტორმა უკვე იცის, ვინ ითამაშებს ბუნდესნაკრებში 2026 წლის მუნდიალზე

**გერმანიის ნაკრებმა ვერ შეძლო საკუთარ კედლებში მსოფლიო ჩემპიონატის მოგება, მაგრამ სამაგიეროდ, მაყურებელთა ყველაზე მეტი სიმპათია დაიმსახურა. პატივმოყვარე გერმანელი გულშემატკივრები ბუნდესნაკრებისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდნენ, მაგრამ დიდად არ დაწყვეტიათ გული, როცა ეს გუნდი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ამასთან ერთად, გერმანელი სპეციალისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ გასული ზაფხულის ეიფორია რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას დავიწყებული. მათი აზრით, აუცილებელია სტრატეგიული ხასიათის სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადების მთელი სისტემის მოდერნიზაციისთვის, რათა გერმანულმა ფეხბურთმა შეინარჩუნოს მოპოვებული პოზიციები და პროგრესი გააგრძელოს. ამ მიზნით, გასული წლის გაზაფხულზე, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, პირველად, ოფიციალურად შემოიღო სპორტული დირექტორის თანამდებობა, რომელიც მათიას ზამერს ჩააბარა. წარსულში ცნობილ ფეხბურთელთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. 38 წლის ზამერი გერმანული ფეხბურთის საკულტო ფიგურაა. წარმოშობით დრეზდენელი, ის უკვე 17 წლის ასაკში ადგილობრივი "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, რომელთან ერთადაც ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მას გდრ-ის ნაკრების კაპიტნის როლი ანდეს. ამის შემდეგ, ზამერი წარმატებით თამაშობდა "შტუტგარტში", "ინტერში" და დორტმუნდის "ბორუსიაში". ამ უკანასკნელის შემადგენლობაში სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი: ორჯერ, როგორც მოთამაშე და ერთხელ - როგორც მწვრთნელი. 1997 წელს, ზამერმა და მისმა დორტმუნდელმა თანაგუნდელებმა ჩემპიონთა ლიგაც მოიგეს. გარდა ამისა, ის გდრ-ის ობერლიგის პირველი მოთამაშე გახდა, რომელიც გაერთიანებული გერმანიის ნაკრებში მიიწვიეს. ზამერმა სანაკრებო დონეზე 51 მატჩი ჩაატარა და 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, 2002-ში კი, 34 წლის ასაკში, ზამერი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა, ვინც კლუბთან ერთად ოქროს მედლები მოიპოვა. ზამერი საკუთარი თავის მიმართ მეტად მომთხოვნია, ამასთან ერთად, ბევრი აღიარებს, რომ მათიასთან თანამშრომლობა არც ისე იოლი საქმეა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა, სწორედ მისთვის ჩაებარებინა სპორტული დირექტორის საპასუხისმგებლო თანამდებობა. საპასუხისმგებლო იმიტომ, რომ პირველად გერმანული ფეხბურთის ისტორიაში, საქმე ეხება ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის ქვეყნის საფეხბურთო რეზერვის მომზადების ერთიან პროგრესულ კონცეფციას. ყოველკვირეულ "შპორტბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ზამერი გადმოგვცემს მის წინაშე დაკისრებული მასშტაბური ამოცანის რეალიზაციის მისეულ ხედვას.**

**- ჰერ ზამერ, თქვენი, როგორც სპორტული დირექტორის ურთიერთობა ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ იურგენ კლინსმანთან ძალიან რთულად ვითარდებოდა. ამის შემდეგ, კვლავ წარმოიშვა გარკვეული უთანხმოება იმის გამო, რომ ერიხ რიუტემიოლერი თქვენ მიერ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად იქნა დანიშნული. იოახიმ ლიოვმა ეს ამბავი არ იცოდა. ხომ არ შეიქმნა ამასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა?**

- ეს გადაწყვეტილება უფრო ადრე, მაისში იქნა მიღებული და ის პრეზიდიუმის წევრებთან იყო შეთანხმებული. ჩვენ შეგნებულად გადავდგით ეს ნაბიჯი, რადგან იქამდე, სანამ ამ პოსტზე დიდი ხნით კონკრეტული ადამიანის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებ, აუცილებელია დააზუსტო რეზერვის მომზადების სფეროში მომავალი სამუშაოს შინაარსი.

**- იქნება თუ არა ლიოვთან თქვენი თანამშრომლობა უფრო მჭიდრო, ვიდრე ეს კლინსმანის შემთხვევაში იყო?**

- ნაკრებში ლიოვის დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იყო. მან ზუსტად იცის, როგორ უნდა იაროს უკვე გაკვალულ გზაზე. ის მაღალი დონის სპეციალისტია და ნამდვილად არ იმსახურებს იმას, რომ - ასისტენტი ეძახონ, თუნდაც იმიტომ, რომ ლიოვი გუნდში პრაქტიკულ სამუშაოზე იყო ორიენტირებული და ამით, დიდ დახმარებას უწევდა კლინსმანს. ჩემი სურვილია, მან დიდი ხანი იმუშავოს ბუნდესმწვრთნელის პოსტზე, რადგან ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა მუშაობას არ გაწყვეტინებენ.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირთან გაფორმებულ კონტრაქტში, ლიოვმა შეიტანა პუნქტი შეტევითი სათამაშო ფილოსოფიის შესახებ. იქონიებს თუ არა ეს ფაქტი გავლენას ნაკრების რეზერვთან თქვენს მუშაობაში?**

- ის, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიამ შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა, ძალიან მნიშვნელოვან მომენტად მიმაჩნია. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფეხბურთის საერთო ტენდენცია პრობლემატურად გამოიყურება: ბევრი ნაკრები მხოლოდ ერთი თავდამსხმელით თამაშობდა, დაცვას მეტ ყურადღებას აქცევდა და მხოლოდ შედეგზე ფიქრობდა. არ უნდა დავუშვათ, რომ ამ ტენდენციამ ჩვენს ახალგაზრდულ ფეხბურთზე გავლენა იქონიოს. ჩვენ შეტევითი სტილი უნდა ავირჩიოთ.

**- გარდა სათამაშო ფილოსოფიისა, რა გამოცდილების გაზიარებას აპირებთ ეროვნული ნაკრებისგან?**

- გერმანიის საფეხბურთო კავშირში ჩემი ამოცანებია - შევქმნა წინაპირობა ელიტური ფეხბურთელების მომზადებისთვის. ამისათვის, აუცილებელია მრავალმხრივი და ინდივიდუალური მიდგომები მზადების ორგანიზაციისთვის. ეს ეხება არა მარტო სისწრაფეს, ამტანობას ან ფიზიკურ ფორმას, აქ იგულისხმება აგრეთვე ტაქტიკური განათლება და ტექნიკური ოსტატობა. ძალიან მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია ახალგაზრდა ფეხბურთელის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მუშაობაც.

**- ლიოვი ფიქრობს იმაზე, რომ სტანდარტული სიტუაციების მწვრთნელის პოსტი შემოიღოს - როგორც პირველ, ასევე ახალგაზრდულ გუნდებში.**

- ეს იდეა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ერთგვარი კავშირი დამყარდება ახალგაზრდულ გუნდებსა და ეროვნულ ნაკრებს შორის. ასეთი სპეციალისტი აუცილებლად უნდა უზიარებდეს ახალგაზრდებს თავის გამოცდილებას (ამ პოსტზე წარსულში ჯარიმების უბადლო შემსრულებელი, თომას ჰესლერი დაინიშნა - რედ.).

**- თქვენ ზემოთ ახსენეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი...**

- ბავშვების მომზადების პროცესში, არ უნდა გავუთანაბროთ ერთმანეთს ახალგაზრდა ფეხბურთელები. ასე თუ ალმოვაჩენთ ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული პიროვნებებს, რომლებსაც შემდეგ რეკომენდაციას გავუწევთ ეროვნული ნაკრებში. დიდ ფეხბურთელსა და ლიდერს ესმის, რომ გუნდის გარეშე არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თავისი ღირსებების მეშვეობით, ის ყველას უმტკიცებს, თუ რაში მდგომარეობს განსხვავება მასსა და დანარჩენ მოთამაშეებს შორის. ადრე, გერმანიის ნაკრებში იყვნენ გამორჩეული ხასიათის მქონე დიდი ფეხბურთელები, დავასახელოთ ფრიც ვალტერი, უვე ზეელერი, ფრანც ბეკენბაუერი, ლოთარ მათეუსი ან იურგენ კლინსმანი, რომელმაც გერმანიას ევრო 96-ზე გაამარჯვებინა. ასეთი ლიდერები ჩვენ მომავალშიც გვჭირდება.

**- მიუხედავად დიდი ფეხბურთელების არყოფნისა, გერმანიამ საშინაო მუნდიალზე მესამე ადგილი მოიპოვა...**

- ამიტომაც არ არსებობს ნეგატიური შეფასების საფუძველი. ტაქტიკური თვალსაზრისით, ჩვენი გუნდის თამაში გამორჩეული იყო. გერმანიის ნაკრებმა გამარჯვებისკენ სწრაფვა, კარგი ფუნქციონალური მომზადება და ხალისიანი, ცოცხალი თამაში გვიჩვენა. მაგრამ, მკაფიოდ უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგი რამ: ტრიბუნებზე ისეთი ემოციური მხარდაჭერა, როგორც ეს 2006 წლის პირველობაზე იყო, გერმანიას, ალბათ, აღარ ექნება. ამიტომაც, მომავალში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ემოციურობა ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ემოციები მარტო ტრიბუნებიდან არ უნდა მოდიოდეს, ის მოთამაშის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაც უნდა იყოს.

**- გერმანიის ნაკრებში ვინ არის ის პიროვნება, რომელსაც ლიდერის ფუნქციების შესრულება შეუძლია?**

- ჩვენ გვყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც შეიძლება ბუნდესნაკრები დაეყრდნოს. ეს არის იენს ლემანი. თავდაჭერილობით და მომთხოვნელობით გამოირჩევა კრისტოფ მეცელდერი, ვისი გამოცდილებაც ყოველთვის არგუმენტირებულია. ძალიან კარგ მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ლუკას პოდოლსკი გაიკრიტიკა, მაგრამ ეს ქვეყნის გრანდიოზის გამრავლდა ... თამაშში გამოვლინდება.

**- თქვენზე დაკისრებული ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ახალი ლიდერების პოვნა და მათი მომზადება.**

- ჩემი კონცეფცია მომავალ 10-20 წელიწადზეა გათვლილი. როცა დღეს საბავშვო ბაღში მივდივარ, იქ უკვე ვხედავ ბავშვებს, რომლებიც 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის გამოგვადგებიან. ჩემს წინაშე საკითხი ასე დგას: მომავალში რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რათა შარშანდელი მუნდიალის სულისკვეთება შენარჩუნდეს.

**- და რა მოიფიქრეთ ამასთან დაკავშირებით?**

- არ უნდა დავუშვათ, რომ ხალხის ეიფორიით მიღებული პოზიტიური ეფექტი დაიკარგოს. კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ რა მოგვცა განვლილმა მსოფლიო ჩემპიონატმა. ჩემი სამუშაო მხოლოდ ახლა იწყება. უნდა ავიყოლიოთ მასწავლებლები და მშობლები. ისინი ბავშვის პიროვნული თვისებების განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ. ასეა სპორტში და ნებისმიერ სხვა სფეროშიც.

**- თქვენი კონცეფცია ამ თემას შეეხება?**

- პირველ რიგში, სწორედ ამას. ის თავის თავში აერთიანებს ღონისძიებებს, რომელიც გარკვეული ასაკის ბავშვის განვითარებისკენ არის მიმართული. მთავარი საკითხი კი შემდეგში მდგომარეობს - რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად იმისთვის, რომ ნიჭიერი ბავშვის დიდ სპორტში მოყვანა გამართლებული და წარმატებული გამოდგეს.

**- იქნებ გაგვიმხილოთ, როგორია თქვენი სტრატეგიული ჩანაფიქრი?**

- პასუხი მარტივია: ბავშვებს სპორტი ყველაზე მეტად უნდა უყვარდეთ. ეს ყველაფერი სამი წლის ასაკიდან, საბავშვო ბაღში იწყება - თამაშების და ვარჯიშების დროს. ვარჯიშები შეიძლება იყოს ხტომები, ბრუნები, სირბილი და ა.შ. დანერგილი სკოლაში აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ სპორტისადმი ინტერესი კიდევ უფრო განვითარდეს და ამან მოგვცეს სისტემური ხასიათი მიიღოს. 11-12 წლის ასაკში, ჩვენ მათი სპეციალური, ინდივიდუალური საფეხბურთო სწავლების პროცესი ... ამ ასაკში არ არის აუცილებელი, ნორჩი ფეხბურთელები ამა თუ იმ ამპლუის მიხედვით განვანაწილოთ.





პრობლემა

## "უემბლი" ისევ არ ესწრება?

### ასოციაციამ თასის ფინალისთვის კარდიფის სტადიონი მაინც დაჯავშნა

19 მაისს ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი უნდა გამართოს. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ თამაშს განახლებული "უემბლი" უმასპინძლებს, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ. მათი განცხადებით, სტადიონზე სამუშაოების დასრულება ისევ არ მოესწრება და სამშენებლო კომპანია "მულტიპლექსი" ზედიზედ მესამედ გადასცდება დათქმულ ვადას. საფეხბურთო ასოციაციას "უემბლის" აშენება 800 მილიონი გირვანქა დაუჯდა. სტადიონი, ფაქტობრივად, მზადაა, მაგრამ უსაფრთხოების სისტემების ტესტირება ჯერ არ მომხდარა. ტესტირებამდე უმნიშვნელო სამშენებლო სამუშაოების დასრულებაა საჭირო. ასოციაცია თავს იზღვევს და 19 მაისისათვის კარდიფის "მილენიუმიც" დაჯავშნული აქვს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "უემბლი" მხოლოდ აგვისტოში გაიხსნება. ზაფხულის მიწურულს ინგლისი გერმანიასთან ამხანაგური მატჩის ჩატარებას გეგმავს. სიმბოლურია, რომ ძველი "უემბლიც" გერმანელებთან თამაშის შემდეგ დაიხურა. აქვე გეტყვით, რომ ეროვნული ნაკრების თამაშამდე ახალმა არენამ ინგლისის ქალთა ნაკრების ერთ მატჩსა და ახალგაზრდული გუნდის ერთ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. ეს თამაშები საბოლოოდ გამოავლენს "უემბლის" მზადყოფნას და ფიფასა და უეფასაგან შესაბამის ლიცენზიებსაც მიიღებს.

დასასრულს გეტყვით, რომ თავდაპირველი გეგმით "უემბლი" 2003 წლის მაისში უნდა გახსნილიყო. "მულტიპლექსმა" საფეხბურთო ასოციაციასთან კონტრაქტი 2000 წელს გააფორმა და პროექტის მაქსიმალურ ღირებულებად 326 მილიონი გირვანქა დაასახელა.

### მვენზა: სეზონის ბოლომდე სიტიში

"მანჩესტერ სიტი" ოთხთვიან კონტრაქტს გაუფორმებს ზელგიის ნაკრების თავდამსხმელ ემილ მპენზას. 28 წლის ფეხბურთელმა კატარულ "ალ რაიანთან" ხელშეკრულება განვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა. ის მანჩესტერში ხუთშაბათს ჩავიდა და იმავე საღამოს სამედიცინო შემოწმება გაიარა. ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში, მპენზა "სიტიში" კიდევ სამი წელი დარჩება. სხვადასხვა დროს მას "მუსკრონში", "სტანდარდში", "შალკესა" და "ჰამბურგში" უთამაშია.

### კარლსრუედან ვერდერში?

გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "ვერდერი" მეორე ბუნდესლიგელი "კარლსრუეს" თავდამსხმელით, იტალიელი ჯოვანი ფედერიკოთი დაინტერესდა. ეს უკანასკნელი 26 წლისაა და აქვს როგორც იტალიის, ასევე გერმანიის მოქალაქეობაც. ფედერიკო მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს - მისი "კარლსრუე" მეორე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში უდგას და ესეც არ იყოს, 22 თამაშში 13 გოლი აქვს გატანილი, ამ შედეგით კი მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია. ფედერიკოს სატრანსფერო ფასი 2 მილიონი ევროა.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ჭიდაობა



დილომში ტურნირს მაყურებელი არ მოჰკლებია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი. U-21

# მხოლოდ მძიმეა გარკვეული

**გუშინ** დილომში დასრულდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი. ბოლო დღეს ხალიჩაზე დარჩენილი ოთხი წონითი კატეგორიის - 55, 66, 84 და მძიმის წარმომადგენლები გავიდნენ.

ამ ჩემპიონატის უმთავრესი დანიშნულება ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე წასაყვანი ნაკრებებისთვის კანდიდატთა გამოვლენა იყო. ცხადია, მხოლოდ ამ ერთი ტურნირით საბოლოო დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ვითარება დამაიმედებლად გვეჩვენა.

| 55 კგ |
|---|
| 1. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი) |
| 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი) |
| 3. გურგენ ერემიანი (დედოფლისწყარო) |
| 3. ვასილ მამულაშვილი (საგარეჯო) |

ეს წონა ის ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელსაც თაობათა ცვლა არ შეხებია - ქუთაისელი **მურთაზ კვესაძე** ამ გუნდში შარშან გადმოვიდა ჭაბუკთა ნაკრებიდან. ჭაბუკთა შორის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი შარშან თითქოს ურიგოდ არ გამოდიოდა, საერთაშორისო ტურნირებზე მუდამ პრიზიორთა შორის იყო, მაგრამ ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე უმედლოდ დარჩა. ამის მიუხედავად, მისი ჩამოწერა არავის უფიქრია და ახლანდელი ჩემპიონობით საკუთარი ძალა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. თუმცა ურიგოდ არც **გიორგი ედიშერაშვილი** გარჯილა, რომელიც თავის ასაკში აქამდეც ერთ-ერთი საუკეთესოდ მიიჩნეოდა. **ვასილ მამულაშვილი** ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორია, **გურგენ ერემიანი** კი ჯერ შინაურ ტურნირებში წარმატებული ჭიდაობით იქცევს ყურადღებას. აშკარაა, წონაში კონკურენცია დიდია, თუმცა ამ ეტაპზე ფინალისტები მაინც საგრძნობლად აღემატებიან კონკურენტებს.

| 66 კგ |
|---|
| 1. ნიკოლოზ რეხვიაშვილი (ონი) |
| 2. ზაურ აბრამაშვილი (გორი) |
| 3. გელა ნადირაძე (საჩხერე) |
| 3. რევაზ ჯანელიძე (თბილისი) |

წონის აქამდელი ლიდერის, გორელი **ცოტნე ბარამიძის** უფროსებში გადაბარგების შემდეგ წლეულს სპეციალისტები ფავორიტად ჭაბუკებში ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ **ზაურ აბრამაშვილს** მიიჩნევდნენ, თუმცა **ნიკოლოზ რეხვიაშვილმა** ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენა. სასიამოვნო სიურპრიზია, დანარჩენი კი მომდევნო შესარჩევ ტურნირებზე გამოჩნდება.

| 84 კგ |
|---|
| 1. ბექა ჭელიძე (აჭარა) |
| 2. შავლეგ ჩიტიშვილი (კასპი) |
| 3. გიორგი ჩიტიშვილი (ყვარელი) |
| 3. იმედა ქაშაკაშვილი (ქუთაისი) |

ამ წონაშიც ძველმა ლიდერმა - **ბექა ჭელიძემ** იმარჯვა, მაგრამ საყურადღებოა პრიზიორთა შორის **გიორგი ჩიტიშვილის** გამოჩენა - იგი ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორია, მაგრამ ჩანს, პოზიციების დათმობას არც ახალ ნაკრებში აპირებს. ნურც მის მოგვარეს - **შავლეგ ჩიტიშვილს** დავივიწყებთ, რომელიც ამჯერად ვერცხლს შესწვდა. საეჭვოა, ჭაბუკებში ევროპის 2005 წლის ვიცე-ჩემპიონი ჭელიძე წლეულს რომელიმემ ამოაგდოს ნაკრებიდან, მაგრამ კონკურენციის ზრდა სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით, მისასალმებელია.

| მძიმე |
|---|
| 1. გიორგი ნიკურაძე (თბილისი) |
| 2. ლევან ბერიანიძე (თბილისი) |
| 3. თორნიკე შიოშვილი (თბილისი) |
| 3. გიორგი ვეფხვაძე (ხარაგაული) |

ამ წონაში ყველაფერი გარკვეულია - ახალგაზრდებში ევროპის შარშანწინდელი ჩემპიონი და შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **გიორგი ნიკურაძე** უკონკურენტოა. სასწაულს არც ტურნირის დაწყებამდე ელოდა ვინმე და არც მომხდარა - ნიკურაძემ დამაჯერებლად გაიმარჯვა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ნაკრებიდან მისი ამოვარდნა გამორიცხულია.

### ნუგზარ სხირელი,
ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი

- უპირველესად, მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას აღვნიშნავ - 238 სპორტსმენი ჭიდაობდა. წინა წლებს თუ გადავხედავთ, მაქსიმუმ, 150 მოჭიდავე მოგროვილიყო. ასეთი ბუმი საჭიდაო "გეოგრაფიის" გაზრდამ და პროვინციებში გამოცოცხლებამ გამოიწვია. ჩემპიონატში ისეთი რაიონებიც გამოვიდნენ, ადრე რომ არ მონაწილეობდნენ. საწყენია, რომ კონცენტრაცია კვლავინდებურად თბილისში ხდება - ვინც კი გამოჩნდება ნიჭიერი, დედაქალაქში გადმოდის სავარჯიშოდ, დამოუკიდებელ წერტილად მხოლოდ გორი რჩება. ასეთი მდგომარეობა, ნაწილობრივ, აჭარაშიცაა. არადა, რაც მეტი იქნება ასეთი ცენტრი, მით უკეთესი.

ჩემპიონატის დონეს და თაობათა ცვლას რაც შეეხება, ბუნებრივია, თანაბარი შეხვედრებიც იყო და ისეთებიც, სადაც ერთი აშკარად ჯობნიდა მეტოქეს. ჩვენ აქცენტს ძირითადად იმ წონებზე ვაკეთებდით, სადაც ლიდერები უკვე უფროსებში გადავიდნენ. ცხადია, გამოჩნდნენ მათი შემცვლელებიც, მაგრამ მათ საკუთარი შესაძლებლობები საერთაშორისო ტურნირებზეც უნდა დაამტკიცონ.

ევროპის პირველობამდე ჯერ დიდი დროა, ხოლო შემადგენლობაზე წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მძიმე წონაში ნიკურაძის კონკურენტს ვერ ვხედავ. 84-ში ნაკრების ლიდერი შარშანაც ჭელიძე გახლდათ, თუმცა საზღვარგარეთ თავი ვერ გამოიჩინა. რაკი წლეულსაც საქართველოს ჩემპიონი გახდა, ისევ ის უნდა გამოვცადოთ. ვნახოთ, იქნებ ამჯერად მაინც იყოჩაღოს. ცუდია, რომ უკეთესი არავინ გამოჩნდა.

66-სა და 55-ში ორივე ფინალისტი გამოსაცდელია. 66-ში რეხვიაშვილი საქართველოს შარშანდელი პრიზიორია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში მაინცდამაინც ვერ იყოჩაღა. ვნახოთ, წლეულსაც მასაც გამოვცდით და ზაურ აბრამიშვილსაც, რომელიც ჭაბუკებში ევროპის პრიზიორია. 55-ში კვესაძე ძველი ლიდერია კია, მაგრამ ურიგოდ არც ედიშერაშვილს უჭიდავია. აქაც ორივეა გასასინჯი.

თითქმის გარკვეულია კონკურენცია 50-ში, სადაც ფინალში სულ მთლად ბავშვებმა იჭიდავეს - ბერძნიშვილი 18 წლისაა, ხინჩიკაშვილი - თექვსმეტის. აქ ბერძნიშვილი ყველაზე ძლიერია და უფრო მასზე შევაჩერებთ ყურადღებას, ხინჩიკაშვილმა კი, რამდენადაც ვიცი, თითქმის გაინაღდა ადგილი ჭაბუკთა ნაკრებში.

იყო მოულოდნელობაც. მაგალითად, ველოდით, რომ 74-ის ფინალში გიორგი მარსაგიშვილი და მარად ზოიძე იჭიდავებდნენ, წილისყრისას ისინი განთესეთ კიდეც, მაგრამ მარსაგიშვილი თავის ქვეჯგუფში დამარცხდა და მესამეზე გავიდა. ცხადია, მისით უკმაყოფილო ვარ. ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით, მან დეკემბერში ერთ ტურნირზე არ იჭიდავა და ახლანდელ მდგომარეობაზე ამანაც იმოქმედა. მარსაგიშვილი ამჯერად გოჩა ლომთათიძესთან დამარცხდა, რომელმაც მერე ფინალში ზოიძესაც მოუგო. ესეც საყურადღებოა, რადგან იგი ახალბედაა, ზოიძე კი საერთაშორისო ტურნირებში საკმაოდ გამოცდილია და ჭაბუკებში ევროპის პრიზიორიცაა. მაგრამ მას შეკრებაზევე შევატყვე, რომ სუნთქვა არ ჰყოფნის - პირველ პერიოდს კარგად ჭიდაობს, მაგრამ მეორეში საგრძნობლად უჭირს. ახლაც ასე მოხდა და ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# აზალაძე მარტოა

საქართველოს რაგინდარა ჩემპიონატში და ზოგადად, საჭადრაკო ტურნირებში დიდი იშვიათობაა, საწყისი ტურების შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გამოიკვეთოს. ამ ტურნირზე კი უკვე მეორე დღეა, **შოთა აზალაძე** ეულად ლიდერობს.



შოთა აზალაძე

აზალაძე ძლიერი მოჭადრაკეა და შესწევს კიდეც პირველობის უნარი, თუმცა არანაკლები ძალის ბევრი მოჭადრაკეა ტურნირში და ყოველი ქულა, ნახევარი ქულაც კი უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოიპოვება. ჩიტიც ლირს ბდღვნად, - პირველი ოთხეული უმაღლესი ლიგის საგზურს იღებს.

აზალაძე მესამე ტურიდან დაწინაურდა, როცა **ბეგლარ ჯობავა** თეთრებით დაამარცხა, კონკურენტებმა კი ყაიმები დააფიქსირეს. მდევართა ჯგუფი დიდი იყო - გუშინდელი მეტოქის გარდა, შოთას კიდევ შვიდი მონაწილე ჩამორჩებოდა ნახევარი ქულით.

შოთამ მეოთხე ტურში ვერ იმარჯვა, შავებით **გიორგი მარგველაშვილთან** დაზავდა, თუმცა ამ პარტიაში სანერვიულო არაფერი იყო - 13 სვლაში შეთანხმდნენ ყაიმზე. მაგრამ ისე მოხდა, რომ ლიდერის შეფერხებით ვერავინ ისარგებლა - ყველამ ყაიმით ითამაშა, თუმც მძაფრი ბრძოლები კი გადახდათ.

მეორე დაფაზე **გიგა ყუფარაძე** და **დავით არუთინიანი** დაზავდნენ, მესამეზე - **ლუკა პაიჭაძე** და **გიორგი ბალათუროვი**, მეოთხეზე **გაიოზ ნიგალიძე** და **დავით ჯოჯუა**, მეხუთეზე - **თამაზ მგელაძე** და **დავით ბენიძე**.

ასეთმა "მშვიდობიანობამ" ცხრილის ზედა ნაწილში კიდევ უფრო დაძაბა ვითარება - 3.5 ქულით აზალაძე ხომ ლიდერობს, 3 ქულით მას კვალში ახლა უკვე 13 მოჭადრაკე უდგას. მათ შორის ერთი გოგონაა - **სოფიკო გურამიშვილი**. სოფიკოს წარმატებებზე ბოლო კვირებია, ლამის ყოველდღე გვიწევს წერა და უკვე აღარც გვიკვირს, თუმცა მაინც - 16 წლის გოგონამ შავებით ჯერ **ბელა ხოტენაშვილი** დაამარცხა, მერე კი **ნინო ბაციაშვილი**. სოფო დღეს თეთრებით **დავით ზარქუას** ხვდება და თუკი წარმატებული სერია განაგრძო...

გამოსარჩევია **სალომე ხაყომიას** გამარჯვებაც - შავებით **გიორგი გამზარდიას** მოუგო და საკმაოდ წაიწია ცხრილში.

სასიხარულოა, რომ ვეტერანები - **ბუხუტი გურგენიძე, იური ჩიქოვანი, ვლადიმერ დუგლაძე** და **მიხეილ ჭიპაშვილი** ახალგაზრდებს არ ეპუებიან. მართალია დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მთლად უიმედოდაც არ არიან. განსაკუთრებით ჭიპაშვილი და ჩიქოვანი გამოირჩევიან ამ კუთხით - 2-2 ქულა აქვთ.

მეხუთე ტურში: **შოთა აზალაძე (3,5) - დავით მალალაშვილი (3), დავით არუთინიანი (3) - გაიოზ ნიგალიძე (3), კონსტანტინე შანავა (3) - გიგა ყუფარაძე (3), გიორგი ბალათუროვი (3) - გიორგი მარგველაშვილი (3), დავით ბენიძე (3) - ბეგლარ ჯობავა (3), დავით ჯოჯუა (3) - ლუკა პაიჭაძე (3), სოფიკო გურამიშვილი (3) - დავით ზარქუა (3), ბაჩანა მორჩიაშვილი (2,5) - ლევან აროშიძე (2,5), დავით ლომსაძე (2,5) - თამაზ მგელაძე (2,5), ზვიად ფაცია (2,5) - ლაშა ცაბოშვილი (2), სოფიკო ტერელაძე (2) - მალხაზ სულაშვილი (2), თორნიკე სანიკიძე (2) - იური ჩიქოვანი (2), პარმენ გელაზონია (2) - ივერი ჭილაძე (2), მიხეილ ჭიპაშვილი (2) - დიანა დარჩია (2), ბელა ხოტენაშვილი (2) - ნინო ბაციაშვილი (2), ზურაბ ჯავახაძე (2) - სალომე ხაყომია (2).**

**ზვიად შათირიშვილი**

## რაგბი. ლეგიონერები

# გზად მეორე დივიზიონისკენ

**საფრანგეთის პირველ ფედერალურ დივიზიონში მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყო. გადამწყვეტი შეხვედრების პირველ რაუნდში ქართველ მორაგბეთა გუნდების უმრავლესობამ წარმატებას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ მეორე, ელიტურ დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლას აგრძელებს 24 გუნდი, რომლებიც ექვს ჯგუფში არიან განაწილებული. პლეი ოფში ექვსი პირველადგილოსანი და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი იასპარეზებს. მეორე დივიზიონის საგზურს კი სამი საუკეთესო მოიპოვებს.**

**B ჯგუფში** ერთი ქართველის, **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენა" ასპარეზობს. ამ გუნდმა სტუმრად იასპარეზა "ლურდთან" და 18:12 გაიმარჯვა. **C ჯგუფში** წარმატებული სტარტი აიღო **დავით გასვიანის** "ექსმა", რომელმაც შინ სძლია "ოლორონს" 20:9. ამავე ჯგუფში სტუმრად მარცხი "ლა სეინთან" დამარცხდა **კონსტანტინე ჯინჭარაძის** "ბურგ ან ბრესი" - 3:12.

**D ჯგუფში** ერთმანეთის პირისპირ ქართველ მორაგბეთა გუნდები დადგნენ. **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანმა" **დავით დადუნაშვილის, გიორგი ჩხაიძისა** და **ვიქტორ დიდებულიძის** "მასის" უმასპინძლა და 22:32 დამარცხდა. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, დიდებულიძე 49-ე წუთიდან გამოვიდა, ჩხაიძე განაცხადში არ ყოფილა.

**E ჯგუფში ვანო ნადირაძისა** და **თედო ზიბზიბაძის** "პერიგომ" შინ დაამარცხა "ტიროსი" 28:6. **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონმა" სტუმრად მინიმალური ანგარიშით სძლია "რუანს" 22:21. ორივე ქართველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჩოგბურთი

### მოხთან ნულზე

20 წლის **სალომე დევიძემ** (538) ვერ შეძლო ფლორიდაში ქლეარვოთერის ტურნირის (25 ათასი) ძირითად ბადეში გაღწევა. ჩვენი თანამემამულე, რომელიც სამი წლის წინათ დღევანდელზე 300 ადგილით წინ იყო რეიტინგში, საკვალიფიკაციო ტურნირში მე-16 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მან ამერიკელ **ნადია ჯილკრისტს** მოუგო - 7:6, 6:4. მეორე წრეში სალომე რუს **მარია მოხს** შეხვდა. 16 წლის რუსთან, წესით, ფავორიტი ქართველი იყო, მაგრამ ანგარიშმა საწინააღმდეგო დაგვიმტკიცა - 0:6, 0:6.

### პასიური დასაწყისი

**ITF-მ გუშინ** მსოფლიოს ახალგაზრდული რეიტინგი გამოაქვეყნა. 18-წლამდელთა შორის მოწინავეებში ორი ჩოგბურთელი გვყავს - გოგონებში **ოქსანა კალაშნიკოვა**, ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილი**. ლაზარე რეიტინგში 43-ე საფეხურზეა - მას ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში დამარცხების შემდეგ არსად უთამაშია. საქართველოს ჩემპიონი და ნაკრების წევრი **გიორგი ჭანტურია** 267-ეა, **რევაზ ოსაძე** კი 412-ეა. ოქსანა კალაშნიკოვა მსოფლიოს 41-ე ჩოგანია, ხუთასეულში სხვა ქართველი გოგონა არაა. ოქსანას წლეულს ერთი მატჩიც არ გაუმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

# როგორ ჩავაგდოთ 11 სამქულიანი და რატომ არ გავდივართ ევროპაში

მეცამეტე ტურის შემდეგ სტატისტიკურ მაჩვენებლებში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა: ერთ მატჩში დაგროვილი ქულების მიხედვით **გიორგი შერმადინს** პირველობა **კოტე ტულუშმა** ჩამოართვა - 45 ქულა გიორგის შედეგზე ერთით მეტია.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ტულუშმა 45 ქულა რეკორდული სიზუსტით მოაგროვა - 11-დან 11 სამქულიანი გამოიყენა. მაგრამ გაოცებას სხვა რამე იწვევს - კოტემ ეს ყველაფერი 23 წუთში მოასწრო!

წინა ტურმა მეორე რეკორდიც შემოგვთავაზა: სტუ-ს გამთამაშებელმა **შალვა კოხრეიძემ** 8 პასი ჩაუჭრა მეტოქეს და მისივე შედეგი ერთით გააუმჯობესა.

ასე და ამგვარად, მე-13 ტურის სიმბოლური ნაკრების უკანა ხაზი შალვა კოხრეიძემ და კოტე ტულუშმა შეავსეს. უნივერსიტეტთან "დინამო" ხშირ შემთხვევაში სამი ნომინალური გამთამაშებლით თამაშობდა და წარმატებითაც, ამიტომ, ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი უკანახაზელი დავუმატოთ - მე-12 ტურის საუკეთესო მოთამაშე **გიორგი ნიკოლაძე**.

სიმბოლურ ხუთეულში ცენტრალური მატჩის ორი მონაწილეც შევიყვანეთ, დინამოელი **ირაკლი გულისაბედაშვილი** და თსუ-ს ცენტრი **რიჩარდ მათიაშვილი**. ახლა მათ მონაგარს გადავხედოთ:

**შალვა კოხრეიძე (სტუ) - 35 წუთი, 14 ქულა, 8 ჩაჭრა, 7 პასი, 4 მოხსნა.**

**გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) - 40 წუთი, 24 ქულა, 6 პასი, 6 ჩაჭრა, 3 მოხსნა.**

**კოტე ტულუში (აზოტი) - 23 წუთი, 45 ქულა, 4 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 3 პასი, 1 დაფარება.**

**ირაკლი გულისაბედაშვილი (დინამო) - 31 წუთი, 21 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 5 ჩაჭრა.**

**რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) - 30 წუთი, 15 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება.**

სიმბოლურში ხუთეულში პირველად მოხვდნენ გულისაბედაშვილი და კოხრეიძე. ასევე პირველი შემთხვევაა, როცა ტურის ნაკრებში სხვადასხვა გუნდის ხუთი კალათბურთელი შევიდა, ხოლო კოტე ტულუში ტურის საუკეთესო მოთამაშე მეორედ გახდა. აქამდე იგივე მხოლოდ "ავიატორმა" **ირაკლი ბერიშვილმა** მოახერხა.

ტულუშის ინტერვიუ ორი კვირის წინ შემოგთავაზეთ. მაშინ კოტემ საკუთარ თამაშზე, "აზოტსა" და მის პერსპექტივებზე ისაუბრა. ახლა, მასთან ერთად, მისივე მაგალითზე გავარკვიოთ როგორ შეიძლება საქართველოში კალათბურთელის წინსვლა...



კოტე ტულუშს თამაში ფარქვეშაც ეხერხება

- სლოვენიურმა სკოლამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია. ფუკი საკუთარი თვალით არ გინახავს, ძნელია სიტყვით აღწერო ის, თუ როგორ წვრთნიან იქ ახალგაზრდა კალათბურთელებს. მთავარი მაინც ინდივიდუალური მიდგომაა - შეიძლება, მწვრთნელმა გითხრას ეს, ეს და ეს აკეთე, რაც სლოვენიაში ყოველდღიურად ხდებოდა, თუმცა, შეიძლება, პირიქითაც იყოს - არაფერი დაგავალოს. ასე რომ, მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა იყო დამოკიდებული - ინდივიდუალურ პროგრესზე სამუშაოდ მწვრთნელის მითითება არ უნდა გჭირდებოდეს. შენით უნდა ხვდებოდე ყოველდღიურად წინსვლისთვის რა უნდა აკეთო. შეიძლება, ვინმემ თქვას, საქართველოში დისციპლინის დაცვა შეუძლებელიაო. ვერ დავეთანხმები, რადგან თუ სურვილი გაქვს, გარემო პირობებისგან დამოუკიდებლად საკუთარ თავზე მუშაობას ნამდვილად შეძლებ. სხვათა შორის, ამაში კლუბიც მეხმარება - "აზოტში" კარგი ვარჯიშებია და დისციპლინაც კარგ დონეზეა.

**- როგორ ფიქრობ, სლოვენიაში რომ არ გეთამაშა, ვარჯიშებისადმი დამოკიდებულება სხვაგვარი ხომ არ იქნებოდა?**

- "სლოვანში" დიდი სკოლა გავიარე. ბევრი რამ ვისწავლე და მიჭირს იმის თქმა, საქართველოდან რომ არ წავსულიყავი, კალათბურთისადმი რა დამოკიდებულება მექნებოდა.

**- ორი სეზონი ირანში გაატარე. ამან თუ შეგმატა რამე?**

- თავდაჯერება და გამოცდილება. ირანულ კლუბებში, "თეგასა" და "გოლგოჰარში", ძირითადი ხუთეულის მოთამაშე ვიყავი და 35-40 წუთს ვთამაშობდი. მეტოქე გუნდებში სხვადასხვა ქვეყნების (ამერიკა, სერბეთი) და სხვადასხვა სტილის გამთამაშებლები იყვნენ. მათთან ხშირმა დაპირისპირებებმა გამოცდილება შემმატა.

**- კლასსა და გამოცდილებას ნელ-ნელა აგროვებ. დასავლეთ ევროპაში დაბრუნებისთვის როდის იქნები მზად?**

- ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი ჯერ არა მაქვს. ზოგადად საუბარს კი არ დაგზარდებით. ყველა სპორტსმენისთვის მთავარია მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს. სხვათა შორის, ამასწინათ მკითხეს - 11-დან 11 სამიანი ჩააგდე, ახლა რას აპირებო? ვუპასუხე - ვეცდები, ეს შედეგი გავაუმჯობესო-მეთქი, თუმცა, ვიცი, რომ ხვალ და ზეგ იგივეს გამეორება გამიჭირდება. მაგრამ მინდა 12-დან 12 სამიანი გამოვიყენო და ამისთვის შრომას არ დავიზარებ. ის, ვინც ჩათვლის, რომ ევროპის საშუალო დონის გუნდში თამაშს ვერასოდეს შეძლებს, პროგრესს ვერ მიაღწევს.

**- შენი აზრით, "აზოტის" რომელიმე კალათბურთელი თუ შეძლებდა თუნდაც სლოვენიის ჩემპიონატის საშუალო გუნდში ნორმალურად თამაშს?**

- ესეც ძნელი შეკითხვაა. ჯერ სახელზე ვთქვათ: სადაც უნდა მიხვიდე და უთხრა, აზოტელი ვარო, შენზე წარმოდგენის შესაქმნელად ეს საკმარისი არ იქნება, რადგან ევროპელები "აზოტსაც" ისევე იცნობენ, როგორც, ვთქვათ, "მაკაბის". ...ოღონდ თელ-ავივისას არა. თუკი ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი განხორციელდება და გაისად ევროტურნირებზე გავალთ, მაშინ კლუბის შესაძლებლობებიც ნათლად გამოჩნდება, რეიტინგში საკუთარ ადგილსაც ნახავს და კალათბურთელებსაც ჩვენი ძალის რეალურად შეფასების საშუალება მოგვეცემა. მიკვირს, აქამდე ევროსარბიელზე გასვლას ვერავინ რომ ვერ ბედავს...

**- შევრცხვებითო...**

- საქართველოში რომ დავბრუნდი (2002 წელს), თბილისის "დინამო" ფიბას თასზე ასპარეზობდა. ჯგუფიდანაც გავიდა და მეოთხედფინალშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველი სეზონის კვალობაზე კარგი დასაწყისი იყო, მაგრამ მას შემდეგ არც ერთი ქართული კლუბი არ გასულა ევროპაში. ეს რომ მომხდარიყო, დღეს ჩვენს კალათბურთში გაცილებით უკეთესი სიტუაცია იქნებოდა.

**- შეიძლება დასაწყისში უნდა მეკითხა, მაგრამ მთავარია, რომ არ დამვიწყნია - ყველაზე უკეთ შენ გეცოდინება, "მაკაბისთან" მართლა 11-დან 11 სამქულიანი ჩააგდე?**

- მეთორმეტე სამქულიანი რომ ვისროლე, მეტოქე ჩემზე დაჯარიმდა. მართალია, ბურთი კალათს ასცდა, მაგრამ შემდეგ სამივე საჯარიმო გამოვიყენე და ისე გამოვიდა, რომ მე-12 სამქულიანი სროლის შემდეგ გუნდს სამი ქულა მაინც მოვუტანე. რაც შეეხება შეცდომას, ოქმში ყველაფერი ზუსტადაა. სხვათა შორის, 8-დან 8 სამიანი რომ ჩავაგდე, ამისთვის ყურადღება, ჩემ გარდა, არავის მიუქცევია. მეცხრეზე აკაკი მეგრელაძემ გამოაცხადა - ტულუშს 9-ში 9 აქვს ჩაგდებულიო და ამის მერე მაკაბელებმა მთავარი აქცენტი ჩემს შეჩერებაზე გააკეთეს...

**- გამოდის, გამოცხადებამ ხელი შეგიშალა...**

- ასე არ ყოფილა. პროცენტული მაჩვენებელი რომ არ გამფუჭებია, ამის მიზეზი მწვრთნელის გადაწყვეტილებაა. 45-ე ქულა რომ ჩავაგდე, დავით უსტიაშვილმა შემცვალა და მოედანზე აღარ დავუბრუნებივარ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| ფინალი |
|---|
| მაკაბი–აზოტი 76:124 |
| სტუ–ავიამშენი 76:93 |
| დინამო–თსუ 94:97 |

| საუკეთესო მაჩვენებლები | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 45 | კოტე ტულუში | მაკაბი-აზოტი | 76:124 |
| **მოხსნა** | | | |
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 86:84 |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| 12 | ირაკლი ბერიშვილი | დინამო-ავიამ. | 94:107 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 8 | შალვა კოხრეიძე | სტუ-ავიამშენი | 76:93 |
| **დაფარება** | | | |
| 4 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 96:73, 137:86 |
| 4 | ჟულიენ ტუჯანი | აზოტი-დინამო | 96:61 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 11 | 374 | 34.0 |
| 2 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 12 | 273 | 22.8 |
| 3 ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 243 | 22.1 |
| 4 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 11 | 178 | 16.2 |
| 5 კოტე ტულუში | აზოტი | 11 | 166 | 15.1 |
| 6 დავით გვიმრაძე | დინამო | 9 | 135 | 15.0 |
| 7 ბესიკ ლეჟავა | თსუ | 13 | 193 | 14.8 |
| 8 ზურაბ ბადრიძე | დინამო | 12 | 175 | 14.6 |
| 9 შიო ხეცურიანი | თსუ | 11 | 156 | 14.2 |
| 10 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 12 | 167 | 13.9 |
| 11 ლევან ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 148 | 13.5 |
| 12 ლუკა შანიძე | თსუ | 13 | 174 | 13.4 |
| 13 ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 147 | 13.4 |
| 14 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 13 | 172 | 13.2 |
| 15 ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 10 | 127 | 12.7 |
| 16 ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 12 | 149 | 12.4 |
| 17 შალვა კოხრეიძე | სტუ | 13 | 154 | 11.8 |
| 18 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 115 | 11.5 |
| 19 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 13 | 149 | 11.5 |
| 20 სოსო შერმადინი | მაკაბი | 13 | 147 | 11.3 |
| 21 გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 13 | 145 | 11.2 |
| 22 გულივერ ახალკაცი | სტუ | 13 | 144 | 11.1 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | მ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 11 | 149 | 13.5 |
| 2 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 12 | 100 | 8.3 |
| 3 სოსო შერმადინი | მაკაბი | 13 | 101 | 7.8 |
| 4 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 13 | 93 | 7.2 |
| 5 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 13 | 84 | 6.5 |
| 6 დავით მაისურაძე | სტუ | 9 | 57 | 6.3 |
| 7 გულივერ ახალკაცი | სტუ | 13 | 78 | 6.0 |
| 8 თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 8 | 47 | 5.9 |
| 9 პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 9 | 50 | 5.6 |
| 10 ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 12 | 65 | 5.4 |
| 11 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 11 | 58 | 5.3 |
| 12 ლევან ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 56 | 5.1 |
| 13 ჟურივენ ტუჯანი | აზოტი | 11 | 55 | 5.0 |
| 14 შალვა კოხრეიძე | სტუ | 13 | 65 | 5.0 |
| 15 დავით გვიმრაძე | დინამო | 9 | 45 | 5.0 |
| 16 ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 55 | 5.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | პ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 76 | 6.9 |
| 2 გიორგი დოლიძე | მაკაბი | 13 | 83 | 6.4 |
| 3 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 12 | 72 | 6.0 |
| 4 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 50 | 5.0 |
| 5 ლევან ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 52 | 4.7 |
| 6 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 11 | 50 | 4.5 |
| 7 ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 49 | 4.5 |
| 8 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 11 | 48 | 4.4 |
| 9 შალვა კოხრეიძე | სტუ | 13 | 55 | 4.2 |
| 10 კოტე ტულუში | აზოტი | 11 | 46 | 4.2 |
| 11 შიო ხეცურიანი | თსუ | 11 | 42 | 3.8 |
| 12 ბუბა ბერიშვილი | თსუ | 12 | 41 | 3.4 |
| 13 ზურაბ ბადრიძე | დინამო | 12 | 41 | 3.4 |
| 14 გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 12 | 40 | 3.3 |
| 15 ნიკო წოზაძე | დინამო | 13 | 43 | 3.3 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 შალვა კოხრეიძე | სტუ | 13 | 45 | 3.5 |
| 2 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 12 | 30 | 2.5 |
| 3 ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 27 | 2.5 |
| 4 ბუბა ბერიშვილი | თსუ | 12 | 29 | 2.4 |
| 5 კოტე ტულუში | აზოტი | 11 | 26 | 2.4 |
| 6 ზურაბ ბადრიძე | დინამო | 12 | 27 | 2.3 |
| 7 ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 12 | 25 | 2.1 |
| 8 ნიკო წოზაძე | დინამო | 13 | 25 | 1.9 |
| 9 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 11 | 20 | 1.8 |
| 10 გიორგი დოლიძე | მაკაბი | 13 | 23 | 1.8 |
| 11 ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 12 | 20 | 1.7 |
| 12 ლევან ლაფანაშვილი | დინამო | 11 | 18 | 1.6 |
| 13 ჟურივენ ტუჯანი | აზოტი | 11 | 17 | 1.5 |
| 14 ოთარ ფაიძრიძე | დინამო | 10 | 15 | 1.5 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 11 | 24 | 2.2 |
| 2 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 13 | 16 | 1.2 |
| 3 პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 9 | 10 | 1.1 |
| 4 ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 12 | 8 | 0.7 |
| 5 ჟულიენ ტუჯანი | აზოტი | 11 | 6 | 0.5 |
| 6 კოტე ტულუში | აზოტი | 11 | 6 | 0.5 |
| 7 გულივერ ახალკაცი | სტუ | 13 | 7 | 0.5 |
| 8 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 13 | 6 | 0.5 |
| 9 მიხეილ ბერიშვილი | თსუ | 13 | 6 | 0.5 |
| 10 ირაკლი კეიდია | ავიამშენი | 11 | 5 | 0.5 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 11 | 73 | 6.6 |
| 2 შალვა კოხრეიძე | სტუ | 13 | 65 | 5.0 |
| 3 ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 13 | 61 | 4.7 |
| 4 ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 5 ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 13 | 52 | 4.0 |
| 6 გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 18 | 3.6 |
| 7 გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 13 | 45 | 3.5 |
| 8 ბესიკ ლეჟავა | თსუ | 13 | 45 | 3.5 |
| 9 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 12 | 41 | 3.4 |
| 10 ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 35 | 3.2 |
| 11 ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 11 | 34 | 3.1 |
| 12 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 30 | 3.0 |
| 13 ბუბა ბერიშვილი | თსუ | 12 | 35 | 2.9 |
| 14 სოსო შერმადინი | მაკაბი | 13 | 36 | 2.8 |
| 15 შიო ხეცურიანი | თსუ | 11 | 30 | 2.7 |

## ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ისევ ქაოსია

როგორც გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატის განახლება ამ თვის ბოლოს იგეგმებოდა. სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, შესაძლოა, პირველობა თებერვლის კი არა, მარტის ბოლოსაც ვერ განახლდეს.

მიზეზი კვლავ ბანალური და კარგად ნაცნობია – კლუბების მიერ დოკუმენტაციის მოუგვარებლობა და საწევრო თანხის გადაუხდელობა. ამ დროისათვის, საწევრო 640 ლარი კვლავ მხოლოდ ორ კლუბს აქვს გადახდილი – "ქარიშხალასა" და "მამულს". არადა, მათ დანარჩენ სამ გუნდზე (სტუ-"შევარდენი", "თბილისი", "იმედი") მოკრძალებული ფინანსები აქვთ.

ამ და სხვა პრობლემებმა, ჩემპიონატის პირველ წრეში რამდენიმე თამაში სკანდალურად ჩაშალა, ხოლო მეორე წრის დასაწყისში, ეროვნული ნაკრების ინტერესების გამო, ჩემპიონატი საერთოდ შეჩერდა და საგაზაფხულოდ გადაიდო. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ხელბურთის ასოციაციის ცნობით, ჯერ არაფერი შეცვლილა - შარშანდელი პრობლემები პრობლემებად რჩება. ასეთ ვითარებაში ასოციაცია ჩემპიონატის განახლებას საჭიროდ არ მიიჩნევს. ვიმედოვნებთ, გუნდები ყველა საკითხს მოკლე დროში გადაჭრიან და ეროვნული ჩემპიონატი, დაგეგმილისამებრ, თვის ბოლოს ან მარტის დასაწყისში დაგვიბრუნდება.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეკლდეურობა



# გაყინულ ჩანჩქერზე

კვირა დილით ვერის ბაღში შეკრებილი მთამსვლელები ისე დაადგნენ გორისკენ მიმავალ გზას, რომ ბოლომდე არ იცოდნენ, როგორი ამინდი და, რაც მთავარია, ყინულის ფენა დახვდებოდათ საასპარეზოდ. წლეულს პირველად, მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, მთამსვლელთა ეროვნულმა ფედერაციამ და თბილისის ალპურმა კლუბმა მივიწყებული შეჯიბრის, ალპინისტური ორჭიდის აღდგენა მოახერხა. 18 თებერვალს ბულდერინგსა და ყინულზე ცოცვაში საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებული **ლევან თათარაშვილი** გახდა.

პირველ სახეობაში მთამსვლელები იანვრის ბოლოს, მეკლდეურთა ახალ დისციპლინაში - ბულდერინგში შეეჯიბრნენ. ასპარეზობა თბილისელმა ლევან თათარაშვილმა მოიგო. გასულ კვირას კი სრული ალპინისტური აღჭურვილობით – წრიაპებითა და თოკებით ატენის ხეობაში, 40-მეტრიან გაყინულ ჩანჩქერს მიადგნენ. სოფელ ბიისიდან რამდენიმე წუთის სავალში მონაწილეებმა და ხეობაში ჩასულმა ჟურნალისტებმა "აკრედიტაცია" გორის ტურისტული ცენტრის, "ტონთიოს" წევრებთან ჭიქა არყის დალევის შემდეგ გაიარეს. მონაწილეთა შორის იყვნენ ყაზბეგის, გორის, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის ალპინისტური წრეებისა და კლუბების წარმომადგენლები.

სტარტისკენ მიმავალ ყველა მონაწილეს გზა ვეტერანმა მთამსვლელებმა **თამაზ ბაქანიძემ, ტარიელ ლუკაშვილმა** და **გივი ქართველიშვილმა** დაულოცეს, სტარტზე კი მონაწილეებს ორგზის ევერესტელი **ბიძინა გუჯაბიძე** ელოდა.

სწორედ ბიძინასთან მისულები დარწმუნდნენ საბოლოოდ, რომ შეჯიბრი გაიმართებოდა. ყინულზე ცოცვაში 48 მონაწილე დარეგისტრირდა. მალე ბიჭებმა (იმედია, გოგონებს გაისად დაუშვებენ შეჯიბრზე) აღჭურვილობა მოირგეს, მსაჯებმა ნამზომები მოიმარჯვეს და საასპარეზო ტრასაზე გამხსნელი – ბიძინა გუჯაბიძე გაუშვეს. მონაწილეებს საკონტროლო დროდ 3 წუთი დაუთქვეს და შეჯიბრიც დაიწყო.

პირველად საუკეთესო შედეგი **ლერი ნიგურიანმა** აჩვენა. მალე დრო საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორმა **ნიკა ლებანიძემ** გააუმჯობესა. კიდევ რამდენიმე წუთში ნიკაზე უკეთესი დრო მეკლდეურთა ახალგაზრდა მწვრთნელმა **გიორგი კომახიძემ** აჩვენა. დანარჩენი მონაწილეები ან დროში ვერ ეტეოდნენ, ან ყინულიდან წყდებოდნენ...

ამასობაში, ხეობაში სიცივემაც იმატა და საასპარეზო თოკიც დასველდა, ეს კი მონაწილეებს ამოცანას კიდევ უფრო ურთულებდა. საუკეთესო შედეგის გაუმჯობესება კიდევ სამ მონაწილეს შეეძლო და ეს მოლოდინი გამართლდა - სამეულის იდილია პირველად ლენტეხური წარმოშობის პროფესიონალმა მეკლდეურმა **გურამ გაზდელიანმა** დაარღვია და სულ ცოტა ხნით საუკეთესო შედეგი აჩვენა. შემდეგ, კიდევ უფრო დამძიმებული თოკით, სტარტზე ბულდერინგის შეჯიბრის გამარჯვებული **ლევან თათარაშვილი** გავიდა და დრო გააუმჯობესა. გამარჯვების პრეტენდენტთაგან სულ ბოლოს სტარტზე მიხეილ ხერგიანის დისშვილი **გიორგი ნიგურიანი** გავიდა, თუმცა მესტიელმა მთამსვლელმა ამჯერად მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა.

რაც შეეხება ორჭიდს, როგორც აღვნიშნეთ, ის ლევან თათარაშვილმა მოიგო. სხვათა შორის, ლევანმა 4 თებერვალს კიდევ ერთი შეჯიბრება მოიგო ყინულზე ცოცვაში. ასე, რომ მას წელს ბადალი არ ჰყავს. ორჭიდში მეორე ნიკა ლებანიძე, მესამე კი ლერი ნიგურიანი იყვნენ. გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები და დიპლომები მთამსვლელთა ეროვნულმა ფედერაციამ და თბილისის ალპურმა კლუბმა გადასცეს.

**თამარ ჯიმკარიანი**

ავტორის ფოტოები



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის გენერალურ მდივანს ტრისტან გელაშვილს.

## მძლეოსნობა

ინტერვიუ თამაზ მდინარაძესთან

# გავყიდოთ აქციები და ავაშენოთ მანეჟი!

## პეკინის კანდიდატები: ილარიანი, ქევხიშვილი, ზილბერშტეინი...

**გახსოვთ მძლეოსნობა? ვიქტორ სანეევი და რობერტ შავლაყაძე? ვისაც არ ახსოვს, მალე გაახსენდება. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე გვპირდება, რომ 2009 წელს ქართული მძლეოსნობა ახალ, თანამედროვე მანეჟში შეხვდება. ამას გარდა, უკვე გვაქვს განახლებული ეროვნული სტადიონის თანამედროვე მძლეოსნური სექტორი და ეს ყველაფერი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ლამის გადაშენების გზაზე მდგარი სპორტის სახეობა აღორძინდეს. თამაზ მდინარაძეს ახლახან დასრულებული საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ვესაუბრეთ.**

- საქართველოს კვალობაზე, ჩემპიონატმა საკმაოდ ნორმალურად ჩაიარა. რა თქმა უნდა, ქართველი მძლეოსნები ახლა ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ რა პირობებიც აქვთ, იმის გათვალისწინებით, არცთუ ურიგო შედეგებს აჩვენებენ. თბილისში კიდევ რა გვიშავს, მაგრამ რეგიონებში მთლად საშინელი მდგომარეობაა. ახლა ზამთარია, ბევრგან თოვლია და ასეთ ყინვაში სპორტსმენები იძულებულები არიან, ფაქტობრივად, ქუჩაში ივარჯიშონ...

**- ვის გამოყოფდით ჩემპიონატზე მონაწილეთაგან?**

- ვისგანაც შედეგებს ველოდით, გაგვიმართლეს კიდეც იმედი. თარჯრბენში დავით ილარიანი პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატია, მალე ირანის საერთაშორისო ტურნირზე გამოვა და თუ იქაც დაამტკიცა თავისი ძალა, მაშინ მარტში, ინგლისში, ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატზეც გავუშვებთ.

იმის კვალობაზე, რომ სეზონის პირველი სტარტი ჰქონდა, 400 მეტრზე რბენაში კარგად გამოვიდა ენდრო (ენდრო ჰქვია, ანდრო არა) ზილბერშტეინიც. ამათ გარდა, ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატია ბირთვისმკვრელი მარიამ ქევხიშვილი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს. გარკვეულ იმედებს ვამყარებთ ახალგაზრდა დუშელ შუბისმტყორცნელ როსტომ ჭინჭარაულზეც. ოლიმპიადაზე მოსახვედრი ნორმატივი 78 მეტრია, ჭინჭარაული კი უკვე 70 მეტრზე შორს ისვრის, საკმაოდ პერსპექტიულია და შეიძლება მასთან მუშაობა. ამას გარდა, უახლოეს წლებში დიდ იმედებს ვამყარებთ კიდევ ერთ ბირთვისმკვრელ გიორგი ბედოშვილზე. იგი ერთი თვის წინ, კიევში გავუშვით სავარჯიშოდ, სადაც იდეალური პირობებია. არცთუ იაფი სიამოვნებაა, მაგრამ ნამდვილად გვილირს.

საქართველოს ჩემპიონატში 15 რაიონის სპორტსმენი გამოდიოდა. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ გაჭირვების მიუხედავად, ჩვენმა მძლეოსნობამ კვლავ შეინარჩუნა მასობრიობა. ეს არის სპორტის ყველა სახეობის დედა. თუ მძლეოსნობაში რაღაც დონეზე მაინც არ ხარ ძლიერი, მაშინ სხვა სახეობებში ვერაფერს მიაღწევ.

მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს, რომელიც ყველანაირად გვერდში გვიდგას. წლეულს, ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი სახელმწიფო დაფინანსება გვაქვს – 80 000 ლარი. დაახლოებით ერთ ამდენს ჩვენით მოვიზიდავთ და 150 000-ლარიანი ბიუჯეტი გვექნება. სპორტული ფედერაცია სულ სახელმწიფოს არ უნდა შეჰყურებდეს, თავადაც უნდა გაანძრიოს ხელი, მოიძიოს სპონსორები და ჰქონდეს ისეთი შედეგები, რომლითაც სპონსორებს დააინტერესებს.



თამაზ მდინარაძე

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მძლეოსნობა დღეს ჩვენს ქვეყანაში არაა პოპულარული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ჩემპიონატის შესახებ, ვისაც მივწვდით, ყველა მედიასაშუალებას გავაგებინეთ. თუმცა, თქვენ გარდა, მანეჟში არავინ მინახავს. აგერ, დარბაზშიც მხოლოდ სპორტსმენები, მათი ნათესავები და მეგობრები არიან. კი ბატონო, მე დავაჯილდოვებ მძლეოსანს, შევაქებ, მაგრამ მას მეტი ყურადღება უნდა...

**- 150 000 ლარი ცოტა არაა, მაგრამ არც იმდენი, რომ მძლეოსნობის ამდენ სახეობას გასწვდეს. წელიწადში დაახლოებით რა თანხაა საჭირო, რომ მართლა სამყოფი იყოს?**

- მინიმუმ, ორი ამდენი მაინც. მხოლოდ ევროპის საკლუბო პირველობაზე წასასვლელად, სადაც ბოლო წლებში სისტემატურად გამოვდივართ, საჭიროა 40 000 ლარი.

**- რეგიონებში როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება?**

- ჩემი აზრით, რეგიონები ჯერჯერობით იმით უნდა შემოიფარგლონ, რომ ტალანტები აღმოაჩინონ და მოგვაწოდონ, მათ შემდგომ დაოსტატებაზე კი მძლეოსნობის ფედერაცია იზრუნებს. სამწუხაროდ, ჩვენი მწირი ბიუჯეტი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ რეგიონებს დავეხმაროთ. კარგი იქნება, თუ რეგიონული ფედერაციები სპონსორებს მონახავენ. ამ მხრივ სამაგალითოა დუშეთი, რომლის გამგებელი გოდერძი ბერბერაშვილი ყველაფერს აკეთებს მძლეოსნობის განვითარებისთვის.

**- განახლებული ეროვნული სტადიონის მძლეოსნურ სექტორებსა და ბილიკებზე რას იტყვით?**

- როგორც მთელი სტადიონი, მძლეოსნური სექტორებიცა და ბილიკებიც ბრწყინვალეა. მინდა მადლობა მოვუხადო ამ სტადიონის რეკონსტრუქციის თაოსნებს - გოჩა ძასოხოვს, ირაკლი მეძმარიაშვილსა და დავით გობეჯიშვილს. მქონდა მათთან შეხვედრა, იციან, რომ გვიჭირს და საკმაოდ შეღავათიან პირობებში მომსახურება შემოგვთავაზეს. ამას გარდა, რამდენიმე ძლიერი მძლეოსანი ეროვნულ სტადიონზე უფასოდ ივარჯიშებს, ხოლო 3 ოქტომბერს, ვიქტორ სანეევის დაბადების დღეზე, მისი სახელობის ტურნირი ტრადიციული იქნება. ამჯერად, აღარ შევცხვება, რომ ტურნირზე უცხოელებიც მოვიწვიოთ. ასეთი დონის კიდევ 2-3 მძლეოსნური ბილიკი რომ იყოს რეგიონებში, გაცილებით კარგად გვექნებოდა საქმე.

**- ქართველთაგან, ბოლო ოლიმპიური მედალი 1988 წელს, სეულში მაია აზარაშვილმა მოიპოვა. რა დროა საჭირო, რომ კიდევ გვქონდეს მედალი?**

- ასეთ პირობებში, ოლიმპიური მედალი კიდევ დიდხანს დაგვრჩება საოცნებოდ. ამ დონეს მაინც თუ შევინარჩუნებთ, შესაძლოა, დაახლოებით 4-5 წელიწადში გამოჩნდეს ერთი ტალანტი მაინც, ოლიმპიურ თამაშებზე რომ გვასახელებს. თუ პირობები გაუმჯობესდა, რა თქმა უნდა, შედეგებიც ამის პირდაპირპროპორციული იქნება. ნიჭიერი ახალგაზრდები ყოველთვის გვყავდა და ახლაც მოვძებნით.

**- ეროვნული სტადიონი კარგია, მაგრამ ხეირიანი მანეჟი როდის გვექნება?**

- ვაკის მანეჟში აქციათა მესამედი, 33-34 პროცენტი გვეკუთვნის. ამაში 1994 წელს დაგვეხმარა ჩვენი ყოფილი მეგობარი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო. მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ 18 000 დოლარი გადმოგვცა, რითაც შევიძინეთ ზემოთ ხსენებული აქციათა მესამედი. ახლა ვაკის არასტანდარტული მანეჟი, ფაქტობრივად, თავზე გვენგრევა. ეგეც არ იყოს, იქ 500-მდე ბავშვი ვარჯიშობს და არცერთი არაა ვაკელი – თითქმის ყველა გარეუბნელი ან პროვინციიდან ჩამოსულია. ვაკე ელიტური უბანია და აქაურ ხალხს ურჩევნია, შვილი ფეხბურთზე, კალათბურთზე ან ჩოგბურთზე ატაროს.

ვაპირებთ, რომ ჩვენი წილი აქციები გავყიდოთ, რაც, უხეში გამოთვლით, მოგვცემს დაახლოებით 500 000 დოლარს. ახლა სწორედ ამ საკითხზე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ინვესტორებთან და, წესით, ორ კვირაში უნდა გადაწყდეს ყველაფერი. ინვესტორს ვუყენებთ პირობას, რომ აგვიშენოს ახალი მანეჟი. ამას, დაახლოებით, მილიონნახევარი დოლარი სჭირდება.

**- ახალი მანეჟის აშენებას დიდუბის არენის რესტავრაცია ხომ არ ჯობია?**

- არ არის აუცილებელი, ქალაქის ცენტრში ვიყოთ. გლდანზე ან ვარკეთილზეც თანახმა ვართ, სადაც მიწა უფრო იაფია. ჩვენს სახეობაშიც უფრო ღარიბი ხალხი ვარჯიშობს და ისინი კი სწორედ გარეუბნებში ცხოვრობენ.

ისე, არც დიდუბის მანეჟია ურიგო ვარიანტი – მშვენიერი, მყარი ნაგებობაა და სტანდარტებსაც შეესაბამება. თუკი მას ტენდერზე გაიტანენ გასაყიდად, ჩვენც მივიღებთ მასში მონაწილეობას. მართალია, მისი რეალური ფასი მილიონებია, რასაც ნამდვილად ვერ შევწვდებით, მაგრამ თუკი სახელმწიფო სიმბოლურ ფასად, ვთქვათ, 100 000 დოლარად დაგვითმობს, ზემოთ ნახსენები 500 000 დოლარიდან დანარჩენს მის რეკონსტრუქციას მოვახმართ, ცოტას ინვესტორიც დაგვეხმარება და მივიღებთ მშვენიერ მანეჟს, რომელიც ქართულ სპორტს უდიდეს სამსახურს გაუწევს.

დასასრულ, ერთი რამ მინდა აღვნიშნო. მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად 18 წლის წინ, ჩემს დაბადების დღეზე ამირჩიეს - 11 თებერვალს. კარგად მახსოვს, მაშინ პირველი ინტერვიუ "ლელოს" მივეცი. ჩემი დიდი სურვილია, რომ 2009 წლის 11 თებერვალს, ჩემი 60 წლის იუბილეს ახალ მანეჟში შევხვდე. პირველი ინტერვიუ ისევ "ლელოსთან" მექნება!

**კობა ხატისაშვილი**

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პიტსბურგმა ნაუგებლად თვენახევარი გაძლო

**აილენდერსი-პიტსბურგი 6:5**

1:2, 3:2, 2:1

გოლები: 0:1 მელოუნი-10 (რეკი-36, კროსბი-66), 1:1 ვიქ. კოზლოვი-21 (ეშემი-7, მ-ა. ბერჟერონი-18), 1:2 რეკი-21 (კროსბი-67, მალკინი-38), 1:3 მელოუნი-11 (კროსბი-68, რეკი-37), 2:3 საიმონი-6 (რ. რობიტაილი-16, შატანი-24), 3:3 ჯ. ბლეიკი-28 (რ. რობიტაილი-17), 4:3 შატანი-21 (ვიქ. კოზლოვი-19, ვიტი-12), 4:4 რეკი-22 (ჯ. სტაალი-7, გონჩარი-41), 4:5 მელოუნი-12 (კროსბი-69, რეკი-38), 5:5 საიმონი-7 (რ. რობიტაილი-18, მ-ა. ბერჟერონი-19), 6:5 სილინჯერი-20 (ჰილბერტი-17, ჰანტერი-10).

"პიტსბურგ პინგვინზს" 26 წამი დააკლდა თავისი ბრწყინვალე სერიის გასაგრძელებლად. "პინგვინებს" 10 იანვრის შემდეგ არ.წაეგოთ ძირითად დროში შეხვედრა და ისინი ზედიზედ 16 მატჩში აგროვებდნენ მინიმუმ ერთ ქულას. ამ ხნის განმავლობაში, გუნდმა 14 თამაში მოიგო და ორჯერ ოვერტაიმში დამარცხდა.

სტუმრები ორჯერ იგებდნენ შეხვედრას - ჯერ 3:1 იყვნენ წინ, შემდეგ 5:4, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, ხოლო საფინალო სირენამდე 26 წამით ადრე, მეექვსე შაიბა **მაიკ სილინჯერისგან** გაუშვეს.

ზემოთნახსენები სერიის წყალობით, ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა შემადგენლობის მქონე "პიტსბურგი" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე იმყოფება და ყველა წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ 2001 წლის შემდეგ, პირველად გავიდეს ფლეი ოფში.

დამარცხებულთა რიგებში სამი ჰოკეისტი უნდა გამოვყოთ. **სიდნი კროსბიმ** კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისკენ. ახალგაზრდა ვარსკვლავმა ოთხი საგოლე გადაცემა გააკეთა, თავისი მონაგარი 95 ქულამდე აიყვანა და ახლა უახლოეს მდევარ **ვენსან ლეკავალიეს** ("ტამპა ბეი") 15 ქულით უსწრებს. -

ჰეთ-თრიკი შეასრულა **რაიან მელოუნმა**. ამ ჰოკეისტმა სეზონში მეორედ გაიტანა ერთ შეხვედრაში სამი შაიბა და მეორედაც, ეს "აილენდერსთან" მატჩში მოახერხა.

ხუთი ქულა მიითავალა თავის ანგარიშზე ვეტერანმა **მარკ რეკიმ** - მის ანგარიშზე ორი გოლი და სამი შედეგიანი პასი მოდის.

**ნეშვილი-ფინიქსი 4:1**

1:0, 3:0, 0:1

გოლები: 1:0 დუმონი-14 (ბულიტი), 2:0 არნოტი-21 (დუმონი-33, სალივანი-37), 3:0 ჰარტნელი-20 (კ. ტიმონენი-30, ვოკოუნი-1), 4:0 ჰარტნელი-21 (ლეგვანდი-29), 4:1 საპრიკინი-13 (ბალარდი-13, ზიგომანისი-8).

მეორე შეხვედრა ჩაატარა "ნეშვილის" შემადგენლობაში შვედმა **პიტერ ფორსბერგმა**, მაგრამ ვეტერანმა ფორვარდმა ამჯერადაც ქულის გარეშე დატოვა მოედანი.

კლუბის სამწვრთნელო შტაბმა, ფორსბერგი "ნეშვილის" საუკეთესო თავდამსხმელებთან - **პოლ კარიასთან** და **მარტინ ერატთან** ტრიოში დააყენა, მაგრამ ფორვარდები ჯერ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს.

*"მე მხოლოდ ახლა ვეცნობი ახალ პარტნიორებს. შეთამაშებისთვის დრო არის საჭირო და მალე, ალბათ, ყველაფერი რიგ ზე იქნება"*, - განაცხადა "ფინიქსთან" მატჩის შემდეგ პიტერ ფორსბერგმა.

*"საჭიროა რამდენიმე ერთობლივი ვარჯიში და რიცხობრივი უპირატესობისას კომბინაციების დამუშავება. სულ მალე, ჩვენი სამეული გოლების გატანას დაიწყებს"*, - ეს უკვე პოლ კარიას სიტყვებია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰოკეისტები ვერაფრით დაეხმარნენ გუნდს, "ნეშვილმა" მაინც შეძლო ორმატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა და კვლავ იგდო ხელთ დასავლეთი კონფერენციის ლიდერობა, ხოლო მთლიანად რეგულარულში, "პრედატორზი" პირველ ადგილს იყოფს აღმოსავლეთში საუკეთესო "ბაფალოსთან".

**ფილადელფია-ბოსტონი 3:6**

0:1, 3:3, 0:2

გოლები: 0:1 შტურმი-19 (სავარი-55, კესელი-8), 1:1 აპშოლი-4 (ჯ. კარტერი-16, კალდერი-11), 2:1 ჯ. კარტერი-10 (პიტკანენი-28, კალდერი-12), 2:2 აქსელსონი-9 (სავარი-56), 2:3 ტენკრატი-5 (ბოიესი-19, ჩისტოვი-5), 2:4 ტენკრატი-6 (კესელი-9), 3:4 კალდერი-9 (აპშოლი-2, ჯ. კარტერი-17), 3:5 ბოჩენსკი-7 (აქსელსონი-14), 3:6 სავარი-20.

არც "ბოსტონმა" დაიზარა ლიგის უიმედო აუთსაიდერთან მოგება. "დათვებმა" ბოლო 5 თამაშში მეოთხედ გაიმარჯვეს. ამან "ბოსტონს" საშუალება მისცა, 6 ქულამდე შეემცირებინა სხვაობა აღმოსავლეთში მეექვსე ადგილზე მყოფ "ტორონტოსთან". ასე რომ, "ბრუინზისთვის" არაფერი არ არის დაკარგული და ამ გუნდს კიდევ აქვს სტენლის თასზე მოხვედრის რეალური შანსი.

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ, ზედიზედ მეორედ "დეტროიტ რედ უინგზის" შვედი ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი** დასახელდა. მან გასულ შვიდ დღეში სამი მატჩი ჩაატარა და 4-4 გოლი და შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში. სულ, ბოლო 7 შეხვედრაში, ზეტერბერგმა 9 გოლისა და 8 საგოლე პასის მოგროვება შეძლო.

შვედმა ფორვარდმა განსაკუთრებით "ფინიქსთან" მატჩში გამოიჩინა თავი - **უეინ გრეტცკის** გუნდს სამი შაიბა შეუგდო და ერთიც პარტნიორს გაატანინა.

ასევე 4 გოლი და 4 საგოლე პასი მიითვალა "ანაჰაიმის" ვეტერანმა **ტეემუ სელიანემ**, რომელიც გასული კვირის მეორე ვარსკვლავად დაასახელეს. ხოლო, რაც შეეხება მესამე ლაურეატს - კოლორადოელ **ჯო საკიკს**, მან პირველ რიგში იმით გამოიჩინა თავი, რომ ხუთშაბათს, კარიერაში მე-600 შაიბა გაიტანა. ჯამში კი, საკიკის მონაგარმა ორი გოლი და 6 შედეგიანი გადაცემა შეადგინა.

| აღმოსავლეთი კონფერენცია | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაფალო* | 59 | 39 | 15 | 5 | 83 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 59 | 36 | 17 | 6 | 78 |
| 3. ტამპა ბეი* | 60 | 33 | 24 | 3 | 69 |
| 4. პიტსბურგი | 59 | 32 | 18 | 9 | 73 |
| 5. ოტავა | 59 | 34 | 22 | 3 | 71 |
| 6. ატლანტა | 61 | 30 | 22 | 9 | 69 |
| 7. კაროლინა | 61 | 30 | 24 | 7 | 67 |
| 8. ტორონტო | 59 | 29 | 22 | 8 | 66 |
| 9. აილენდერსი | 60 | 29 | 23 | 8 | 66 |
| 10. მონრეალი | 61 | 30 | 25 | 6 | 66 |
| 11. რეინჯერსი | 59 | 29 | 25 | 5 | 63 |
| 12. ბოსტონი | 58 | 28 | 26 | 4 | 60 |
| 13. ფლორიდა | 60 | 23 | 26 | 11 | 57 |
| 14. ვაშინგტონი | 59 | 23 | 27 | 9 | 55 |
| 15. ფილადელფია | 59 | 16 | 35 | 8 | 40 |

| დასავლეთი კონფერენცია | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეშვილი* | 61 | 40 | 18 | 3 | 83 |
| 2. ანაჰაიმი* | 60 | 35 | 16 | 9 | 79 |
| 3. ვანკუვერი* | 59 | 34 | 21 | 4 | 72 |
| 4. დეტროიტი | 60 | 38 | 16 | 6 | 82 |
| 5. სან ხოსე | 59 | 36 | 22 | 1 | 73 |
| 6. დალასი | 58 | 35 | 21 | 2 | 72 |
| 7. კალგარი | 59 | 31 | 20 | 8 | 70 |
| 8. მინესოტა | 60 | 32 | 23 | 5 | 69 |
| 9. ედმონტონი | 59 | 28 | 26 | 5 | 61 |
| 10. კოლორადო | 59 | 28 | 27 | 4 | 60 |
| 11. სტ. ლუისი | 60 | 25 | 26 | 9 | 59 |
| 12. ჩიკაგო | 59 | 22 | 28 | 9 | 53 |
| 13. ფინიქსი | 60 | 25 | 32 | 3 | 53 |
| 14. კოლამბუსი | 59 | 23 | 31 | 5 | 51 |
| 15. ლოს ანჯელესი | 61 | 20 | 31 | 10 | 50 |

*შენიშვნა:* ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - დივიზიონის ლიდერი

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 95 (26+69) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 80 (39+41) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 79 (35+44) |
| სავარი (ბოს) | 76 (20+56) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 75 (15+60) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 74 (33+41) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 72 (34+38) |
| ჰიტლი (ოტა) | 72 (32+40) |
| იაგრი (რეინ) | 72 (21+51) |
| ბრიერი (ბაფ) | 71 (26+45) |
| საკიკი (კოლ) | 70 (26+44) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 39 |
| სელიანე (ანა) | 36 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 35 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 34 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 33 |
| ჰიტლი (ოტა) | 32 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 32 |
| დრური (ბაფ) | 31 |
| განიე (ფილ) | 31 |
| ფროლოვი (ლ-ანჯ) | 31 |
| სიომინი (ვაშ) | 31 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 30 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 69 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 60 |
| სავარი (ბოს) | 56 |
| იაგრი (რეინ) | 51 |
| ჰ. სედინი (ვან) | 48 |
| ბრინდამორი (კარ) | 47 |
| ბრიერი (ბაფ) | 45 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 44 |
| საკიკი (კოლ) | 44 |
| ნიულანდერი (რეინ) | 44 |



რაიან მელოუნს ჰეთ-თრიკს ულოცავენ





ეროვნული ბიბლიოთეკა
აქსელ ლუნდ სვინდალი

მსოფლიო ჩემპიონი

# სვინდალის მიზანი

შვედეთის არეში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს ორი მედლის მფლობელი, ნორვეგიელი **აკსელ ლუნდ სვინდალი** ახლა უკვე ღიად აცხადებს, რომ მისი მორიგი მიზანი ბროლის დიდი გლობუსის მოპოვებაა.

შეგახსენებთ, რომ არეში სვინდალმა დაშვებისა და გიგანტური სლალომის რბოლები მოიგო, რითაც, ფაქტობრივად გააგრძელა მისი ორი თანამემამულის, **ჩეტილ ანდრე ომოდტისა და ლასე ჩუსის** საქმე. აღსანიშნავია, რომ სვინდალი პირველი ნორვეგიელი სამთომოთხილამურეა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი დაშვებაში გახდა.

გიგანტური სლალომი რომ მოიგო, 24 წლის სვინდალმა დაამტკიცა, რომ დაშვებაში მის მიერ მოპოვებული გამარჯვება შემთხვევითობა არ ყოფილა. 1999 წლის შემდეგ ის მეორე ნორვეგიელია, ვინც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ოქროს ორი მედლის მოპოვება შეძლო. რვა წლის წინ იგივე მიღწევა ჰქონდა ჩუსს.

*"ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვება უდიდესი მიღწევაა, რაც კი სამთომოთხილამურეს შეუძლია. ამ ტიტულის ტარება იმის მანიშნებელია, რომ სეზონში საუკეთესო იყავი. აქ რომ ორი ოქრო მოვიპოვე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჩემპიონატზე საუკეთესო ვიყავი, მაგრამ თუ დიდ გლობუსსაც მოვიგებ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საუკეთესო ვარ სეზონში"*, - ამბობს სვინდალი.

სვინდალი მსოფლიო თასის აბსოლუტურ კლასიფიკაციაში 780 ქულით ლიდერობს და 75 ქულით უსწრებს მეორეზე მყოფ ავსტრიელ **ბენიამინ რაიხს**. სხვათა შორის, შარშან ბროლის დიდი გლობუსი სწორედ რაიხმა მოიპოვა, ნორვეგიელი კი მაშინ მეორე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, სუპერგიგანტში მცირე გლობუსს დაეუფლა.

ამ სეზონში სვინდალს მსოფლიო თასის ორი რბოლა აქვს მოგებული - აშშ-ის ბივერ კრიკსა (სუპერკომბინაცია) და ავსტრიის ჰინტერშტოდერში (გიგანტური სლალომი). ამასთან, მას გიგანტური სლალომის კლასიფიკაციაში პირველი ადგილი უკავია.

მსოფლიო თასი გერმანიის გარმიშ-პარტენკირხენში განახლდება და სვინდალი იმედოვნებს, რომ შეძლებს ლიდერობის შენარჩუნებას, რაშიც მორალურად არეში მოპოვებული ორი გამარჯვება დაეხმარება. *"მსოფლიოზე ორი ოქრო ავიღე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში რაღაცას უკვე მივაღწიე. ამით ფსიქოლოგიური ზეწოლა ნაწილობრივ მომეხსნა და ვფიქრობ, ეს სეზონის დასკვნით რბოლებში ძალიან გამომდგება"*, - ამბობს სვინდალი.



პიონჩანი 2014

# კანდიდატურა მოწონებულია!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) შემფასებელი კომისია აღფრთოვანებულია სამხრეთ კორეის ქალაქ პიონჩანის განაცხადით, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებას ითვალისწინებს. მაგრამ იმადროულად, გამოითქვა რეკომენდაცია, რომ სამხრეთ კორეამ უნდა გაზარდოს სპორტის ზამთრის სახეობებში თავისი კონკურენტუნარიანობა. იგულისხმება, რომ სამხრეთ კორეაში უნდა ჩატარდეს საერთაშორისო დონის ტურნირები და ქვეყანას უნდა ჰყავდეს ამ სახეობის ვარსკვლავები.

სოკ-ის შემფასებელმა კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა პიონჩანის (სეულიდან სამხრეთით, 200 კილომეტრზე მდებარეობს) შესაძლებლობანი. ამის შემდეგ, ის რუსეთის შავი ზღვისპირა ქალაქ სოჭს ეწვევა, რის შემდეგაც ავსტრიის ქალაქ ზალცბურგს მოინახულებს.

შემფასებელი კომისია თავისი ვიზიტების დროს დაგროვილ მასალას შეისწავლის და ოფიციალურად 4 ივნისს გამოაქვეყნებს სპეციალური ანგარიშის სახით. ამ ანგარიშს სოკ-ის ყველა წევრი გაეცნობა, რომლებმაც ივლისში გვატემალაში უნდა აირჩიონ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი.

*"ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პიონჩანის პროექტმა და შესაძლებლობებმა. ასევე იმ ფაქტმა, რომ ქალაქის ოლიმპიურ განაცხადს ასეთი მხარდამჭერები ჰყავს მთავრობისა და მოსახლეობის სახით. თუმცა, გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ მათ კამპანიას ჯერაც ბევრი გამოცდის ჩაბარება მოუწევს"*, - კომისიის ვიზიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა კომისიის ხელმძღვანელმა **ჩიჰარუ იგაიამ**.

იმ დროს, როდესაც სოკ-ის 16-კაციანი კომისია ათვალიერებდა ადგილებს, სადაც ოლიმპიადის შესაძლო მასპინძლებს სპორტულ არენათა აგება და განლაგება აქვთ გადაწყვეტილი, მათ ადგილობრივი მოსახლეობის მრავალათასიანი არმია ესალმებოდა. ამან კი იგაიასა და მის კოლეგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ იგაია აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ სამხრეთ კორეას სპორტის ზამთრის სახეობებში მსოფლიო დონის ვარსკვლავები ეყოლება.

სამხრეთ კორეაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ზამთრის ზოგიერთი სახეობა. მაგალითად შორტ-ტრეკი, მაგრამ ვარსკვლავების სიმრავლით ეს ქვეყანა ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს თავის ორ მეტოქეს - სოჭსა და ზალცბურგს.

სამაგიეროდ, პიონჩანის აქტივშია ის ფაქტი, რომ ამ ქალაქმა სულ ცოტათი დათმო კანადის ქალაქ ვანკუვერთან, რომელმაც 2010 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა.

პიონჩანელები ოლიმპიური სოფლის განლაგებას შედარებით მცირე ტერიტორიაზე გეგმავენ, იქ, სადაც ხშირად ტარდება საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდინგის ტურნირები. ოლიმპიური არენების განლაგების კომპაქტურობას კი სოკ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ამისა, პიონჩანელები ირწმუნებიან, რომ მათი ქალაქი აზიაში სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი გახდება და კონტინენტზე ამ სახეობათა პროპაგანდას გასწევს.

იგაიას თქმით, კომპაქტურ ზონაში ოლიმპიური არენების განთავსება პიონჩანელთა დიდი კოზირია, რამაც ნაწილობრივ უნდა შეამციროს ისეთი სერიოზული პრობლემა, რასაც ოლიმპიადის მასპინძლებისთვის გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს.

ცნობისათვის, აქამდე ზამთრის ოლიმპიადა მხოლოდ ორჯერ ჩატარებულა აზიაში და ორივე შემთხვევაში, მასპინძლობის პატივი იაპონიას (საპორო და ნაგანო) ერგო.

# ფეხბურთი

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

### ლილი-მანჩესტერი 0:1

**ლილი:** სილვა, შალმი, ტავლარიდისი, პლესტანი, ტაფორო, ფოვერჟე (57. კაბაიე), მაკუნი, დებუში, ბოდმერი, ობრანიაკი (90. ბასტოსი), ოდემვინგი (75. ოდელი).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი, სქოულზი (90. ო'ში), გიგზი, კრისტიანო რონალდო (67. საა), რუნი, ლარსონი.

**გოლი:** 0:1 გიგზი (83)

**მაყურებელი:** 38 000

**არბიტრი:** ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

**მატჩი დაიწყო:** მანჩესტერი
**პირველი ჯარიმა:** ლილი
**პირველი კუთხური:** მანჩესტერი
**პირველი გაფრთხილება:** ლილი

| | | |
|---|---|---|
| 13 (3) | დარტყმა | 11 (4) |
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

### ეინდჰოვენი-არსენალი 1:0

**ეინდჰოვენი:** გომეში, კროლდრუპი, ალექსი, და კოშტა (66. სუნ ჩანი), სალსიდო, მენდესი, სიმონსი, კოკუ, კულინა, დიეგო (75. ვერჰეიენი), კონე.

**არსენალი:** ლემანი, გალასი, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები (76. ბაპტიშტა), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიჩკი, ადებაიორი, ანრი.

**გოლი:** 1:0 მენდესი (61)

**მაყურებელი:** 36 500

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**მატჩი დაიწყო:** ეინდჰოვენი
**პირველი ჯარიმა:** არსენალი
**პირველი კუთხური:** არსენალი
**პირველი გაფრთხილება:** არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 9 (4) | დარტყმა | 12 (6) |
| 9 | ჯარიმა | 7 |
| 1 | კუთხური | 9 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

### რეალი-ბაიერნი 3:2

**რეალი:** კასილიასი, ტორესი, კანავარო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი (59. რაულ ბრავო), ბექჰემი, გახო, გუტი, იგუაინი (53. რობინიო), ვან ნისტელროოი, რაული.

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, დემიკელისი (46. სალიჰამიჯიჩი), ვან ბომელი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი (79. შოლი), მაკაი, პოდოლსკი (61. პისარო).

**გოლები:** 1:0 რაული (10), 1:1 ლუსიო (23), 2:1 რაული (28), 3:1 ვან ნისტელროოი (34), 3:2 ვან ბომელი (88)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**მატჩი დაიწყო:** ბაიერნი
**პირველი ჯარიმა:** რეალი
**პირველი კუთხური:** ბაიერნი
**პირველი გაფრთხილება:** ბაიერნი

| | | |
|---|---|---|
| 8 (6) | დარტყმა | 16 (7) |
| 20 | ჯარიმა | 21 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 42% | ბურთის ფლობა | 58% |

### სელტიკი-მილანი 0:0

**სელტიკი:** ბორუცი, უილსონი, მაკმანუსი, ო'დეი, ნეილორი, ნაკამურა, ლენონი (81. გრავესენი), სნო, მაკგიდი, ვენეგორ ოფ ჰესელინკი, მილერი (63. იაროშიკი).

**მილანი:** კალაჩი, ოდო, მალდინი, კალაძე (63. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, გურკუფი, კაკა, ჯილარდინო (77. ოლივეირა).

**მაყურებელი:** 59 146

**არბიტრი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**მატჩი დაიწყო:** მილანი
**პირველი ჯარიმა:** მილანი
**პირველი კუთხური:** მილანი
**პირველი გაფრთხილება:** მილანი

| | | |
|---|---|---|
| 8 (3) | დარტყმა | 15 (6) |
| 13 | ჯარიმა | 16 |
| 1 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |



ლილი-მანჩესტერი. გიგზის გოლის შემდეგ

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

#### ABN AMRO-ს ჩემპიონატი

**როტერდამი (საემიროები). 19-25 თებერვალი. ჰარდი**
**საპრიზო ფონდი:** 782 000 დოლარი

**I წრე**

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1)-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 5)-ფლორან სერა (საფ) 7:6 (6), 6:4; ოლივიე როხუსი (ბელ)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 4:6, 6:2, 6:4; ანდრეი პაველი (რუმ)-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:1, 6:1; რობინ ჰაასე (ჰოლ)-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:3, 7:6 (2).

#### მორგან კიგანის ჩემპიონატი

**მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი**
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)-ქსავიე მალისე (ბელ, 5) 4:6, 2:2 მალისეს უარი; იურგენ მელცერი (ავსტრია, 6)-იესე ვიტენი (აშშ) 1:6, 6:3, 7:6 (3); ევგენი კოროლიოვი (რუს)-რობი ჯინეპრი (აშშ, 8) 7:6 (4), 4:6, 6:3; სტეფან კუბეკი (ავსტრია)-სიმონ გრეული (გერ) 6:3, 7:6 (3); იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)-კრის გუჩიონე (ავსტრა) 7:6 (4), 6:3; ალექს კუზნეცოვი (აშშ)-კევინ კიმი (აშშ) 6:2, 2:6, 6:4.

#### კოპა ტელმექსი

**ბუენოს აირესი (არგენტინა). 18-24 თებ. თიხნარი**
**საპრიზო ფონდი:** 445 000 დოლარი

**IV წრე**

იგორ ანდრეევი (რუს)-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:3, 2:6, 6:1.

**VII წრე**

VI ჯგუფი. სერხიო როიტმანი(არგ)-ხოსე აკასუსო (არგ, 8) 7:6 (4), 6:1.

### WTA

#### დუბაის ღია

**დუბაი (საემიროები). 19-24 თებერვალი. ჰარდი**
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 დოლარი

I წრე. პატი შნიდერი (შვეიც, 6)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:7(5), 6:3, 6:3; ელენი დანილიდუ (საბ)-ნა ლი (ჩინ, 7) 6:7(5), 7:6(3), 6:3; ალისია მოლიკი (ავსტრა)-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:3, 6:4; მარია კირილენკო (რუს)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:3, 6:0; აი სუგიამა (იაპ)-სელიმა სფარი (ტუნ) 6:4, 5:7, 6:3.

#### მორგან კიგანის ჩემპიონატი

**მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი**
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

I წრე. მეილინ ტუ (აშშ)-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:4, 6:3; ლაურა გრენვილი (აშშ)-მარიონ ბარტოლი (საფ, 3) 7:5, 4:6, 6:0; ნიკოლ პრატი (ავსტრია, 5)-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:0; შენაი პერი (აშშ, 6)-იულია ფედოსოვა (საფ) 6:7(4), 6:3, 7:5; ვინუს უილიამსი (აშშ, 7)-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:1, 2:6, 6:4; ჟილ კრეიბასი (8)-კელი ლიგენი (ირლ) 6:4, 6:4; აბიგეილ სპირსი (აშშ)-ვანია კინგი (აშშ, 9) 4:6, 6:2, 7:6(0); ბეტანი მატეკი (აშშ)-ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:2, 7:5; იოანა რალუკა ოლარუ (რუმ)-ლორენ ალბანესე (აშშ) 3:6, 6:4, 6:3; კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)-სტეფანი ფორეტცი (საფ) 2:6, 7:6(5), 6:3.

#### კოპა კოლსანიტასი

**ბოგოტა (კოლუმბია). 19-25 თებერვალი. თიხნარი**
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

I წრე. ემილი ლუა (საფ, 4)-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:2, 6:1; ნატალი ვიერინი (იტა)-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ, 5) 6:2, 6:4; კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპ)-სანდრა ზაჰვალოვა 3:6, 7:5, 6:4; პაოლა სუარესი (არგ)-სოფია გუბაჩი (უნგ) 6:0, 6:3; მარიანა დუკე მარინო (კოლ)-ვიკი ნუნიეს ფუენტესი (კოლ) 6:2, 6:3.

# TV სპორტი

## 21 თებერვალი. ოთხშაბათი

### რუსთავი 2

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ბარსელონა-ლივერპული (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**02:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რომა-ლიონი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:14** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კიევო.
**10:04** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**11:04** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეალი-ბაიერნი.
**12:54** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**14:29** ფიტნესი.
**14:57** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:57** მძლეოსნობა. სტოკჰოლმის გრან-პრი. შვედეთი.
**18:17** ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.
**18:47** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-არსენალი.
**20:38** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:09** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**22:10** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წინ.
**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ვალენსია (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. რომა-ლიონი.
**03:35** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:05** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-სან ხოსე (LIVE).
**06:37** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**07:37** ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**12:30** მძლეოსნობა. სტოკჰოლმის გრან-პრი. შვედეთი.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. კლინგენტალი. გერმანია.
**18:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**22:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**23:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**00:00** აფროსნობა.
**00:05** მულტისპორტი.
**00:10** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი.
**00:15** გოლფი. PGA-ს ტური.
**01:15** გოლფი. ევროპის ტური.
**01:50** აფროსნობა.
**01:55** მულტისპორტი.
**02:00** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ბანსკო. ბულგარეთი.
**03:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**03:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**04:00** ექსტრემალური სპორტი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ლაკროსი.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. სტიაუა-სევილია.
**14:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**18:00** პული. ევრო ტური. მალაგა. ესპანეთი.
**19:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**19:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**20:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ექსტრემალური სპორტი.
**23:30** დართსი. ჰოლანდიის ღია პირველობა.
**00:15** მულტისპორტი.
**01:00** რესტლინგი.
**02:30** მულტისპორტი.
**03:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

#### ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ჰალი | 3:0 |
| ბირმინგემი-სანდერლენდი | 1:1 |
| ბარნლი-ლესტერი | 0:1 |
| ქოვენთრი-საუთჰემპტონი | 2:1 |
| იფსვიჩი-უოლვზი | 0:1 |
| ლიდსი-ქუინზ პარკი | 0:0 |
| ლუტონი-უენსდი | 3:2 |
| პლიმუთი-კოლჩესტერი | 3:0 |
| პრესტონი-ნორვიჩი | 2:1 |
| საუთენდი-კრ.პალასი | 0:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1:0 |

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-იეოვილი | 0:2 |
| კარლაილი-ჩესტერფილდი | 0:0 |
| ქრიუ-დონკასტერი | 2:1 |
| ჯილინგემი-ბრაიტონი | 0:1 |
| მილუოლი-ლეიტონი | 2:5 |
| ნოტინგემი-ბლეკპული | 1:1 |
| პორტ ვეილი-ოლდემი | 3:0 |
| როტერჰემი-ჰადერსფილდი | 2:3 |
| სუონსი-სკანთორპი | 0:2 |
| ტრანმერი-ჩელტენემი | 2:2 |

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-აკრინგტონი | 2:1 |
| ბარნეტი-სუინდონი | 1:0 |
| გრიმსბი-რექსემი | 2:1 |
| ჰარტლპული-მაკლსფილდი | 3:2 |
| ლინკოლნი-ჰერეფორდი | 1:4 |
| მილტონი-მენსფილდი | 1:1 |
| პიტერბრო-ბოსტონი | 1:1 |
| როჩდეილი-ტორკი | 2:0 |
| შრიუსბერი-ნოტსი | 2:0 |
| სტოკპორტი-უოლსოლი | 1:0 |

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ბარტონი-ტამუორტი | 1:0 |
| ექსეტერი-რაშდენი | 0:0 |
| ჰალიფაქსი-უეიმაუთი | 4:1 |
| კიდერმინსტერი-დაგენჰემი | 1:4 |
| ნორთვიჩი-ალტრინჩემი | 1:1 |
| უოკინგი-გრეივსენდი | 2:2 |
| სტეფორდი-სტივენეიჯი | 1:3 |

#### შოტლანდია

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-მაზერველი | 0:0 |

## კალათბურთი

### ევროპის თასი

| | |
|---|---|
| ტურკ ტელეკომი-ლოკომოტივი | 92:80 |
| რიგა-აზოვმაში | 57:79 |
| აელ-შიაულაი | 94:85 |
| ლიეჟი-ესტუდიანტესი | 71:87 |
| პანიონიოსი-შარლერუა | 80:68 |
| დიჟონი-კალევი | 68:64 |
| მარუსი-დინამო (მ-ო) | 73:76 |
| ჰირტუსი-ხირონა | 84:89 |

## ჰოკეი

### სლოვაკეთი

| | | |
|---|---|---|
| ჰოპრადი-ტრენჩინი | | 2:3 |
| სკალიცა-მარტინი | | 5:2 |
| კოშიცე-ნიტრა | | 6:3 |
| ჟილინა-ზვოლენი | | 1:5 |
| სლოვანი-მიკულაში | | 1:2 |

### ფინეთი

| | | |
|---|---|---|
| კიეკო-ილვესი | | 3:0 |
| ჰიფკ-პელიკანსი | | 5:0 |
| იუვესკიულა-ლუკო | 5:5 ო.ტ. | 6:5 |
| კალპა-სეი პა | | 2:5 |
| კერპეტი-ტაპს | | 3:2 |
| ტაპარა-ჰპკ | | 2:0 |
| ესეტი-იოკერიტი | | 1:2 |

### ჩეხეთი

| | | |
|---|---|---|
| კარლოვი ვარი-ზნოიმო | | 2:4 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | | 3:1 |
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | | 4:3 |
| პლზენი-ლიბერეცი | | 8:4 |
| სპარტა-ტრშინეცი | 1:1 ო.ტ. | 1:2 |
| ვიტკოვიცე-სლავია | | 3:1 |
| ზლინი ვსეტინი | | 4:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| მოდო-ფრიოლუნდა | 7:4 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 5:5 |

## ჩოგბურთი

### ATP. ბუენოს აირესი

| | |
|---|---|
| ნ. ლაპენტი-დევილდერი | 6:3, 2:6, 6:3 |
| კალერი-მონტანიესი | 7:6, 4:6, 4:6 |
| დლოუგი-სარეტა | 3:6, 1:6 |

### ATP. როტერდამი

| | |
|---|---|
| ბერდიჩი-იუჟნი | 4:6, 7:6, 1:6 |
| ნიემინენი-ვლიგენი | 1:6, 4:6 |
| ფერერი-კ. როხუსი | 6:3, 6:0 |
| ჰრბატი-მაიერი | 6:7, 6:2, 5:7 |

### WTA. დუბაი

| | |
|---|---|
| სანტანჯელო-მიულერი | 6:3, 7:6 |
| ჰანტუხოვა-ვესნინა | 6:1, 6:3 |
| იანკოვიჩი-რეზაი | 6:1, 6:2 |
| სრებოტნიკი-პაჩეკი | 5:7, 3:6 |
| შონესი-გალიარდი | 6:3, 6:4 |
| ლიხოვცევა-დუშევინა | 2:6, 0:6 |
| მედინა გარიგესი-კრემერი | 6:3, 6:4 |

### WTA. ბოგოტა

| | |
|---|---|
| აბრამოვიჩი-პარმენტიე | 3:6, 6:7 |
| ვინჩი-ბოჰმოვა | 3:6, 7:6, 6:2 |
| პენეტა-მალეკი | 6:4, 2:6, 6:3 |
| არნი-დიტი | 6:3, 6:7, 6:3 |
| დომინგეს ლინო-ერანი | 4:6, 6:1, 6:3 |
| ზაკოპალოვა-ლაგოსტერა | 6:2, 6:3 |
| ნადი-კორნე | 2:6, 3:6 |

### WTA. მემფისი

| | |
|---|---|
| ბირნეროვა-გაიდოშოვა | 5:7, 3:6 |
| პეერი-ლაინე | 6:4, 6:3 |
| პინი-ლეპჩენკო | 7:5, 6:1 |
| სტოსური-ვოზნიაკი | 6:2, 7:5 |

კალათბურთი

## რადმანოვიჩი ორი თვე ვერ ითამაშებს

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სერბი ფორვარდი **ვლადიმირ რადმანოვიჩი** ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს.

"ყველა ვარსკვლავის მატჩით" გამოწვეულ არდადეგებზე, კალათბურთელმა ყინულზე გასეირნება მოინდომა, მაგრამ ეს გართობა მისთვის სავალალოდ დასრულდა - ყინულზე დაეცა და მხარი დაიზიანა. 26 წლის კალათბურთელმა უკვე დაიწყო მკურნალობა.

## მუტომბო კიდევ ერთი წელი ითამაშებს

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **დიკემბე მუტომბომ** კარიერის დასრულება გადაიფიქრა და განაცხადა, რომ NBA-ში კიდევ ერთ სეზონს ჩაატარებს.

*"მომავალ სეზონში აუცილებლად ვითამაშებ. იმედი მაქვს, "ჰიუსტონში" დავრჩები. ოჯახის წევრებთან მოვილაპარაკე და ერთად გადავწყვიტეთ, რომ კარიერის დასრულება გაისად აჯობებს"*, - თქვა სააგენტო "როიტერთან" ინტერვიუში "როკეტსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა.

40 წლის კალათბურთელი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა. ლიგაში გატარებული 16 წლის მანძილზე, მან "დენვერის", "ატლანტას", "ფილადელფიას", "ნიუ ჯერსის", "ნიუ იორკისა" და "ჰიუსტონის" შემადგენლობებში 1123 მატჩი ჩაატარა და თითოში საშუალოდ 10.3 ქულასა და 10.5 მოხსნას აგროვებდა.

მუტომბო ლიგის ისტორიაში მეორე ადგილზეა დაფარებების რაოდენობით მის ანგარიშზე 3215 ბლოკ-შოტი მოდის. ამ მაჩვენებლით, ის მხოლოდ ლეგენდარულ **ჰაკიმ ოლაჟუონს** ჩამორჩება, რომელმაც კარიერაში 3830 დაფარება შეასრულა.

## ნეშს დღეს უნდა ეთამაშა

უკანასკნელი ინფორმაციით, "ფინიქს სანზის" ლიდერ **სტივ ნეშს** დღეს დილით, "კლიპერსის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. არადა, როგორც თავად კალათბურთელი ამბობს, მას მაინც აწუხებს მხარის ტკივილები.

შეგახსენებთ, რომ NBA-ის ბოლო ორი სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშემ, "ოლ სტარის" უიქენდამდე ოთხი შეხვედრა გამოტოვა.

*"ვარჯიშების დროს თავს ნორმალურად ვგრძნობ, მაგრამ მცირე ტკივილები მაინც დამრჩა. თუ "კლიპერსთან" მატჩისწინა მოთელვაზე სიტუაცია არ გაუარესდება, მაშინ მოედანზე აუცილებლად გავალ"*, - აცხადებს ნეში.

უნდა აღინიშნოს, რომ "ფინიქსს" მოგება/წაგების მაჩვენებელი 151 49-ზე აქვს იმ დროს, როცა ნეში მის შემადგენლობაში იყო, ხოლო ანალოგიური შეფარდება ნეშის უთამაშებლობის დროს - 4 12-ზე გახლავთ.

კანადელი მცველი ლიგის ლიდერია შედეგიანი გადაცემების რაოდენობით - 11.7 და კარიერაში საუკეთესო შედეგს აჩვენებს დაგროვილი ქულების მიხედვით - 19.2.

## ოლ სტარი დაპატიმრებებით და სროლით დასრულდა

ლას ვეგასში "ყველა ვარსკვლავის უიქენდი" ქუჩაში მასობრივი ჩხუბით დასრულდა. როგორც ქალაქის პოლიციის წარმომადგენელი ხოსე მონტოია იტყობინება, ამ არეულობების შედეგად, პოლიციამ 362 ადამიანი დააკავა. მისი სიტყვებით, გარდა ჩხუბისა, ქუჩაში ორჯერ გაისროლეს კიდეც. ერთ შემთხვევაში, შეიარაღებულმა ადამიანმა ღამის კლუბ Minxx-ში სამი კაცი დაჭრა, ხოლო კიდევ ერთი ადამიანი სხვა ადგილას დაზარლდა. სამი დაჭრილი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

როგორც ცნობილია, NBA-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" ლას ვეგასში პირველად გაიმართა და ქალაქს კარგა ხანი არ უნახავს ერთად ამდენი სტუმარი. ბევრი გულშემატკივარი იქ ოთხშაბათიდან იმყოფებოდა და გადაილალა. როგორც პოლიცია ვარაუდობს, აგრესიის ტალღაც ამ მიზეზით არის განპირობებული.

ლას ვეგასის გაზეთ Breitbart-ის ინფორმაციით, ამ დღეებში ქალაქში იოლად გამდიდრების ბევრი მსურველიც გამოჩნდა. მაგალითად, ერთმა ადამიანმა აეროპორტში წარმოქმნილ რიგში თავისი პირველი ადგილი 1000 დოლარად გაყიდა.

ჰოკეი

## ნეშვილში ჰოკეის ბუმია

**პიტერ ფორსბერგის** "ნეშვილში" გამოჩენამ, მნიშვნელოვნად გაზარდა კლუბის საშინაო თამაშებზე ბილეთების რეალიზაცია.

კერძოდ, შაბათს, "მინესოტასთან" მატჩის წინ, "პრედატორზისთვის" იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა - საშინაო შეხვედრაზე ტრიბუნება მთლიანად შეივსო. კლუბის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, **სტივ ვიოლეტის** თქმით, ფორსბერგის ტრანსფერის შემდეგ, ბილეთების რეალიზაციამ 3.5-ჯერ მოიმატა.

მიუხედავად "ნეშვილში" შვედი ვეტერანის გადასვლისა, კლუბის გულშემატკივრებს არ სჯერათ, რომ "პრედატორზი" სტენლის თასს მოიპოვებს. გამოკითხული ფანების აზრით, "მტაცებლები" დასავლეთი კონფერენციის ფინალზე შორს ვერ წავლენ.

## ბაფალო ახალ ფორვარდს ეძებს

შეტევით ხაზში სერიოზული პრობლემები შეექმნა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ "ბაფალო სეიბრზს". ამ გუნდის ლაზარეთში ერთბაშად ოთხი ფორვარდი - **მაქსიმ აფინოგენოვი, ირჟი ნოვოტნი, პოლ გოსტადი** და **ალეშ კოტალიკი** ირიცხება. ამ უკანასკნელმა მარცხენა მუხლის ტრავმა ბოლო ტურში მიიღო და 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

"ბაფალოს" ხელმძღვანელობამ ამ პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება გადაწყვიტა და თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად, თავისი მეორე მეკარე - **მარტინ ბირონიც** კი გაწირა. "სეიბრზი" მზად არის, ეს გოლკიპერი რომელიმე კლუბს ფორვარდში გაუცვალოს.

## სამი ქულა მოგებისთვის?

გასულ უიქენდზე, მაიამში ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბების გენერალური მენეჯერები შეიკრიბნენ. სამდღიანი შეხვედრის ძირითადი თემა იყო მომავალი სეზონისთვის ლიგაში მოსალოდნელი ცვლილებები. კერძოდ, გამარჯვებისთვის სამი ქულის დარიცხვა, არადაბალანსებული კალენდარი და ა.შ.

გარდა ამისა, ამერიკულ პრესას მიაჩნია, რომ მენეჯერები ჰოკეისტების გაცვლებზეც მოილაპარაკებდნენ. მოახლოვდა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღე (28 თებერვალი) და ლიგაში რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერია მოსალოდნელი.



მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ამერიკელები რევანშისთვის ემზადებიან

ამერიკელი მოცურავე **ნატალი კაფლინი** აფრთხილებს თავის ავსტრალიელ მეტოქეებს, რომ თუ მათ 4x100 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება სურთ, მაშინ მსოფლიო რეკორდის დამყარება მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელთა დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ.

ამერიკელებს დიდხანს ამ ესტაფეტაში ბადალი არ ჰყავდათ. მათ სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედლებიც მოიპოვეს და მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს, მაგრამ ათენში ავსტრალიელებმა ჩემპიონის წოდებაც ჩამოართვეს და რეკორდსმენისაც. ჰოდა, ახლა ამერიკელები რევანშისთვის არიან განწყობილნი. თუმცა, ამჯერად, მათ ოზების გარდა, სერიოზული კონკურენცია ელით გერმანელებისგანაც, რომლებმაც ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე ავსტრალიელთა სარეკორდო შედეგი გააუმჯობესეს.

კაფლინი ხუთი ოლიმპიური მედლის მფლობელია. ის ამბობს, რომ თუ ავსტრალიელებს საუკეთესო ფორმაში არ ეყოლებათ მათი ლიდერები - **ჯოდი ჰენრი** და **ლიბი ლენტონი**, მაშინ ტიტულის შენარჩუნებაზე შეუძლიათ არც იფიქრონ. უფრო მეტიც, კაფლინი თვლის, რომ ჰენრიმ და ლენტონმა თავიანთ ჯერზე მსოფლიო რეკორდის დონის შედეგები თუ არ აჩვენეს, მაშინ ამერიკელებს ვერ გაასწრებენ.

*"დარწმუნებული ვარ, რომ თუ ავსტრალიელები რეკორდს ვერ დაამყარებენ, მაშინ ვერც ტიტულს შეინარჩუნებენ. ესტაფეტაში ასეთი ძლიერი გუნდი არასოდეს გვყოლია. დარწმუნებული ვარ, ძალიან დაძაბული პაექრობა გვექნება. ამას გერმანელებიც დაუმატეთ. მოკლედ, ერთ გაცურვაში მონაწილეობას მიიღებს სამი გუნდი, რომლებსაც რეკორდის დამყარება შეუძლიათ და ვინ იცის, იქნებ სამივემ შეძლოს ძველი რეკორდის გაუმჯობესება"*, - ამბობს კაფლინი.

შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიადაზე ავსტრალიელთა ოქროს კვარტეტში შედიოდნენ ლენტონი, ჰენრი, **ელის მაილსი** და **პეტრია თომასი**. რეკორდსმენ გერმანელთა კვარტეტი კი შემდეგნაირად გამოიყურება: **ბრიტა შტეფენი, ანიკა ლიბსი, პეტრა დალმანი** და **დანიელა გიოტცი**.

კაფლინი ამბობს, რომ როგორც წესი, ესტაფეტაში გაცილებით უკეთესი შედეგები აქვს, ვიდრე ინდივიდუალურ ასპარეზობაში. გუნდური სულისკვეთება დამატებით ძალებს მძენსო, - ამბობს 24 წლის ამერიკელი მოცურავე, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე სულ ოთხი მედალი აქვს მოპოვებული, მათგან ერთი - ოქროსი (2001 წელს, 100 მეტრზე თავისუფალში). ამის გარდა, მის მიღწევათა გალერეაშია ორი ოლიმპიური ოქრო (100 მეტრზე გულაღმა და 4x200 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტა), ორი ოლიმპიური ვერცხლი (4x100 მეტრზე თავისუფალით და შერეული სტილით ესტაფეტები) და ერთიც - ბრინჯაო (100 მეტრზე თავისუფალში).

მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატზე კაფლინი შვიდ ფინალში იასპარეზებს: 100 მეტრი ბატერფლაით და გულაღმა, 50 და 100 მეტრი თავისუფალით და სამი ესტაფეტა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ნატალი კაფლინი



ქვე-როჭოს წონა

# ჰატონი vs კასტილიო

მას შემდეგ, რაც ქვე-როჭოს წონის ბრიტანელმა მოკრივე **რიკი ჰატონმა** კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ტიტული ნებაყოფლობით დათმო, აშკარა გახდა, რომ ამას იმისათვის აკეთებდა, რათა მსუბუქი წონის ყოფილ ჩემპიონს, მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოს** შეხვედროდა.

და აი, ეს ვარაუდი ოფიციალურად დადასტურდა - ორი მოკრივე ერთმანეთს ბრიტანელის ხელთ არსებული, ქვე-როჭოს წონაში კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ნაკლებად პრესტიჟული სარტყელისთვის, ლას ვეგასის "ტომას ენდ მეკ სენტერის" არენაზე 23 ივნისს შეხვდება. ჰატონი ამბობს, რომ ეს ბრძოლა დაჩრდილავს **ფლოიდ მეივეზერისა** და **ოსკარ დე ლა ჰოიას** ბრძოლას, რომელიც მანამდე ჩატარდება.

*"ბრძოლაში უკან დახევა არც მე და არც ხოსეს არ გვჩვევია. შეტევა ყოველთვის ჩემი პრიორიტეტია, რადგან კრივში მაყურებელს, პირველ რიგში, სწორედ ეს იზიდავს. ხალხს ჩემი, არტურო გატისა და ხულიო სესარ ჩავესის მსგავსი მოკრივეები ამახსოვრდება და არა ისეთები, როგორიც ფლოიდ მეივეზერია, ვისთვისაც უმთავრესი დაცვაა. რა თქმა უნდა, ფლოიდი ძლიერი მოკრივეა, მაგრამ მას თუ შევხვდი, ჩემს სტილს მაინც არ შევცვლი. დარწმუნებული ვარ, დე ლა ჰოიასთან შეხვედრით უკმაყოფილო დარჩება. მე ამ ბრძოლას ვიდეოჩანაწერში ვნახავ, რადგან არ ვაპირებ მის გამო ძილის რეჟიმის არევას"*, - განაცხადა ჰატონმა, ვინც დიდი ხანია, მეივეზერთან შეხვედრას ესწრაფვის, მაგრამ ამერიკელისგან სრულ იგნორირებას აწყდება.

მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ბოლო ბრძოლები (იმავე ლას ვეგასში) ჰატონმაც და კასტილიომაც საკმაოდ დაბალ დონეზე ჩაატარეს, დაეჭვებაც არ ღირს იმაში, რომ მათი ბრძოლა წლის ბრძოლის ნომინაციაზე წარდგება.

აღსანიშნავია, რომ კასტილიომ ქვე-როჭოს წონაში ერთადერთი ბრძოლა ჩაატარა და მასში მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო ვინმე **ჰერმან ნგოუჯოს**. სახელი კი ამერიკელ **დიეგო კორალესთან** ორი სატიტულო (მსუბუქ წონაში) ბრძოლით გაითქვა. ბევრი ამბობს, რომ კორალესთან ჩატარებულმა იმ ორმა ჯახმა კასტილიოს ბრძოლისუნარიანობა შეასუსტა, მაგრამ თავად ამ მოსაზრებას უარყოფს და იქადნის, რომ ჰატონთან შეხვედრაში ქომაგი ძველებურ კასტილიოს იხილავს.

ჰატონი კი ფიქრობს, რომ უფრო ძნელი ბრძოლა ელის, ვიდრე ავსტრალიელ **კოსტია ცზიუსთან** ჰქონდა, როცა პირველად დაეუფლა ქვე-როჭოს ტიტულს. კასტილიოც იმედოვნებს, რომ კორალესივით მაგარ ბიჭთან ექნება საქმე. რიკი კორალესივითაა, ბრძოლას არ გაურბის და მუდმივად შეტევაშია. მეივეზერი კი ბევრს დარბის და ბრძოლაშიც იშვიათად ერთვებაო, - ამბობს მექსიკელი.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა